

652
1984

ISSN 0134 3459



ქრონიკა 2

1984



ქოჩოხი

ლიბერატორულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურობა

საქართველოს მფარველთა კავშირისა
და აზარის განყოფილების
ორგანო

გამოცემის 26-ე წელი

2

1984

რას მშვენიერი ზღვა გვაძვს, აჭარა,
რას მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის თანაჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

მარტი

აკრილი



გათუხი

ნოვარში დაბეჭდილია:

3 საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალური
კომიტეტის პლენუმის შესახებ

კომუნა, პროზა

ნათელა ღუმბაძე

5 ლექსები

მანანა ამირეჯიბი

7 მშვიდობით გეზავრობას გისურვებთ

ლალი გოგიჩაიშვილის, თამარ სულხანიშვილის, ნინო საკანდელიძის, რუსუდან
შოგნაძის, ნონა ვარაზაშვილის, უუუუნა შაინიძის, გულნარა ბოლქვაძის, ნინო
არგევანიძის, ნელი ლათაძის, ნაზიბროლა მიქელაძის, ქეთინო გიორგაძის, მერი
ნაჟარაძის, ნანა ანთაძის, რუსუდან ჭინჭიხაძის, ნათელა ივანაძის, ნანული კიკე-
ლიძის, დავარ გიგინეიშვილის, ნუნუ სკამკოჩაიშვილის, ნანა გრიგოლიას ლექსები,
მოთხრობები, ჩანახატები 6-16

ზმირა რომანაძე

17 ლექსები

უმთა რომაძე

33 ლექსები

რევაზ ოსუფაიშვილი

38 შენი ღუმილი ჩემი განაჩენია (რომანის
ფრაგმენტები)

დავით ტაბიძე

46 ლექსები

ახალი თარგმანები

ახსახური კომუნიკაცი

47 დიმიტრი გულიას, ბაგრატ შინკუბას, ივანე
თარბას, კონსტანტინე ლომიას ლექსები
(თარგმნა გიორგი სალუქვაძემ).

ჯორჯ ფრანიშერი

50 სიწმირად კემბრიჯში (მოთხრობა. ინგლის-
რიდან თარგმნა ნონა ლამაშიძე-კიკელი-
ძემ)

ნ ა რ კ ე მ ე

მთარ ფუტკარაძე

53 მესხეთო, გამოსკერ ლერწამი

მეხედ აბაშიძის დაბადების 110 წლისთავის ბაშო

ფრიდონ ხალვაში

61 საქართველოს მოქალაქე

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნელი ღუმბაძე

68 ეპოქის კვლადკვალი

მეხედ დავითაძე

77 მამულის სიყვარული

ზურაბ კომასიძე

81 საყურადღებო ნაშრომი

წიგნები და ავტორები

მამია ხარაში

82 ვლადიმერ გილიაროვისკი

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ილია ენითაშვილი

85 ქორეოგრაფის დეაწლი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

რევაზ უზუნაძე

88 „წითელი ბათუმი“

მთარ თურმანაძე

89 მეცნიერული აზრის აღმავლობა

93 გასულ ორ თვეში

გარეკანის 1-ლ გვერდზე — ბათუმის პიონერთა პარკი. მხატვარი ავთანდილ
ლომაძე.

გამოშვები უზუნაძე დარჩიბ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1984 წლის 13 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აბხ. კ. უ. ჩერენკოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის სსოვას პატივი სცეს მწუხარების წუთიერი ღუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი, ლენინელი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, რომლებზეც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს პარტია გზავნიდა, იგი მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ი. ვ. ანდროპოვი დიდ ყურადღებას უთმობდა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული ხაზის განხორციელებას, რომლის მიზანია წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, კადრების პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი ზრდა.

დიდი წვლილი შეიტანა ი. ვ. ანდროპოვმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის გაწეობაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამო-

უკიდებლობისათვის ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერაში მისი ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და მტკიცედ ზორცილდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსი — თერმოზირთულის ომის საფრთხის თავიდან აცილების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების ჩაშლის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსი.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გლობის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ რიგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამუშაო გაბოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის შინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ტიხონოვმა. მან წამოაყენა წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხ. კ. უ. ჩერნენკო.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. კ. უ. ჩერნენკო. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის.

ამხ. კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და კომუნისტურ პარტიას აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას არ დაიშურებს, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ადგანან.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სხვადასხვა ფერით აჭრელებულ

და ათასგვარი

ნაკუნ-ნაკუნა ნაჭრებით დაკერებულ

ძველისძველ საბანს დაემსგავსა ქათქათა თოვლი,

რომელსაც ნელა, მაგრამ მაინც

სიცხიანი ბავშვის შფოთიანი სულისწუხილით

იხდის მარტი.

და შიშველ ტანზე საოცარი სისწრაფით ჩნდება

წითელას გამონაყარი — ყოჩივარდები და იები...

ხოლო დედა ვაი-ვიშით, — ვიღუპებიო,

სიცხე უმატებსო, — უფუთნის ფეხებს,

მკერდს და ხელებს ისევ იმ საბნით

იმდენჯერვე,

რამდენჯერაც შეეცდება ბავშვი მის გახდას...

და წითელას გამონაყარი — ყოჩივარდები და იები

ჩნდებიან და იმალებიან,

ჩნდებიან და იფარებიან

— ეს მერამდენელ!

თეთრი აპრილი

მოაშრიალებს თეთრი აპრილი

უმწვანეს ფარჩით გაწყობილ კაბას,

ტყემლის ყვავილის შვენის მანდილი,

ატმის ყვავილი სახეს უფაკლავს.

ქარს მოაქვს მძაფრი სუნთქვა იელის —

თავბრუდამხვევი და დამბუგველი,

შორეული და გასაკვირველი

მზეში ბანაობს თეთრი ღრუბელი.

ისწორებს ზეცა ცისფერ ჩიხტიკობს,

კანკალებს რტოზე ყვავილთა დისკო.

წვიმის წვეთებით ავსებული მძივების ასხმა —
დამითმე, შენი სევდისა და ცრემლის ზარნიში!
შენ ხომ ყველაზე ჭირვეულ და კეკლუც ქალს გაეზარ,
არც რა გესმის რა,
შენსას არ იშლი!..

●

სექტემბერია.
ქარნი მღერიან
იმ სიყვარულზე, რომ დაჰკარგეს დიდი ხანია,
სულ სხვა ფერი აქვს
მთებს და ლელიანს.
სექტემბერია.
ქარნი მღერიან...
რად გიხარია, ჩემო თელავ, ყვავილთა ფრენა,
ხედავ, ხეობებს, მთებს სიყვითლე როგორ ეღება?
განძარცვული ტყე სულს დაგიფლეთს,
რალა შეგრჩება,
რალა შეგრჩება გარნა სევდის,
ცრემლის და ურვის...
რით ვერ გაუგე ქარების სურვილს —
გაგიმეტებენ!

ს ა ყ ვ ე ლ უ რ ი

რად ვერ ჩერდები,
ქარო, ჩემს გვერდით?
რად შემაცქვრდი,
რატომ გახევდი?
რად ვერ მიცანი შენი დობილი,
გამოვიცვალე? — არა მგონია.
ხმით, საოცრებით
შენი ორკესტრი
არ ხმიანობდა რატომღაც
ჯიბრზე,
ჩემგან ხმობილი
ალარ მეწვია

და ჩემს ქორწილშიც არ
მოილხინე.
რად მერიდები
სახის რიდებით,
ღური საღამიც
რად დამიძვირე?
იქნებ მოგებზრდი,
იქნებ მოგწვინდი,
იქნებ მოგკვდი და გამომიტირე-
რად ვერ ჩერდები,
ქარო, ჩემს გვერდით?

გზვიდობით გზავრობას გისურვებთ

პირველად ერთი ახალგაზრდა კაცი მოვიდა. დააკვირდა, მერე საწოლთან ჩამოუჯდა და ჰკითხა, როგორ ბრძანდებით, ქალბატონო. ღმერთის წყალობით, უპასუხა. მეორე ავადმყოფს გაეხარდა, თქვენი ნათესავიაო? საწმუხაროდ, არაო, ღიმილით თქვა კაცმა. ამაზე ქალსაც გაეღიმა და ჰკითხა, სიდედრი ხომ არ გეგონეთო. ცოლი არ მყავსო. ვაიმე, შვილო, აბა, დედაო? არა, ქალბატონო, დედა არ მახსოვს, ადრე გარდაიცვალა. ერთი მარტოხელა ქალი ცხოვრობს ჩემს პირდაპირ, განცხადებას რომ მოეუსმინე, უცბად რომაგონდა, რამდენიმე დღეა თვალი არ მომიკრავს და ის მეგონეთო. სურათში არ გავდით, ქალბატონო, მაგრამ ყოველშემთხვევისათვის მაინც მოვედიო. თავდაპირველად ჩეჩი სახელი და გვარი ვერ გავიხსენე, შვილო, ალბათ, ბევრა შეწუხდება აქ მოსვლითო. რომც ეთქვათ, მე მაინც მოვიდოდი, რადგან იმისი ვინაობა არ ვიცი, ვისთვისაც მოვედიო. ამაზე კიდევ გაიცინეს. ახალგაზრდობაში, ალბათ, ძალიან ლამაზი ქალი იქნებოდითო. არა, შვილო, მხოლოდ კარგი გოგო ვიყავიო. ზოგს სიბერე შეენის, მაგრამ თვალები ხომ ასეთივე გექნებოდათ, თაფლისფერი და მეტყველი. კარგად ყოფნას გისურვებთო, ადგა და წავიდა. ქალმა გაიფიქრა, ნეტავი ასეთი ვაჟი მყოლოდა, მაღალი, ჭზარგანიერი, კეთილი და მოფიქრალიო.

ექიმებმა გვიან გაიგეს ავარიაში მოყოლილი ქალის ვინაობა. ასმათ ჯაყელი პროფესიით ინჟინერი იყო, ჰყავდა ორი ქალიშვილი. ახლა ერთი ზღვაზე ისვენებდა ქმარშვილიანად, ჩეორე მთაში. მომსვლელებს ეზვეწებოდა, არ შეატყობინოთ, ისე ცუდად არა ვარ, შვილები ამ პაპანაქებაში გაწამაწიისათვის გავიმეტო, მით უმეტეს, ჩემს დასთან ვგონივარ, ქვიშხეთშიო. კარგადა ვარ, მხოლოდ თავის არეში ვგრძნობ ყრუ ტკივილს, მშვენივრად ვერთობი და ფიქრის დროც თავზე საყრელი ჩაქვსო.

შუადღისას რამდენიმე წუთით ჩასთვლიმა და ასეთი სიზმარი ნახა; მისი ახალგაზრდობის მეგობარი ჩაიკო მამალაძე და თვითონ ტრიალ მიწდორზე უეცრად შემართულ მთას გაოცებული შეჰყურებდნენ. მთაზე კოშკიანი სახლი იდგა და ადამიანურად მშვიდი გამომეტყველებისა, ისიც წათ ჩამოსცქეროდა. მაიკოს თხოვა, ავიდეთ, იქიდან გადმოხედვა ერთი სიცოცხლე ეღირებაო. ერთმანეთზე გადაჭდობილი ხეების ვიწრო გვირაბი რომ დამთავრდა, ახლა კლდე აღიმართა. ორივეს შეეშინდა, აქ ვერ ავალო, დავბრუნდეთო. ზევიდან ქალმა დაიმახა, ნუ გეშინიათ, ამოხვალთო. ქა-

ლი დაინახეს, მაგრამ ხმა კი არ გაიგონეს — გაიგეს. მხოლოდ ასმათი ავიდა. უცნაური სოფელი გადაეშალა წინ. მოყვითალო, ჩამავალი მზის ფერი სინათლე იდგა, ყველაფერი გაფურჩქნული და ამწვანებული იყო, ქვიშისფერი და უბალახო ნიადაგის გარდა. ათასფერი ყვავილები ამოსულიყო. ის ქალი შემოეგება, სახლში შეიბრძანდითო. სახლი სადღესასწაულოდ მორთულს გავდა. ქორწილი ზომ არ გაქეთო, ჰკითხა ასმათმა. არა, ქორწილი აი, იმ სახლშიაო. ის სახლი თეთრი იყო, ძალიან მშვიდი გამოქცეულების ხალხი ტრიალებდა ეზოში. უხმოდ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, დამკვრელებიც უხმოდ უკრავდნენ, მაგრამ ყველას ყველაფერი ესმოდა. ასმათმა ქალს გადაუჩურჩულა, რა საშინელებაა, ჩემი ხმა სიჩუმეში ფარშევანგის ჩხავილს გავსო. კიდეც რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ჩურჩულიც კარზე კატის ფხოვნას დაემგავნა და დაღუწდა. კოშკიანი სახლი იმ თეთრი სახლის გვერდით იდგა. მხოლოდ იქ არ ყვავდა ხეხილი და, ალბათ, ამიტომ, გაცრეცილსა და ღოწყენილს გავდა. ყურები თითით დააცო და ქალს შეეკითხა, ის კოშკიანი სახლი ზომ არ იყიდებო. ახლა არა, სამი თვის შემდეგ მის ეზოში ხეხილი აყვავდება და მაშინ მობრძანდითო. ასმათმა გაიფიქრა, სამი თვის შემდეგ ნოემბერია და როგორ აყვავდებაო. ქალმა ფიქრზე უპასუხა, ჩვენს სოფელში დრო და ამინდი არ იცისო.

სანამ თვალებს გაახელდა, გაელიმა. ისევ თავისი აუსრულებელი ოცნება ეზმანა. ძვირფასი საჩუკულების, ძვირფასი ავეჯისა და ნივთების შეძების სურვილი არ ჰქონია, სოფელი კი მუდამ გულით ენდობოდა, სოფელი და ერთი ვაჟიშვილი. ნეტავი, რითი მოვეკდებიო, რატომღაც გაიფიქრა. მერე ისევ სიზმარს ზიუბრუნდა და მოაგონდა, რომ ძალიან, ძალიან დიდიხანია მაიკო მამალაძე არ უნახავს. თვალწინ დაუდგა პირველკურსელი, რაიონიდან ჩამოსული მაიკო, ზთლად ბავშვი, დედას მონატრებული შვლის ნუკრი, სექტემბრის პირველ კვირაში როგორ ჩამოივლიდა ზოლმე ყველა კაბინეტსა და საპროფესოროს, შეყოფდა თავს ოდნავ გამოღებულ კარში და იკითხავდა: „ჩემი იუზეი მაქანეა?“ მისი ძმა, იუზა, ერთერთ კათედრაზე ლაბორანტად მუშაობდა.

თვალი რომ გაახილა, დაინახა, გვერდით ახალგაზრდა ქალი ევდა და კალათში ბიჭუნა ესვა. დააკვირდა, ვერ იცნო. ჩემი რომელიმე ქალიშვილის ამხანაგი იქნებო, გაიფიქრა. პატარა ბიჭის დანახვამ თავისი შვილიშვილები მოაგონა და ბავშვს შელიმა. ქალბატონო, მე თქვენი ყოფილი თანაკურსელის, თალიკო ნაზლაიძის შვილი ვარო, ქალმა უთხრა. ასმათს გაეხარდა, დედას გავხარ, შვილო, ჭროლა თვალებით და ქათქათა პირისკანითო, — მიეფერა. დედა როგორ არისო, ჰკითხა. სოფელში ცხოვრობს, ნაჯაფარი და მოტეხილიაო. თქვენი სურათი „მოაზბეში“ რომ აჩვენეს, ჩემთან იყო. მაშინვე წამოსვლა დააპირა, მერე რატომღაც გადაი-

ფიქრა, ღამაფიცა, აუცილებლად მენახეთ, და თვითონ სოფელში გაეშვა-
ვრაო.

ქართული
ენის ინსტიტუტი

მაღე წავიდა, არ მინდა შეგაწუხოთო.

მთელი დღის განმავლობაში უამრავი ხალხი მოვიდა. დაღლილ ას-
მათს თვალები მიეღულა. თითქოს გულთან ტალღამ შემოჰკრაო, ისე
უცბად მოენატრა ზღვა, გადაწყვიტა, გამოეჯანმრთელებოდა თუ არა, მაშინ-
ვე წავალო. ძილს აპირებდა, რომ კარი ფრთხილად გაიღო და პალატაში
ტანადი ქალი შემოვიდა. გვერდით მწოლიარე ავადმყოფს ჰკითხა, როგორ
არისო. არა უშავს რა, ოღონდ ძალიან იღლება, რილეთი ხალხი მოდის
ყოველდღეო. ეს ისეთი ქალია, მოვლენ, აბა რას იზამენო. ასმათმა ხმით
ვერ იცნო, თვალი სულ ოდნავ გაახილა, ქალის ხელები დაინახა, ნატიფი,
ფერად-ფერადი თვლიანი ბეჭდებით აციმციმებული. გულზე ელდა ეცა,
ია ყოფილაო! მნახველმა თქვა, ეტყობა, რაღაც აწუხებს, ძილში წამიერი
ტკივილის კვალმა გადაუარაო. უთხრით, ია იყო-თქო. გადაეცით, თქვენმა
კეთილშობილმა გულმა ჩემს ცხოვრებას კერ უშველა-თქო. ვარდებას
თაიგული მინის ქილაში ჩადო და წავიდა. თვალები არც მერე გაუხელია.
ტალინის აეროპორტის კაფეში ოცდახუთი წლის წინანდელი შეხვედრა გა-
ახსენდა. ასმათი კუთხეში იჯდა და ყავას სვამდა. ოციოდე წლის ქართვე-
ლი ქალიშვილი მოვიდა, შეიძლება თქვენთან დავჯდეთ? კიდევ გამიხარდე-
ბაო, უპასუხა. ქალიშვილი დააკვირდა, მე თქვენ გიცნობთო. ასმათმა იცნო.
ამ დროს კაციც მოვიდა, ორი ყავიანი ფინჯანით ხელში. ასმათს ხელფეხი
გავთოშა. ასე იცოდა ღელევარებისას. ასმათ, გამარჯობაო, — კაცმა — გა-
გიმარჯოს, თორნიკეო. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გარე ხმაურიც აღარ ეს-
მოდათ. როგორ ცხელაო, — თორნიკემ, — ზაფხულში ზამთრის ფეხსაცმლის
ტარებას გადაჰჩვიესო. ხომ ხედავ რა მზრუნველი ცოლი გყავარო, კისკი-
სებდა ია. თორნიკეს შავ, გამოსასვლელ ფეხსაცმელში ტანთან შედარებით
პატარა ფეხები კოპწიად მოუჩანდა. ასმათმა იცოდა, მას ზაფხულშიც მძი-
მე ფეხსაცმლის ტარება უყვარდა. როგორ ადვილად შელევია თავის ჩვეუ-
ლებასო, გაიფიქრა. ია წამოხტა, ხილის წვეწვს მოვიტანო. ასმათმა თვალი
გააყოლა ქალიშვილს. ეს ანგელოზი სად იპოვნეო, ჰკითხა. კაცის თვალე-
ბში სიხარულის ნაპერწკლებმა იელვეს. ამ წლების განმავლობაში თუ
გაზსოვდიო, ისევ ჰკითხა. თორნიკემ მზერა გაუსწორა და უპასუხა, არაო.
ძე კი თითქმის სულ მახსოვხარო. ამ უცნაური გულახდილობით, როგორც
წინათ ხდებოდა ხოლმე, ისევ გული ატკინეს ერთმანეთს. იამ ხილის წვეწ-
ვანი დოქი და ჭიქები მაგიდაზე დააწყო. თვითონაც დაჯდა, ზედმეტად წე-
ლში გამართული, ზედმეტად ყელმოღერებული, რათა თავისი ლამაზი
ხსეული უფრო წარმოეჩინა, და ასმათს თვალთ რაღაც ჰკითხა. ასმათმა
გაუღიმა. ქალბატონო, ასეთი ლამაზი ცხვირი და ბაგე ჯერ არ მინახავსო,
უთხრა იამ. არ იყო საჭირო, ასმათი ისედაც არაფრის თქმას აპირებდა.

თორნიკემ თვალი შეავლო ასმათს, ყელიდან მხრებზე, მხრებიდან მკლავებზე ჩამოუტარა თამამი მზერა და მერე თვალებში შესცინა გულითადად და გამძახნეველად, როგორც ძმობილს ან ღობილს შესცინებენ ხოლმე, რაიმეს დასტურად. ასმათს გული ეტკინა. იამ ისევ გადაიკისკისა. უზადო კბილებმა და ბრილიანტის საყურეებმა გაუცისკროვნეს ისედაც ნათელი სახე. დაშორებისას იამ უთხრა, გამიხარდა თქვენი თანა სასიამოვნო ქალბატონი რომ შემხვდა მეკვლესავით თაფლობისთვის პირველსავე დღეს და ისიც უცხო მხარეშიო.

დილით რომ გაიღვიძა, სიხარულის ცრემლებმა დაუბინდეს მზერა, საწოლთან მისი ქალიშვილები ისხდნენ. მაშინვე მკაცრი მორიგეობა დააწესეს დედასთან, მეტისმეტად არავინ შეგვიწუხოსო.

ოცდამეერთე დღეს ადგა. ექიმებმა ცოტა ხანს კიდეც არ გაუშვეს საავადმყოფოდან. გასვლისას თხოვეს, ერთ თვეს მაინც შეეკავებინა თავი აქტიური მოძრაობისაგან. დაპირდა და შეასრულა კიდეც. სრული გამოჯანსაღება აუცილებლად სჭირდებოდა, უფრო სჭირდებოდა, ვიდრე უნდოდა.

ერთი თვის შემდეგ შვილებს გამოუცხადა, მოსკოვში მივფრინავო. ეხვეწნენ, გაგვევითო, არა ქნა.

ახლა მოსკოვის ერთ-ერთ კაფეში პირით კარისკენ იჯდა და თორნიკეს ელოდებოდა. შემოვიდა. თმა გასცვენოდა, ცოტა გასუქებულიყო. დიდხანს ეჭირა ქალის შებერებული ხელი ბაგეებთან. ესეც დაბერებულაო, მისი ცრემლჩამდგარი თვალების ზილვისას გაიფიქრა ასმათმა.

— რა ქარმა გადმოგავდო, ასმათ?!

— როგორა ხარ, თორნიკე?

— არც როგორ.

ჩუმად ისხდნენ.

— დიდი ხანი გავიდა ჩვენი ტალინში შეხვედრიდან.

კაცს სახე მოელუშა.

— რატომ მაინც და მაინც ტალინიდან გეწყება დროის აღნიშვნა, ის არ გახსოვს, როდის გავიცანით ერთმანეთი?

— როგორ არა, ახლა ოცდაათი წლის ვაჟი უნდა გვყავდეს, შენ რომ მოგენდომებინა.

კაცს ისევ მოუცრემლიანდა თვალები. ოფიციალტს ლიქიორი შეუკავეთა. კიდეც ახსოვს, ლიქიორი რომ მიეყარსო, გაიფიქრა ქალმა.

— მაინც რა მეხი დამეცა, თორნიკე, შენი დანახვის დღიდან, შენამდე ჩემი ცხოვრება ისე დამავიწყდა, როგორც ქარს გაყოლილი ხმელი ფოთოლი.

— კარგი იქნებოდა, მეც იმ ქარს გავყოლოდი.

ქალმა დაკვირვებით შეხედა ერთ დრას ბედნიერ კაცს, ბრწყინვალე ქირურგს, ულამაზესი ქალის ქმარს და გააოცა მისმა აგრე რიგად გახუწე-

ბამ, უადგილო სანტიმენტალობამ, თუმცა იცოდა, სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანის ხვედრი მხოლოდ ასეთი იყო.

— გვიან დაერწმუნდი, ასმათ, რომ შენაირი ქალი არ არსებობს. იცი, როცა კი წრეგადასული სიბრაზე მომერეოდა, მაინცდამაინც მაშინ მახსენდებოდი. შენი სიმშვიდის მომტანი ღიმილით ისე შემოდიოდი ხოლმე ჩემს გულში, როგორც მზე მყუდროზე მჯდარი ბერიკაცის სხეულში. თენთავდი და აცხრობდი ჩემს სიბრაზეს და ასე მშველდი, ძალიან ხშირად...

ერთად ყოფნის ორი წლის შემდეგ ქალს მოუნდა მისი ცოლი გამხდარიყო. კაცმა გაკვირვებით შეხედა მაშინ და უთხრა, ეტყობა ქალმა მართლა არ იცის სიყვარული, ბოლოს ყველას ცოლობა უნდათ. ამაზე ასმათმა გულდაწყევით უპასუხა, სხვა კაცი იტყოდა, ისე უყვარვარ, ჩემთან განუყრელად ყოფნა სურსო.

ერთმანეთს თვალებში შეხედეს. მიხვდნენ, ერთი და იგივე რამეზე ფიქრობდნენ. კაცმა თვალი აარიდა, მერე იგრძნო ქალის მოალერსე თვალები უყურებდნენ და მანაც შეხედა. მუდამ აკვირებდა და მოსწონდა მასში ჯიშის უცნაური გამოვლინება. გვარის სიმკვლე და ამპარტავნობა კი არ ყვიროდა, არამედ მისგან მოდენილი სითბო აკეთილშობილებდა ადამიანს, ელამუნებოდა. ახლაც იჯდა ეს სამოცდახუთი წლის ქალი, გაშართული, პირდაპირ მაცქერალი და კაცს ეგონა, ზურგზე მისი ხელები ეთათუნებოდა, მისი ოდესღაც საყვარელი, დამამშვიდებელი ხელები.

— ამ ორი თვის წინ საავადმყოფოში ვიწექი. ია მოვიდა სანახავად, ისევ ისეთი ლამაზია.

კაცის სახეზე, როგორც მიწაზე ღრუბლის ჩრდილმა, წყენამ ისე გადაიარა.

— ჩანს კეთილშობილებას მართლა ურევია ბოროტების მარცვლები. შენ რომ ჩემთვის ტალინშივე გეთქვა, რომ მისი სილამაზე სიბილწესთან იყო წილნაყარი, მეც იქ ვიქნებოდი, ჩემი მზის ქვეშ, ჩემი მამულის ღირსეული შვილი და არა გზააბნეული, რქებდადგმული კაცუნა.

ასმათს კიდევ ეუცხოვა მისი მაღალფარდოვანი ლაპარაკი.

— კეთილშობილება რა შუაშია, თორნიკე, ჯავრი ვიყარე შენზე, სამაგიერო გადაგიხადე. მაშინ მე ყველაფერი ვიცოდი. ის კაცი, უნივერსალის ღირექტორი, ჩემი კარის მეზობელი იყო, იას შენთან ქორწინების შეძღვევაც არ შეუწყვეტია მასთან სიარული. ვიცოდი, რა ვითარებაში მოგიწევდა ყოფნა და რატომ დაგიმალო, გაგიმეტე ამისათვის, ხოლო ჩემი თავი — სამუდამო ეჭვისათვის — მართლა ვარ თუ არა კეთილი. ისე, რომ მეთქვა, ვითომ დაიჯერებდი? არ იფიქრებდი, შურით მოსდისო?

კაცმა გაკვირვებით შეხედა, ამჯერად ქალმა აარიდა თვალი, ქუჩაში მოსიარულე ხალხს დაუწყო ცქერა. თითქოს აღმართის შემდეგ უტევანს გაუყვავო, ისეთი სიმსუბუქე იგრძნო.

კაფედან გამოვიდნენ. ასმათს არ უთქვამს, რომ ორ საათში თბილისში მიფრინავდა. თავი უბრუნდა. ლიქიორისაგანო,—დაასკვნა. რომელია სადარბაზოსთან შეჩერდა, აქ ვარ მეგობართან გაჩერებულიო. თორნიკემ შეიპირა, ზვალ დილითვე აუცილებლად დამირეკეო, მისი თავი რამოდენიმე წამით მკერდზე მიიხუტა და წავიდა.

იმავ დღეს დაბრუნდა თბილისში. შვილებს დაურეკა, უკვე აქა ვარო. შეშინებულები მოცივიდნენ, უსაყვედურეს, თავს არ უფრთხილდები, ჭაბუკსაც კი გაუჭირდება ერთ დღეში წინ და უკან ამხელა მანძილზე ფრენაო. რამოდენიმე დღე თავის სათაყვანებელ შვილიშვილებთან გაატარა. დაჟავდა პარკში, მულტფილმებზე, ერთად იღებდნენ სურათებს.

ერთი კვირის შემდეგ ასმათი დიდველზე გადადიოდა. გაიარა სოფელი საყურიანი, სეთურები. შეუყვა ციცხლისჯვრის გრძელ აღმართს, მერე დაუყვა ქოროლოს გრძელ დაღმართს. ნახა თამარისდროინდელი ბაზილიკა და ბოლოს კითხვა-კითხვით მიაღდა თალიკო ნაზლაიძის სახლს. შებინდებული იყო. თალიკო ძროხას წველიდა.

— ფუი, ეშმაკს! ფუი, ეშმაკს! რომელი ხარ?

— ასმათი ვარ, თალიკო, ნუ გეშინია, მე ვარ.

— ასმათი! შენი ჭირიმე, ასმათ, როგორა ხარ, გენაცვალოს ჩემი თავი, როგორ გაჩნდი აქა?

ერთმანეთს გადაეხვიენ. სანაქებო ხაბიზინები დააცხო თალიკომ. ქაფქაფა, სურნელოვანი რძით გაუმასპინძლდა.

— ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი. ლადო დუშეთს წავიდა შუადღისას. ზვალ თავმჯდომარეებს თათბირი აქვთ მდივანთან. მარტო ცცხოვრობთ მე და ჩემი კაცი. ისიც თუ არ არის, ისეთი კუნაპეტი სიბნელე იცას, სუ არარსებული ეშმაკებისა შეშინია. ქალი თბილისში მყავს გათხოვილი, ბაღლი ფასანაურში ჩასახლდა, უგზოობამ და უშუქობამ შემაწუხაო. უმრავლესობა ორჯონიკიძეში გადადის საცხოვრებლად. გაგიგია, ასმათ, თბილისიდან ასოცდათი კილომეტრით დაშორებულ სოფელში გზა და შუქი არ მოდიოდეს, თამარის ეკლესიასაც როგორ მოუხდებოდა განათება... თავი გაგაბეზრე ამდენი ლაპარაკით. შენ როგორა ხარ, ჩემო ასმათ, თავი ხომ არ გაწუხებს?

— არა, კარგად ვარ, არაფერი არ მაწუხებს.

— კარგად გამყოფოს ღომისის ძალამ. ნინო როგორ არის, გეცოდინება...

— ახლახანს მის შვილს ტყუპი ბიჭი შეეძინა. გადარეული ბებიია, მეც რომ მიკვირს, ისეთი.

— სოფელი სეთურები ხომ ამოიარე, იმის ქვევით სოფელია — ზაქანი. სუ ზაქაძეები ცხოვრობენ. ოცდაათი წელი ვასწავლიდი იმ სოფლის სკოლაში მათემატიკას. დღე არ გამორეულა, იმ ამბავზე არ მეფიქრა. ხო იცი,

გრძელმა გზამ როგორ იცის. ერთ ლომისობაზე ცხვარიც კი დაეკარგა ზატს და ღმერთს შეეხვეწე, ფიქრებისაგან მიხსენი-მეთქი. ღღესად ორმოცდახუთი წლის შემდეგ, ვერაფრით ამიხსნია, როგორ მოვხვდი დათოსთან. ყურში ახლაც მესმის, ტირილით თვალგუბანებული ნინო რომ მეუბნებოდა, არ იფიქრო, ზნედაცემული დათოს დაკარგვა უფრო მიმძიმს და იმიტომ ვტირი, შენ როგორ გააკეთე ისეთი რამ, ერთმანეთს თვალებში ვერ შევხედოთო. რამ გადაგვრია, სხვა კაცი დაილია ამ ქვეყანაზეო? მაზ-სოვს, მეორე ღღეს ლექციებზე მოვედი, გვერდით მოგიჯექი, ჩემზე უფრო ნატანჯი სახე გქონდა. ლექციები რომ დამთავრდა, გასასვლელში ჩემი ძმა დამხვდა, ნოდარი. მკლავში ხელი ჩამკიდა და შინ წამიყვანა. რამდენიმე თვე მქონდა მკლავზე სილურჯე. სიზმარი დამჩემდა, ვითომ გველის წი-წილი მყავდა მკლავზე შემოხვეული და თავისივე კუდის პირში ჩადებას ცდილობდა, ვერ წვდებოდა და მარწუხივით მიჭერდა. მკლავდა ნოდარი, ის გოგო შემოგვესწრო, სახელი აღარ მახსოვს, ნინოს მეზობელი, ვინც ჩემს ძმას უამბო ყველაფერი. სიკვდილს კი გადამარჩინა, მაგრამ... მთელი სი-ცოცხლე შენზე ვფიქრობდი, ასმათ, შენს მიმტყეებლობაზე, სიკეთეზე. მა-რთალია, შენც აღარ მელაპარაკებოდი.

ასმათმა ხელი გადაუსვა გაუხეშებულ ხელზე.

— შენზე ნატანჯი სახე იმიტომ მქონდა, თალიკო, რომ ვიცოდი, გასა-სვლელში ნოდარი უნდა დაგხვედროდა. ვიცოდი და არ გითხარი. ვერ გა-დაწვევითე მეთქვა თუ არა. ტყუილად გგონია, რომ შენზე ან სხვაზე უკე-თესი ვარ, რომ მოეკალი, მხოლოდ ჩემი ბრალი იქნებოდა. გადარჩენითაც ისევ სხვამ გადაგარჩინა.

თალიკომ გაოცებით შეხედა:

— არა მჯერა, რომ იცოდი.

— დაიჯერე, ვიცოდი...

— სასიკვდილოდ რომ გამიმეტებდა, ის ზომ მაინც არ იცოდი?

— გემუქრებოდა...

ასმათმა დაინახა, უკან როგორ დააბრუნა თალიკომ თვალებში მოწო-ლილი ცრემლები.

მეორე ღღეს გზამდე გამოაცილა, შემხვედრ მანქანაში ჩასვა და მიაძახა, მაინც ძალიან მიყვარხარო.

საღამოს სახლში იყო... შვილები ესტუმრნენ. ბედნიერი იყო, როცა ორივეს ერთად ხედავდა. უხაროდა ჭკვიანი და მშვენიერი ქალიშვილების ცქერა. ჩაის სმის დროს ალერსიანად უსაყვედურეს, სახელი გამოგიძებნეთ, ზედგამოჭრილია შენთვისო.

— მაინც რაო?

— რაო და, რაფიელ დანიბეგაშვილიო.

სამივემ გადაიკისკისა.

— კარგი, არ გაგიმტყუნებთ გამოგონებას, ზვალ ბათუმში მივდივარ.
შვილებმა სიცილი შეწყვიტეს. ჯერ დედას შეხედეს გაოცებით, მერე
ერთმანეთს მიაპყრეს შიშამდგარი თვალები.

ახლა ბათუმისკენ მიმავალ მატარებელში იწვა და ყურში ჯერ ისევ
თავისიანების ზმა ესმოდა, ნუ წახვალ, შენთვის ამდენი მგზავრობა და
კლიმატის ცვლა საზიანოაო.

დილით ჩავიდა, ნაწვიმარი ქალაქის და ზღვის სუნი ესიამოვნა. ფეხით
წავალო, გადაწვიტა, სანაპიროზე გაისეირნა. ზღვა წყნარი იყო და ყვე-
ლაფერი ისეთი, როგორიც მას უყვარდა. უსასრულობა და უპორიზონტო
სივრცე. ბანაობა მოუნდა. ესიამოვნა ცივი წყალი. ნიშნამდე გაცურა და
მეტს ვერ შევძლებო, ნაპარისაკენ გამობრუნდა. ნინოშვილის ქუჩაზე, ოც-
დამეშვიდე სახლის ეზოში შევიდა. ხანში შესულ ქალს ეზოდან შინ ყვავი-
ლებიანი ქოთნები შეჰქონდა.

— მაიკო, მომეცი პირსახოცი, თმა შევიმშრალო.

ქალი ჭიშკრისაკენ მოტრიალდა და კარგა ხანს უყურა გაოცებით.

— დედუ, რავა გიჟად დარჩენილხარ ისევ! იბანავე ხომ, შე ბებრეკო.
რას დამდგარხარ და მიეყრებ, შემოშავდი შინ. შენი ავადმყოფობა მაკლია,
კიდეუ!

სულ წყევლა-კრულვაში ეფერა და ეალერსა მაიკო დიდი ხნის უნახავ
მეგობარს. არ დაანება, თვითონ შეუმშრალა თმა, ქოთქოთებდა ახლა ბანაო-
ბა ვის გაუგიაო.

— ამ ბოლო დროს ისე საშინლად მომენატრა ზღვაში ბანაობა, სურ-
ვილს ვერ მოვერიე, თან სიზმარშიც გნახე, მაიკო; ვიფიქრე, ჩავუვლი, სიკ-
ვდილამდე ერთხელ კიდეუ მოვინახულებ-მეთქი.

— აპირებ უკვე? ისე გასულელებულხარ ჩემი დაია, დროა, ალბათ.
რომ დაგინახე სველი, გაცრეცილი, შეშინებულსაც გავდი, რა გამახსენდა
თუ იცი, გახსოვს პრაქტიკას რომ გავდიოდით ტრიკოტაჟის ფაბრიკაში?

— კი მახსოვს.

— რომ მოვარდი ერთხელ ჩემთან, მაიკო, მიშველეო. ა, არ გახსოვს!
ვიღაც გომბიო რომ მუშაობდა, სამედიცინოდან ვარ გამორიცხული და აქ
აღდგენისათვის ვმუშაობო, ამბობდა...

— ჰო, ის გაგახსენდა, ლიფტით ბამბა რომ ჩაგვექონდა?

— როგორ ვითხრა, რავარი კარგი წელი გაქვს, რავარი კარგი ტუჩები,
ერთი მაკოცნიეო...

— შენ იცინე და ლიფტის კარი რომ არ გაღებულიყო, შიშით გული
ვამისკლებოდა.

— თბილი რძე გინდა თუ ჩაი?

— ჩაი მინდა, მუქი, მაიკო, თუ არ შეწუხდება.

— ჩაიწვიტე ზმა! თუ არ შეწუხდება... ისევ ისეთია...

— ერთხელ რომ მითხარი, ორი წუთით გავალ, ჩემს დაზგასაც მიზედე, ძაფი არ გაწყდესო, თუ გახსოვს?

— აბა! არ მახსოვს. მაგისტანა რამდენჯერ იქნებოდა. რაიო, მერე?

— გახვედი თუ არა, შენთან და ჩემთან ერთდროულად გაწყდა წვერი. იმის მაგივრად, უცბად გამომენასკვა ორივე, ვიდექი და ვფიქრობდი, პირველად რომელ დაზგასთან მივსულიყავი. გული ჩემსას მთხოვდა, გონება შენსას. ვერცერთს ვერ მოვერიე. იმდენ ხანს ვიდექი მონუსხულივით, ბაბინამ ტრიალი დაამთავრა. ცუდი გრძნობა იყო, იმდენად ცუდი, ბევრჯერ მის გახსენებაზე სიხარული მომეშხამა.

— მოიგონა რაცხა, მე სულ არ მახსოვს მაგენი.

— აბა, შენ როგორ გეხსომება.

ბევრი ისაუბრეს. შვილებით თავი მოიწონეს, შვილიშვილების სურათები აჩვენეს ერთმანეთს. მთელი ზაფხული ჩემთან გაატარესო, სიყვარულით ყვებოდა მაიკო.

მეორე დღეს თბილისში იყო. მეტროს გასასვლელში მის მაგივრად ვილადამ მონეტა ჩააგდო. შეხედა, ვერ იცნო.

— მე კი, მატარებლიდან ჩამოხვედით თუ არა, მაშინვე გიცანით, ქალბატონო.

— ახლა მეც გიცანით, შვილო. საავადმყოფოში იყავით ჩემთან, მეზობელს ეძებდით. იპოვნეთ?

— ვერ ვიპოვნე. როცა ძალიან მინდა რამე, არ მისრულდება.

— თქვენც ბათუმში იყავით?

ახალგაზრდა კაცმა გაიცინა.

— რატომ მაინცდამაინც ბათუმში, იქნებ მცხეთაში?

ასმათმაც გაიცინა.

— ქურდს ქუდი ეწვისო, ზომ გაგივიათ?

— არსად არ ვყოფილვარ, ჩემთვის ძვირფას ადამიანს ველოდი და არ ჩამოვიდა.

— ნავსიანი ზომ არა ხარ, შვილო?

— კარგია, ნავსიანი რომ მითხარით. სხვები უიღბლოს მეძახიან და არ მომწონს.

სახლამდე მიაცილა. ასმათმა შინ შეიპატიჟა ჭიქა ყავაზე. საუბარში, სიცილში, ერთმანეთის ამბების მოყოლაში დრო ისე გაფრინდა, შებინდება ვერ შენიშნეს.

წასვლისას ახალგაზრდა კაცმა სიცილით უთხრა:

— არ მოისვენებო, ალბათ, კიდევ წახვალთ სადმე, მშვიდობით მგზავრობას გისურვებო, დედა!

ამ სიტყვაზე ასმათი ოდნავ შეკრთა.

— ბოდიშს გიხდით, ქალბატონო, პირველად ვთქვი ეს სიტყვა და, ალ-

ბათ, ისე არაბუნებრივად რომ, მგონი შეგაშინეთ.

— არა, შეიღო! კი არ შემაშინეთ, პირიქით. აი, მაშინ, საავადმყოფოში რომ მოხვედით..

— ძალიან მინდოდა თქვენნაირი დედა მყოლოდა.

ძიბრუნდა და წავიდა.

ასმათმა კიბისთავიდან ჩასმახა, საღამოობით სახლში ვარ ხოლმეო. დაწოლის წინ ნინოს დაურეკა. თავის ვიზიტებზე გაკვრით უამბო და შეპირდა, ხვალ გამოვივლიო. კვია დაიძინა.

აღიონზე ფანჯრიდან თავისი სახელი მოესმა. ის ქალი იყო, ერთხელ უკვე სიზმარში ნანახი, თეთრი კაბა ეცვა და ასმათს ეუბნებოდა, შენს წასაყვანად მოვედი, კოშკიან სახლთან ხეხილი აყვავდაო.

ლალი გოგონაიშვილი

იყიდეთ ყვავილები!

თეთრი სამყარო, თეთრი ზღაპარი — თეთრი ოცნება. ხომ ლამაზია? თეთრი ფერიაც ლამაზია, ნაზია. პატარა და ნაზი. თეთრი გოგონა, თეთრი ფერიის მსგავსი. მიღის, უღიმის ყველაფერს.

პატარაა, ბავშვია, წმინდაა. გაზაფხულის პირველი დღე უხარია, ამიტომაც იღიმება წმინდა ღიმილით.

უცებ შეჩერდა. უცებ გაფუჩდა. ქუჩის ბოლოში მოხუცი დაინახა. შევერცხლილი თმა-წვერი ჰქონდა, სევდიანი თვალები, მუქი-ლურჯი, უძირო ზღვასავით ღურჯი თვალები. ხელში კალათა ეჭირა, გაზაფხულის პირველ ყვავილებს ჰყიდდა. გოგონას გასაკვირად, ყვავილებს არავინ ყიდულობდა. მოხუცი სევდიანი მხერით იწვევდა გამვლელ-გამომვლელს, თვალებით ითხოვდა: „მოდი, იყიდეთ ყვავილები, იყიდეთ, გთხოვთ“.

გოგონა შეკრთა. ხელი ჯიბისაკენ წაიღო. შემდეგ გაიღიმა. შემდეგ მოხუცთან მიიბრინა, ერთი კონა იყიდა, გულზე მიეხუტა, მიუალერსა, აკოცა.

გამვლელებმა დაინახეს. მათაც მოუნდათ ყვავილები, ხუთ წუთში კალათა დაიცალა. მოხუცმა ცრემლიანი თვალებით გაუცინა გოგონას.

ის კი წავიდა. წავიდა თეთრი ფერია, — პატარა, ლამაზი, წმინდა ფერია, გულზე მიხუტებული ყვავილებით, ბავშვური ღიმილით გაცისკროვნებული.

დაუდე ზღვარი მელანქოლიურ
ფიქრებს შენსას და გაეშურე,
ო, გაეშურე, ყველა მოკვდავის
შიშნარევ თვალებს მიეახლე მხსნელად,
ნუგეშად!..

წადი, მოუფონე,
შეუჩერე ცრემლის ჩქერალი!
დარღვეულია რიტმი გულებში.
დაწყვეტილია თოკები გულიდან გულამდე.
ხედავ, ეხვევა იელის ბუნჩი
ცისფერ ღიღილოს.

თავაწეული ასპიტები აჰიპნოზებენ
მინდვრის ყვავილებს!..

არ გაქვს უფლება,
არ გაქვს უფლება,
შენ ამ გნიასში სტუმარივით იდგე მდუმარი.
დაუდე ზღვარი მელანქოლიურ ფიქრებს
შენსას, დაუდე ზღვარი და გაეშურე!..
დარღვეულია რიტმი გულებში.
დაწყვეტილია თოკები გულიდან გულამდე!..

დაწერე რამე...

კენესის ავდარში გადახნული
თეთრი ფურცლები. მონატრებია სიმშრალე
ნოტიო თვალებს.

დაწერე რამე უმტკივნეულო,
თუნდ ერთი დღისთვის, რომ დაგათროს და
გაგაბრუოს, დაწერე რამე!

მეზობლის გოგონა როიალს უზის,
ის, კუპიდონის ისრით ნაჩხვლეტი,
გულის საიდუმლოს კლავიშებს ანდობს...

დაწერე რამე!
უმღერე მთვარეს — მარმარილოს

თოვლისფერ ღვთაებას...
დაწერე რამე!
დათმე ერთი ღღე!
ღღეს მიუტევე ცდა შეცოდების,
ვინაც შენს გვერდით
დააბიჯებდა კაენის ხმალით.
ვინც ეცადა და ვერა ძალით ვერ გაგცვალა
ოცდაათ ვერცხლზე.
ვინც გვერდით გედგა წითელი ფანქრით
და შეგნებულად შენს შეცდომებს
არ ასწორებდა.
ვინც არწივივით გულს გიკორტნიდა,
მაგრამ ვერა და ვერ ამოგგლიჯა
იგი მკერდიდან.
დათმე ერთი ღღე!
იმღერე რამე უმტკივნეულო,
დაწერე რამე უმტკივნეულო,
თუნდაც ამ ღღისთვის
დაწერე რამე!...

ო. ის ტიროდა...

ატმის რტოო, დაღალულო რტოო...
გალაკტიონი

სიცილის კონტურებს ხაზავს
პოეტი ზეცის დაფაზე
და ბრბოს წინარე ტრიალებს იგი
მწყრალად მზირალი, რადგან ქროლაში ქარის
ქარის ხმა ესმით მხოლოდ, სხვა არაფერი.
ო, ის იცინის. ო, ის იცინის და იღვენთება
ერთადერთი დასტურის მოლოდინში,
რომ თქვან, ტირისო პოეტი.
სიცილის კონტურებს ხაზავს
პოეტი ზეცის დაფაზე...
რალაც მოხდება მინავებული დაისის ფერი


და იმ სიბნელეში მოიხილავენ უშკაცრეს
სასჯელს,
ცას რომ გადაფურავს წეროთა
მწკრივი — უკანასკნელი ანარეკლი პოეტის
ყოფნის.
ო, ის ტიროდა — იტყვიან დანანებით
და ათრთოლდებიან დაღალული
ატმის რტოები.

საით გარბიან ცისფერი ცხენები?

ქარი,
ყვითელი ქარი — ეოლოსის რისხვა.
ველარსად გაექცევი.
რკინის ყვავებმა დააფრთხეს ცისფერი
ცხენები.

საით გარბიან?
აღარ მშობიარობენ,
აღარ მშობიარობენ,
აღარ მშობიარობენ ცისფერი ცხენები.
საით გარბიან?..
ნაქალაქარებში, ნაპროსპექტალებზე,
ნასოფლარებში
დინოზავრები დადიან!
დინოზავრები დადიან!
დინოზავრები დადიან!
ეოლოსის რისხვამ ჩაყლაპა კაცობრიობა.
საით,
საით,

საით გარბიან ცისფერი ცხენები?
ღმერთო, გვაშორე ეს ავი სიზმარი!
ღმერთო, გვაშორე ეს ავი სიზმარი!



წერილი, რომელსაც შენ ველსა წაიკითხავ

ღამას ორი საათია. რული არ ეკარება თვალებს. მე ისევ და ისევ არ მახსოვს მერამდენედ, კვათხულობ შენს სახელზე გამოსაგზავნ წერილებს, სათუთად კეცავ და ვინახავ.

ასევე სათუთად შევავლებდი ხელს ძველ წერილებსაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი აღარა მამქს.

მიზეზი?

მიზეზი ჩემი ახირებული ხასიათია: ვუშინ დაწერილი დღეს აღარ მომწონს, დღევანდელი კი ხვალ არ მომეწონება.

აი, რატომ გავანადგურე იმდენი სიტყვა და იმდენი სინაზე.

მე ვარ დამნაშავე, მხოლოდ მე.

ეს მე დაუდექი ჯალათად ქალღმრთელზე გადატანილ ჩვენს გრძნობებს.

ეს მე გავატანე ისინი მსუსხავ ქარს. შენ პირიქით, რარივ ელოდია-ვებოდი თითოეულ სიტყვას, ქალღმრთელის თითოეულ ნაგლეჯს. ო, როგორ გიყვარდა ისინი.

რას ვერჩოდი მათ, ვის რას უშავებდა?

— წამხდარ საქმეს აღარაფერი ეშველებო, — მეტყვოდი ხოლმე შენ. სჯობს წუწუნს თავი დავანებო და დავიწყო უკანასკნელი წერილის წერა, წერილისა, რომელსაც ჩემი ხელწერა კი დააბოლავებს, მაგრამ შენ ვერ მიიღებ და ვეღარ წაიკითხავ.

გახსოვს?

1944 წლის აპრილი იყო. ინსტიტუტიდან სახლში ვბრუნდებოდი. რუსთაველის თეატრის წინ მსახიობები იდგნენ. მე მათ მივესალმე და გზა განვაგრძე. ორი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, რომ ერთი მათგანი ჩემსკენ წამოვიდა, გზა გადამიჭრა, მხეცო-მეთქი, მივაძახე და უკანმოუხედავად გავიქეცი სახლისაკენ.

გავიდა დრო და გავიგე, რომ ის „მხეცი“ თურმე შენ ყოფილხარ...

თუ გახსოვს, მეორედ სად შევხვდით ერთმანეთს? — ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ ბათუმის თეატრში გამანაწილვს. გამომდებელი ვიყავი ხელოვნების სამმართველოში, შენც იქ დამხვდი. მშობლიურ ბათუმის თეატრში გაბრუნდნენ.

მე ფეხს ვითრევდი. მიჭირდა თბილისთან დაშორება, მაგრამ შენ ისე დამიხატე ბათუმიცა და მისი თეატრიც, რომ იქ წასვლაზე თანხმობა განვაცხადე.

ჩემს წინ ახლა ის „მხეცი“ კი არა, ბავშვივით დამორცხვებული ვაჟ-
კაცი იდექი. მიუხედავად რაინდული გარეგნობისა, შენს გამოხედვაშიც
და ქცევაშიც იყო რაღაც ბავშვური და, ალბათ, ამიტომაც მთელი სიცო-
ცხლის მანძილზე „დიდი ბავშვის“ სახელით იყავი მონათლული. ალბათ,
ამიტომაც სიყვარულს, რომელიც შენ ოცდახუთმეტი წლის წინ მომაბა-
რე; დღესაც თითო ბავშვივით ველოლიავენბი.

მახსოვს, უშენოდ პირველად წავედი თბილისში. ჩამოსვლის დღე
ვერ გაცნობე. მოვიდიოდი და ვფიქრობდი, სადგურში თუ დამხვდება-მეთქი?

დაგხვდებაო! — მეუბნებოდა გული, გონებამ კი ჩამჩურჩულა, ნუ აჰყ-
ვები მაგის თქმას, არ იცოდა, როდის ჩამოსვიდოდი და როგორ დაგხვდე-
ბაო...

აი, მატარებელი მიუახლოვდა ბათუმის სადგურს და გული საგულე-
ში ველარ გაგაჩერე. ხალხმა დაიწყო ჩასვლა. ვაგონი დაცარიელდა.
ჩემს შგში აღარავინ დარჩა. როგორც იქნა, ავდექი, ფრთხილად მიუვახ-
ლოვდი ფანჯარას, გავინედე და... ცარიელ პერონზე შენ დგახარ, აქეთ-
იქით იფურები... გამარჯვებული გული სიხარულით ხტოდა, — ხომ გეუბნე-
ბოდი, ზომ გეუბნებოდიო!

მოდი და ამის შემდეგ ნუ აჰყვები გულისთქმას! იმ წუთიდან მე მხო-
ლოდ შენი სახე ვიწამე, მე მხოლოდ შენი გული ვიწამე.

შენ ახლაც უძირო ცა ხარ ჩემთვის. იცი, იუსუფ (ახლა უნდა გავი-
მხილო), შენ რომ გძინავდა, მე დიდხანს დავყურებდი შენს სახეს და სიხა-
რულის ცრემლით ვტიროდი. საოცარია, აქამდე, რომ ყველას ვუმალავდი
ჩემს გრძნობას, ახლა რატომ გავყვირი ასე ხმამაღლა?

კიდევ რა გამახსენდა, იცი? — „მოვიდნენ, მოვიდნენო!“ — სტუმრებმა ერთმანეთს გადაურჩურჩულეს
და ჩვენც გადავაბიჯეთ საოცრად ღამაში შენობის ზღუბლს. მივდივართ
და უკან მიგვეყვება მთელი ამაღა მეგობრებისა. მივდივართ და ნათელსა
გვეუენს ათასფრად მოელვარე ჭალები. კიდევ რამოდენიმე ნაბიჯი და, შე-
მოგვეგება სანდომიანი სახის მოხუცი, რომელსაც ხელში ორი ოქროს
ბეჭედი ეჭირა. მოგვიახლოვდა და გადმოგვცა...

აუგუუნდნენ დიდი ზარები, აწკრიალდნენ წვრილ-წვრილი ზარებიც
და ამ გრიალ-წვრიალში თანდათან უჩინარდებოდნენ აღამიანები. ზარები
კი ისევ ხმაურობდნენ. ისე ხმაურობდნენ, თითქოს გამოსცემდნენ რაღაცა
სიტყვებს. გაბახობდნენ, „გააღე კარიო!“. გავახილე თვალი და ახლა უკვე
ცხადად გავიგონე, „ხომ არ დაიხოცეთ, არ გესმით? გააღეთ კარიო!“

სიზმარი მოგიყვია. — კარგად და კეთილად აგვიხდეს ყველაფერიო, — მითხარი შენ.

— გისმინოს ბუნებამ-მეთქი, — გიპასუხე.

აკი აგვიხდა კიდეც.

მერე რა ვუყოთ, რომ შეუღლებიდან 12 წლის შემდეგ.

მერე რა ვუყოთ, რომ უკვე სამი შვილის დედა ვიყავი. გახსოვს, რომ გვკითხვს (ახლა უკვე ცხადში), ბეჭდებს ხომ არ შეუტყვლითო ერთმანეთს? მე ვუპასუხე, არა ვაქვს-მეთქი.

ან რად გვინდოდა ოქროს ბეჭდები, როცა მათ მაგივრად ჩვენ გულები შევუტყვალეთ ერთმანეთს. მე შენი გულით დავდიოდი, შენ კი ჩემით. დავდიოდით მანამდე, სანამ სიკვდილი ჩაგისაფრდებოდა.

მაშინ ჩემი გული შენ გაგატანე, შენი კი მე დავიტოვე. სამი წელია უკვე, რაც ჩემს გულში შენი გული ძგერს. სამი წელია, რაც შენი გულით დავდივარ და, ალბათ, ამიტომაც ხშირად ამბობენ ჩემზე, ვაჟაკის გული აქვს, თორემ ამდენ დარღს როგორ უძლებსო!

ის კი არ იციან, რომ ჩემი კი არა, ეს შენი გული უძლებს ყველაფერს.

ის კი არ იციან, რომ შენი კი არა, ეს ჩემი გული წევს მღუმარედ მაგ სამარეში.

ბედნიერი იყო ჩემთვის 35 გაზაფხული, 35 ზაფხული, ამდენივე შემოდგომა და აი, ჩამოღვა 31 იანვრის ღამე.

ცას ვარსკვლავები ციცინათელებივით შესეოდნენ. ერთი მათგანი მოსწყდა და გაუჩინარდა. თენდებოდა... ჩემთვის კი ბნელდებოდა ოცდამეზუთმეტე თებერვალი, თებერვალი, რომელმაც ხელიდან გამომტაცა შენი ხატება და მარტო დამტოვა.

მე მწამდა შენი ძლიერება და შენი უძლურება ვით ვიწამო?

როგორ ვიწამო, როცა უკანასკნელ წუთსაც კი ნამდვილი მეფე ესვენე სცენაზე. მაშინაც ვერავინ და ვერაფერმა ვერ დაგჩრდილა. პირიქით, შენს ჩრდილში ვისხედით ჩვენ და დავყურებდით შენს ქანდაკებად ქცეულ სახეს.

დავყურებდი და ვფიქრობდი, როგორ მისხლტებოდნენ ხელიდან ბოლო დღეები. დავყურებდი და რაც ძალი და ღონე მქონდა, ახლა საათებს ვებლაუჭებოდი. შემდეგ წუთებს დავუწყე მუდარა, ბოლოს წამებს, მაგრამ ამაოდ. ზეაგწიეს და ის იყო, სცენის ზღუერბლს უნდა გასცდენოდი, რომ დარბაზში მსხდომ ხალხში ვიღაცის ხმამ იჭექა: „არა, არა, ასე არ შეიძლება, ასე მღუმარედ მისი გაცილება წარმოუდგენელია, ასეთებს მხოლოდ ტაშით უნდა აცილებდნენ!“ და შემოჰკრა ტაში. შემოჰკრეს სხვებმაც. იგორიალა ტაშმა და ტაშის გრიალში გაგიყვანეს სცენიდან. მთელი ქალაქი მიგაცილებდა. სანაპიროზე გემებმაც საყვირით გაგაცილეს (ახლა როდესაც იმ წუთებს ვიხსენებ, ვიცი, რომ ჩვენი სანაოსნოს ერთ გემს სულ მალე შენი სახელი დაერქმევა).

აი მივედით კიდეც შენს მუდმივ სამყოფელში. ყველამ იცოდა, რომ გაგიჟებით გიყვარდა სიცოცხლე, ასე აღვილად ვერ შეეგუებოდი მასთან განშორებას.

მე კი: „დღეაო მიწავ, დღეიდან შენ გაბარებ შენს შვილსა და მეუღლეს ჩემსას. დღეიდან შენა ხარ მისი პატრონი“...

გაზაფხული მაინც სიცოცხლისაკენ მოუხმობს ყველას, მეც დაებრუნდი უკან, რათა შენივე მომავლის, შენი შვილების ზრუნვაში დაველიო დარჩენილი დღეები.

იცი, იუსუფ, როგორც კი ვიძინებ, შენი სახე ჩემს სიზმრებში ჩუმაღ შემოიპარება, ხოლო როცა ვიღვიძებ, მაშინვე გულში გადმოინაცვლებს ხოლმე.

ცრემლი ამოშრა. მე ხომ მელნის მაგავრად ცრემლით ვწერდი ამ ბარათს. რამოდენიმე ადგილზე ცრემლი დამექცა კიდეც და ნაწერი წამიხდინა, მაგრამ გადათეთრება ვერ შევძელი.

იხევ ღამის ორი საათია.

იხევ რული არ ეკარება თვალებს.

იხევ ვკითხულობ ამ ბარათს, რომელსაც სასწრაფოდ ვკეცავ და ვმალავ, რადგან ვაითუ, ხვალ აღარ მომეწონოს და...

ნინო საკანდელიძე

შესვენდრა წარსულთან

წარსულის ბილიკს მივეყვები
ნელა,

სულ სხვა კრძალვით და რიდით,
ბავშვობის ნაპირს მივაღექი და
გადავიარე ხიდი.

შემომეგება ია სინაზით

იმ გაზაფხულის დილით,

ყველა ხის ძირში თითქოს

ყვავილობს

მოგონებები ტკბილი.

რამდენი კარგი დღეები მახსოვს,

ხვედრიც მქონია მიმე,

მაგრამ ოცნებით ვეფერებოდი

მომავლის დღეთა, იმედს.

და მაინც წარსულს როცა
ვიხსენებ,

სევდა მაწვება დიდი, —

დედ-მამა აღარ მომეგებება

ჩვეულ ღიმილით მშვიდით.

მაგრამ ხმა მესმის, ვით

გაფრთხილება:

„ერთგული იყავ ფიცის,

შენი კუთხის და შენი ხალხისა,

შენი მშობელი მიწის!“

ჩემი ბავშვობის წმინდა ალაგო,

დარდს არ ჩავიხვევ ბინდად,

შენი შვილი და შენი ღვიძლი

ვარ,

აკლავ შენი სითბო მინდა.

გეგრაღოღას! გიჟვარდას! გზაღას!

ასე მგონია, ყველაფერი სიბრაღულით, სიყვარულით და რწმენით იწყება. ყველაფერი იმით იწყება, „შელის ნუკრის ნამბობის“ წაკითხვისას ცრემლით რომ აგვესება თვალი. თუ ასე არ მოხდა, მაშინ რაღად გინდა მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეულით კარადის გამოჭედვა? შენ თუ კაკანათში გაბმული ჩიტი ან მაგდანას ობლები არასოდეს შეგბრალებია, ჰიუგოს „საბრალონს“ ტყუილად კითხულობ.

დაიხ, ყველაფერი სიბრაღულით და სიყვარულით იწყება! შენ, ალბათ, ექიმობაზე ოცნებობ. ეს იცოდე: ავადმყოფს ჯერ ტკბილი სიტყვა უნდა გამოუწერო და მერე, შეიძლება, წამალიც არ დასჭირდეს.

შენ კი, ვიცა, მასწავლებელი იქნები. დაიხსომე: კლასის კარებს რომ შეაღებ, მერხებზე პირდაღებული შოშიები დაგხვდებიან, შენგან საზრდოს რომ ელოდებიან. იცოდე, ამ ბარტყების მოტყუება დიდი შეცოდებაა, ამიტომ ყოველგვარი წყენა ზღურბლთან უნდა დატოვო! არ მწამს ის მასწავლებელი, ერთხელაც თუ ორმოცდახუთ წუთს არ „გადაუშორდა“ გაკვეთილი, არც ის, სკოლის კიბესთან ატუზულ მტირალ გოგონას გულგრილად რომ ჩაუვლის... შენ ადამიანს ქმნი, ფასდაუდებელ განძს დედამიწის ზურგზე!

კაიკაცობა მხოლოდ სამსახურში დროზე გამოცხადება, სახლში ხელფასის უკლებლივ მიტანა არაა. კაიკაცობა იმით იწყება, შენ რომ იქნებ უბრალო რამეს უწოდებდე. კაიკაცობა კაი გამარჯობით იწყება; ტაქსის რაცში მეზობელს თვალს თუ აარიდებ და საღამოს მის სუფრაზე მეზობლობის სადღეგრძელოს სვამ, — არაკაცობაა! წინაპარი თუ გავიწყდება და ცრემლით დასველებული ბალიშის „სადიდებელს“ სვამ — არაკაცობაა! სხვის შვილს თუ მანქანით აცილებ სკოლამდე და საკუთარი მხოლოდ სიზმარში გხედავს, — არაკაცობაა!

შენ ახლა ისეთ ასაკში ხარ, ყველაფერი გეჩქარება, ყველაფერი გინდა მოასწრო. დროული კაცის დამაჯერებელი ტონით გიყვარს თქმა: „ეჰ, რა არ გამოვცადე!“ შენ ასე გგონია? არა, ჩემო კარგო, იმიტომაა წლები წინ, რომ გამოსცადო! დღეს რომ შენს საყვარელ არსებას გაებუტე, ქვეყნის დაქცევა ნუ გეგონება. ეს ხომ ყველა სიყვარულის „შემადგენელი“ და „განუყრელი“ ნაწილია. დიდი სიყვარულისათვის დიდი პატიება უნდა შეგეძლოს. იცოდე: გულწრფელს და კეთილთვალეზიანს არ ეღალატება! იცოდე: თუ გენდობა, აუცილებლად უყვარხარ! შენ კი გაბრაზებულზე ნუ

ეტყვი — არ მიყვარხარო, თორემ ისიც „გაბრაზებულზე“ ადგება და... სი-
ნანულს დაგიტოვებს, მოურჩენელ ტკივილს დაგიტოვებს და თვითონაც
ნაადრევად დაიღამებს წუთისოფელს.

სიყვარულისათვის სილამაზე არაა მთავარი, მთავარია, გული უნდა
გულობღვს... და თუ არ განიცდი, — არ გიყვარს, პირველი პაემანის წინა
ღამით თუ უშფოთველად იძინე, — არ გიყვარს! და თუ არ გიყვარს, ნუმც
ატყვებ.

შენ მომავალი დედა ხარ, პირველ ყოვლისა. ეს იცოდე: თუ შენმა პი-
რამიდამ შენი ხელფასის დღე უფრო ადრე დაიხსომა, ვიდრე შენი დაბადე-
ბის დღე, თუ ავტობუსში მჯდომი გულგრილად უცქერის ფეხზე ღვინო-
საგან შეწუხებულ ხალხს, თუ ამხანაგისათვის ლუკმა არასდროს გაუყვია
და შენ მაინც, „ჯერ ბავშვია, არ იცისო“, ამართლებ, მაშინ რა აზრი აქვს
„დედის ღარიგების“ დაზეპირებას?!

შენ, ძველო მეგობარო, გაუფრთხილდი ახლებს, თორემ ძალიან მწა-
რეა ოხრად ჩავლილი მადლი, ძალიან მტკივნეულია მეგობრისაგან იარა!

აღამიანებო, გაუფრთხილდით ერთმანეთს, აპატიეთ ერთმანეთს, დაი-
ვიწყეთ ეს საძაგელი გამოთქმა: „სულაც არ მჭირდება“, მართალია, „მთა
მთას ვერ შეხვდება“, მაგრამ აღამიანი უაღამიანოდ არ იქნება!

გაივლის წლები, შენ ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟს მიულოცავ
კაცობრიობას ან დაზვასთან, ან მერხთან, ან ექიმის ხალათში, ან ცაში,
ან ზღვაში... ეს რომ შეძლო, — ლამაზად უნდა იცხოვრო ამ ქვეყანაზე!
მოთმინებით უნდა იცხოვრო! ნუ იფიქრებ, ახალგაზრდა ვარ და ყველა-
ფერს შოვასწრებო. ბევრი ცუდი თუ მოასწარი, კარგს ვერ მოასწრებ! ამი-
ტომ გებრალვობდეს! ამიტომ გიყვარდეს! ამიტომ გწამდეს!

ნონა ვარაზაშვილი

შენი ღიმილის მეყოფა

ქარი ღერწმიანს
ამღერებს,
ძთები დალაშქრეს
ნისლებმა...
— რადა ხარ მარტოსულიო,
თითქოს ვიდაცა მიწყრება.

ტყეს იკლებს ირმის
ბლავილი,
ძოთით თუ მოუხმობს
მეგობარს...
ნე ბევრს არაფერს ვინატრებ,
შენი ღიმილიც მეყოფა.

დავაპიანე

„სიყვარულის წიგნ“
მაღაზიაში ვერ მივუხწარი...

„სიყვარული“ რიგდებოდა წიგნის მაღაზიაში,
ის დღე იყო, იღვიძებდა გაზაფხული იაში,
მზე კოცნიდა თეთრ ალუბლებს, უსათუთეს ლიანებს,
„სიყვარული“ რიგდებოდა და მე დავაგვიანე.
რიგში იდგნენ ჭაბუკებიც, თუმც უმეტეს ქალები,
შეჰყურებდნენ წიგნის თაროს მომდიმარი თვალებით.
სევდა მწვავდა თვალთა უბეს, სევდა გაურიყავი,
„სიყვარულის“ რიგში, ღმერთო, აქაც ბოლო ვიყავი,
რომ მეთხოვა, იქნებ ვინმეს ჩემთვის რიგიც დაეთმო,
რომელიმე ღვთისმადლიანს იქნებ მსხვერპლი გაეღო,
მაგრამ სხვისი სიხარული ხელში როგორ ამეღო,
სხვისი წილი „სიყვარული“ სახლში როგორ წამეღო.
„სიყვარული“ დამითმეო, ვისთვის მეკადრებიანა,
სხვისი წილი გრძნობა გულით როგორ მეტარებიანა.
„სიყვარული“ რიგდებოდა წიგნის მაღაზიაში,
ის დღე იყო, იღვიძებდა გაზაფხული იაში,
სევდა მწვავდა თვალთა უბეს, სევდა გაურიყავი,
„სიყვარულის“ რიგში, ღმერთო, აქაც ბოლო ვიყავი.
და როდესაც დახლთან მიველ კითხვიანი თვალებით,
„სიყვარულით“ ხელში ლაჟვარდს შეუერთდნენ ქალები.
შერჩენოდა წიგნის თაროს ერთადერთი კრებული
და გამყიდველს ისიც მისთვის ჰქონდა გადაღებული...
მზე კოცნიდა თეთრ ალუბლებს, უღამაზეს ლიანებს,
„სიყვარული“ რიგდებოდა და მე დავაგვიანე.

გულნარა გოლქვაძე

•
კარს მოგვადგა გაზაფხული
ნაირ-ნაირ ფერებით,
ფრთახატულა ჩიტუნებით,
მოქარგული ველებით.

საოცნებო გაზაფხულმა
გააღვიძა მთა-ბარი,
ხევში წყარო აამღერა, —
სიყვარულის მაყარი.

გ ა მ ნ რ ბ ა

უბრალოდ გაიცნეს ერთმანეთი. გოგო ცოტას ხატავდა. სთხოვა ბიჭმა, მაჩვენე შენი ნახატებიო. აჩვენა გოგომ. ყველა მოუწონა ბიჭმა, მაგრამ ერთი მოთხოვა — „გოგონა ფანჯარასთან“. აჩუქა გოგომ. მეორე დღეს გოგოს სახლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს. არ ეშინოდა გოგონას ჭორიკანა მეზობლებისა, არ ეშინოდა და რა ექნა!.. ბიჭი ღუშდა. გოგო ლაპარაკობდა, მალე ისიც დადუშდა. რაიმე საინტერესოს მოსმენა უნდოდა ბიჭისაგან, ბიჭი რატომღაც ვერ ახერხებდა. არ უყვარდა გოგონას უაზრო ღუშილი. ხიდზე ავიდეთ და იქედან სირბილით დავეშვათო, — სთხოვა ბიჭს. ჩაიშუხლა ბიჭმა და ჩაბჟირდა სიცილისაგან.

— რა გაცინებსო? — ჰკითხა გოგომ.

— არაფერი, ისეო, — უპასუხა.

ავიდნენ და დაეშვნენ. ისე მირბოდნენ, თითქოს ვიღაცა მისდევდათ. გალიეს ხიდი. შეჩერდნენ. ერთმანეთის გულების ბაგა-ბუგის ხმა ესმოდათ. მერე ზღვისპირას გაისეირნეს. ზღვასთან ახლოს დიდ ქვაზე ჩამოსხდნენ. ვიღაც კაცი მიუახლოვდა.

— აკრძალულია აქ ჯდომასო, — მკაცრად უთხრა.

აღდგნენ.

— სხვაგან დავსხდეთო. — შესთავაზა ბიჭმა.

არ უნდოდა გოგონას სხვაგან, იმ ქვაზე ჯდომა ერჩინა ყველაფერს.

— კიდეც როდის შეეხვდეთ ერთმანეთსო? — ძლივს ამოღერდა ბიჭმა.

— ერთი თვის მერეო. — მიიღო პასუხად.

ბიჭი გრძნობდა გოგოს უცნაურ ხასიათს და არაფერი უთქვამს. „კარგო“, — მხოლოდ გოგოს სახლთან დაშორდნენ ერთმანეთს.

გავიდა ერთი თვე. მივიდა ბიჭი და გაჩერდა დიდი სახლის წინ. არ ძისულა გოგონა. გაბრაზდა ბიჭი გოგოზეც და საკუთარ თავზეც. უცადა, უცადა და წავიდა მერე. ამის შემდეგ აღარ შეხვედრია ბიჭს გოგო. და აი, ერთხელ როგორღაც შეამჩნია ვაჟმა ჩაბნელებულ კინოდარბაზში. გოგო ძარტო იყო. ვაჟს ამხანაგები ახლდნენ. ადგა და გადაჯდა გოგოს უკან. გოგონამ თავი მიაბრუნა. ერთმანეთს მიესალმნენ. რატომ არ მოდი იმ დღესო? — ჰკითხა ბიჭმა. გოგო ღუშდა. ბიჭი თავის ამხანაგებს დაუბრუნდა. ცოტა ხანში დაინახა ბიჭმა, თუ როგორ გავიდა გოგონა კინოდარბაზიდან. არ აძლგარა.

დიდხანს იხეტიალა გოგომ მიყრუებული ქუჩებით, დიდხანს იფიქრა, რატომ არ მივიდა, იმ დღეს იმ ადგილას. ვერ მოუძებნა თავის საქციელს მიზეზი და სახლში წავიდა.

ვერ უყურა იმ საღამოს ბიჭმა ფილმს, უბრალოდ, კინოეკრანს უყურებდა. სახლში რომ მივიდა, მაგიდას მიუჯდა, გოგოს ნაჩუქარი სურათი გადმოიღო და წინ დაიდო. საოცრად ფიქრიანი თვალები ჰქონდა ფანჯარასთან მომდგარ გოგონას, საოცრად ფიქრიანი... უყურა ვაჟმა, დიდხანს უყურა. მერე ხელები მაგიდაზე ჩამოიღო, თავი ხელებში ჩარგო და ჩაეძინა.

ნელი ლაითაძე

საღღერძელო

ჩამოუსხამთ თავანკარა ღვინო, —
თუ გრძნობებით აუვსიათ თასი? —
გამარჯვება ნუ მოშლოდეს ქვეყნად,
ვინაც იცის სიყვარულის ფასი.
საღღერძელო მისიც უნდა შევსვათ,
ვინც შეცდომის პატიება იცის,
ვისაც ძმისთვის გაუწვდია ხელი, —
ეს სასმისი ალალ იყოს მისი!
ჩვენი ხალხის უკვდავებას ვლოცავ,
რწმენა გეკონდეს მტრის წინააღმდეგ ფარად,
საქართველოს სიყვარულის იყოს,
საქართველოს გაუმარჯოს მარად!

ნაზიზროლა მიქელაძე

მზის სანახავად ამოწვერილ ბალახის ღეროს
მივუაღერსებ და შევახებ ბაგეს სინაზით,
სუსტს და უმწეოს, ისე მინდა ვით
მოვეფერა,
და სულს ავივსებ სითბოთი და თეთრა
სინათლით.
ჩუ, ყური უგლეო, იღვიძებენ ხეზე კვირტები,
გული ხმაურობს, მეცხრე ცაზე გრძნობა
ასულა,
და საქორწილო თეთრ კაბაში მარტი
ირთვება —
ეს ჭირვეული, მაგრამ მაინც სათნო ასული.

გერონ ნიჟარაძე

უშგულში წვიმდა. კარავი დავდგით,
მწვანე კარავი ლურჯკარიანი.
უამინდობის არ გვქონდა დარდი,
გულში გაჰქონდა წვიმას წკრიალი.
წვეთები ფოთლებს დაჰკიდებოდა
და როგორც ბავშვი, ტიროდა ტოტი.
ჩვენს კარავს ფოთლის სურნელი ჰქონდა
და ჩვენ სანუკვარ ფიქრს მიველტვოდი.
გვეჩვენებოდა, მთელი სამყარო
იცინოდა და გულში გვიკრავდა.
თვალებში მდგა ცის სიანკარე
და გვერდით მყავდა, ვინაც მიყვარდა.

5555 5505095

29

გ მ ა დ ლ ო ბ!

ის საწყისია გულის სინათლის
და აკვანივით თბილია... გმადლობ!
ის სამერმისო გზასაც მინათებს
და მნათობივით მივლის და მათობს.
დავეწაფები

გულანთებული

იმ დიდ სიყვარულს,
ძლიერს და სანდოს...

და მერე გეტყვი,

ათასჯერ გეტყვი:

ჩემო ქვეყანავ,

მიყვარხარ, გმადლობ!

ნათელა ივანაძე



გუშინდელ წვიმის ის სამი წვეთი
შემორჩენია ჩემს ფანჯრის მინას,
თითქოს ოცნების გზას მინათებდეს —
სამი ვარსკვლავი ელავს და ბრწყინავს,
დილით კი აღრე, მზე რომ იღვიძებს,
წვიმის წვეთები უკვალოდ ქრება,
მაგრამ ოცნებას ვერაფერს წაშლის,
ის სამი წვეთი სიზმარში რჩება.

ნანული კეკელიძე

აჭარის ფეხალი

გაზაფხულს აუმღვრევია
დაუდულარი მაჭარი,
კალაპოტში ვერ ეტევა,
ბობოქრობს წყალი აჭარის.
ესე რამ აახშიანა,
რამ შეუცვალა გუნება? —
წარსულის დარდი აწვალებს,
მამულის განადგურება.

რამდენი ტანჯვა უნახავს,
რამდენი ჰქონდა სათქმელი,
ბდინარის ტალღა კი არა,
ის სისხლი იყო ქართველის.
ვარამი წარსულს ჩაბარდა,
ისევ აყვავდა ხეობა,
არ მოეშლება არასდროს
ქორწილები და ძეობა!

მიჯნურის ალით იწვოდა ზეცა,
ფხიზლობდა შენში ჩემი სამყარო
და აღსარება, ლოცვად შემდგარი,
ფრთებით აჰქონდა სივრცეში მერცხალს,
გული გაეხსნა მიწაზე ყვავილს.

* * *

ქვები ნაკოდი ზელით ამქონდა
და რწმენის ტაძარს ვაგებდი კლდეზე,
დღეი ნათლითა, ღამე სანთლითა
დილის პურივით ვთესე და ვთესე.
გესმის ძმობილო, გუგუნი ზართა?

* * *

შეცოდება რომ მაპატიე, ეგ როდი კმარა,
კვალში ჩამიდექ, დამატარე კარიდან კარად,
ცეცხლის ღადარი არ ანახო
ჩემს ღარიბ კარავს,
გადამატარე გაზაფხულის ანკარა ზეცა,
ქარში მამღერე...

ნუნუ სკამკოჩაიშვილი

დღეს ჩემი დღეა

გაზაფხულია, იის სურნელით
თვრება ქუჩა და მარტის ქარები,
ო, ისე ძლიერ მომნატრებიხარ,
რომ თვალებს ძილი არ ეკარება.
დღეს ჩემი დღეა, მაგრამ ყვავილის
ჩუქებას არ ვარ შენგან ჩვეული,
არ მომაშუქებ მაგ თვალთა სითბოს,
არ გეყვარები გამორჩეულად.
დღეს ამაყი ვარ, როგორც არასდროს,
გრძნობა გავშალე ქარში აფრებად
და თავხედობად ნულარ ჩამითვლი,
ასე საქვეყნოდ ფიქრის გამხელას.

მეოცნებე გოგონას ამავეი

ნეტავ, როგორია ბავშვობა? რამდენი ფეხი აქვს, რამდენი ხელი? რამდენი თვალი და ყური? ეს ხუმრობაა, მაგრამ მაინც, ნეტავი როგორია? ამბობენ, ვერ გაიგებო მის წასვლას. მე მგონი, ეს არ მოხდება, იმიტომ, რომ არ შეიძლება ვინმე ისე წავიდეს შენი ცხოვრებიდან, რომ ვერ შეიტყო.

ნეტავ როგორი ფერისაა ბავშვობა?

ალბათ, ვარდისფერი ან ზურმუხტისფერი, იქნებ ცისფერი? ღმერთმა ქნას, სამივე ფერისა იყოს — ცისარტყელას დაემსგავსება და მაშინ ძალიან, ძალიან ლამაზი იქნება. მზისფერი თმებიც მოუხდება და ზღვისფერი თვალებიც. და, საერთოდ, ჩემი აზრით, მის პოეტურ გარეგნობაში მთავარი თვალებია. ცრემლი სადაფისფერი და ძალიან სუფთა უნდა იყოს. სიცილი კი გადამდები, ლალი ექნება. სიარულისას ჩემი მეგობარი მიწას ოღნავ შეეხება. იგი ფეხის წვერებზე ივლის, რათა ისევე ჩუმაღ წავიდეს, როგორც მოვიდა. წავა, მაგრამ წასვლა დაღს დაგასვამს, — ლამაზი ცისფერი თუ ვარდისფერი ბავშვობისა.

ახლა კი, ზღაპარი არ გეგონოთ, იმას გიამბობთ, თუ როგორ იზილა იგი ერთხელ ერთმა გოგონამ.

გამოცხადა... და თან ისეთი სურნელი მოიტანა, გაზაფხულის პირველ ყვავილებს რომ მოაქვთ ზოლმე. მისი გარეგნობა დაემთხვა ჩემს შექმნილ პორტრეტს, მაგრამ თეთრი ფერი სჭარბობდა. ეს ჩემი სიწმინდის ნიშანიაო, — თქვა. მერე ცოტა ესაუბრა მეოცნებე გოგონას. ახლა წავალო, — უთხრა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და რატომღაც ატირდა. მაღე რომ უნდა დაგტოვო, თუ იციო? — გოგონას ჰკითხა.

გოგონამ თავი გააქნია. ის კი ტიროდა, მიწაზე დაცვენილი ცრემლები თეთრ ზამბახებად იქცნენ. გოგონა მიუახლოვდა ყვავილს, ფრთხილად შეახო ხელი. გადაიშალა კოკორი და იქიდან არნახული სურნელება და ბედნიერება შეეფრქვა. მისი მეგობარი კი გაქრა და აღარ დაბრუნებულა. გოგონა ბედნიერია, მაგრამ სევდა დარჩა — ლამაზი, ცისფერი თუ ვარდისფერი ბავშვობის სევდა.



ჩვენ ვკითხულობდით

ქართულად ლექსებს

წელს ათას ცხრაას

ორმოცდათექვსმეტს

მოსკოვში დიდი ზამთარი იდგა,

ჩვენ ვკითხულობდით

ქართულად ლექსებს

და ტიხონოვი გვისმენდა მშვიდად.

იგი მცოდნე და მცნობელი ყოვლის,

გვისმენდა დინჯად სახეკეთილი,

და ქათქათებდა სპეტაკი თოვლით

მოსკოვი თეთრად გადააბნტილი.

აღრე არ მქონდა ახლოს ნანახი,

მოსკოვი — ნათელ თვალით მზირველი,

დიდ საბჭოეთის დედაქალაქი

და სამშვიდობო კერა პირველი.

თვითონ პოეტიც,

ღიმილით წრფელით

რომ გვიცქერდა და გვისმენდა ნდობით,

გათეთრებული ბლოკადის წლებით,

ქურუმი ძმობის და მეგობრობის

პირველად ვნახე.

ვიცოდი აღრე

შოთას შაირი გულს გადაეცლო,

ქართული ლექსის იცოდა ყადრი,

მოვლილი ჰქონდა მთლად საქართველო.

და ათას ცხრაას

ორმოცდათექვსმეტს

ჩვენს სემინარზე ის იჯდა მშვიდად,

და გვაკითხებდა ქართულად ლექსებს,

პოეტი პოეტს იცნობსო ხმითაც!

მე მაშინდელი მახსოვს განცდები,

და შთაგონება, რაც წილად გვერგო,

ჩვენს გვერდით ისხდნენ ახალგაზრდება —

ახმაღუღინა

და ევტუშენკო.
ვიფავით სუსხით განაოცები,
ემსგავსებოდა აგური ლითონს,
ჩვენ კი გვათბობდა რუსი მეოსნების
სათნო ღიმილი და გულის სითბო.
შემდეგ ტიხონოვს მრავალგზის შევხვდით,
სიტყვით თუ ლექსით

ბევრჯერ აგვანთო,
ნამდვილი მოძმე ის იყო ჩვენთვის,
ნამდვილი რუსი ძმა უღალატო.
აქეთ უხმობდა ხმა იღუმალი,
ეძახდა თბილი კერა ქართველის,
კახეთის ზვრების იყო სტუმარი,
აჭარის მთებში დამენათევი.
სული სპეტაკი!
მოძმეს და შემწეს
მას პანთეონად გულები ერგო.
...ისევ იმ გზებით მოდიან ჩვენსკენ
ახმაღულინა
და ევტუშენკო...

ოპოზიციონერების სოციალიზმი

რა საშინელი ზამთარი იყო,
თოვლიც და ყინვაც მოგვადგა ადრე,
მახსოვს, ერთ ღილით ბებიამ იხმო
ლუკა, ივანე და ალექსანდრე.
ეზოში გვედგა ვაშლის ხე დიდი,
ზეადმართული, როგორც ტაძარი,
ეზოს ფარავდა ტოტები მშვიდი
და ვარჯი მისი უზარმაზარი.
ხეს ეხვეოდა ყვავილთა ჯარი,
იხუნძლებოდა ფერად ღრუბელით,
გვემატებოდა ფერი და ჯანი
იმ სურნელებით,
იმ საბურველით.
ორჯერ ყვაოდა ვაშლის ხე ჩვენი,
ვაშლის სურნელი

სულ იდგა ჩვენსას,
როს მოდიოდა ფანტელი ფრენით,

ვაშლის ხეს ისევ ნაყოფი ესხა.
მაგრამ ზამთარმა შემოდგა ფეხი,
არ მოველოდით,
მოვიდა ადრე,
მისთვის გვესტუმრნენ
ცულით და ხერხით
ლუკა, ივანე და ალექსანდრე.
ააკანკალა ვაშლის ხეს შიშით,
შეეკუმშა და შეტოვდა გული,
რომ დაინახა მისული ძირში
უცხო კაცები ხერხით და ცულით.
— ცოდვას ჩავდივართ! — თქვა
ალექსანდრემ,

— ცოდვაა,
ცული წესი გვაქვს წესად,
მაგრამ თოვლი რომ მოგვადგა ადრე,
რა ვუყოთ ბავშვებს,
არა აქვთ შეშა.
მთელი დღე ჭრიდნენ,
მოღლილი ხელით.

მთელ დღეს ცულის ხმა ისმოდა გარეთ,
ხეს მოჟონავდა სპეტაკი ცრემლი,
ეთხოვებოდა ჩვენს არემარეს.
ბოლოს შეინძრა ,

ააცახცახა,
და დაუარა სხეულში ელდა,
მერე, ვაიო, ამოიძახა,
და არემარე დაცარიელდა...
სულ მესიზმრება, რომ მე ვარ ბავშვი,
და ხეზე ამაქვს ტკეჩის გიდელი,
სულ მესიზმრება ვაშლის ხე ბაღში
და ზედ ვაშლები წითელ-წითელი...

ვეფხისტყაოსნის წიგნი

1.
ნეტა, ის დილა რა დილა იყო,
რა ბედნიერი დრო იყო დროთა,

როცა იმ წიგნის წერა დაიწყო,
ჭაბუკი იყო თუ ბრძენი შოთა?
ცხრა მზე ანთო ცხრაკარა,

მერე შემართა ხელი და...
„რომელმან შექმნა სამყარო
ფერთა მით ძლიერთა...“
ნეტა, ის დილა რა დილა იყო,
რა ბედნიერი დრო იყო დროთა!

2.

გულს წამალი ეწამლება,
კვიდება ცეცხლი სტრაქონს,

მარგალიტის მოსჩქევს წყარო,
სიბრძნის წყარო საჭაშნოდ,
გულს ჩემო, აწ დაბმული,
ვით ავხსნა და აწ რა გიფო,
ამას

კაცო

ვით დასწერდა,
ჩგი ღმერთი თუ არ იყო?

ტაო, ტაო...

ისე დაებერდი, ველარ ენაზე

ტაო, შატბერდი...

გიორგი ლეონიძე

დამესიზმრა ტაოს კარი,
ტაოს დიდი ჭიშკარი,
თითქოს სახლი იქ მიღვას და
შინ მივალ და ვიჩქარი.
გავიარე ტაოს ყელი,
გადავადექ ხეობას,
რა სამოთხეს მოვესწარი,
რა ბედნიერ დღეობას!
მშობლიური მინდორ-ველი,
ჰავაც გრილი ვიგრძენი,
ოღები და წისკილები,
ვაზები და ნივზები...
დავჯექი და დავისვენე
ჩანჩქერების სმაურში,
თითქოს ვიყავ შუახვეში,
თითქოს მახინჯაურში.
თითქოს ვიჯექ აჭარაში,
თითქოს ვიყავ გურიას,
ო, გულს როგორ ეფონება
ის, რაც მშობლიურია.
და ვუაქრობდი ჩანჩქერებთა,
მთის წყაროსთან დახრილი,
გავიხედე, მთის ფერდობზე
ბალახს ძოვდა ნახირი.
კვლავ განვაგრძე გზა სახლისკენ,

შინისაკენ ვიჩქარი,
აგერ, ჩემი ოდა-სახლი,
აგერ, ჩემი ჭიშკარი.
ჩვენი ძე და მომავალი,
და კაცობის სამშვენი,
დიდ ეზოში მწვანე მოღზე
თამაშობენ ბავშვები.
მომამშურეს,
ძიატოვეს
ბურთი წრესგადასული,
მომეგება მეუღლე და
შავთვალწარბა ასული.
და ვხარობდი, რომ არ იყო
ზღაპარი და იგავი,
ჩემს კერაზე,
ჩემს ცოლ-შვილში,
ჩემს მამულში ვიყავი.
მაგრამ როცა გამეღვიძა,
საიდან და სადღო,
დამაფიცეს, ეს სიზმარი
არც მოყვე და არც თქვაო...
მაგრამ რა ვქნა,
მესიზმრება
ტაოს დიდი ჭიშკარი.

რამდენი ცრემლი, სისხლი...
თავს დაგვატყეხს რისხვა,
მაგრამ ნეტავი რისთვის,
ვინ რა მოიგო მისგან?
მთელი მსოფლიო შიშით
ისმენდა ველურ ბლავილს,
წინ წაწეული ხიშტი —
„ჰაილ,
ჰაილ,

და ჰაილ!“

„წინ, არიელთა მოღვმავ,
იმაზე ხენდე ზოხი,
მთელი მსოფლიო შენს წინ
გაწყდეს მუხლებზე ზოხით.
სხვამ ყველამ ფეხი გბანოს,
შენ გემსახუროს შვანს,
ამიტომ უნდერ ალეს,
ჰაილ,
ჰაილ,

და ჰაილ!

მსოფლიოს მწვანე გლობუსს
დაიპყრობ სისხლის ფასად,
შენი დიდება მოჰქუხს,
წინ, არიელთა რასავ!
და თუ მონური უღლის
ვინმე არ იქნეს ყაბულს,
ხმლით გაუჩეხე შუბლი,
კაპუტ,

კაპუტ

და კაპუტ!“

მთელი მსოფლიო შიშით
ისმენდა ველურ ბლავილს,
ბრახაბრუხით და ხიშტი —
„ჰაილ,
ჰაილ,

და ჰაილ!“

ზღვასგამელების კორდონს
ფარული დარდი ხრიდა,
კაშინგტონსა და ლონდონს
ოოდი ეძინათ მშვიდად.
ვერ უშველიდათ მარში,
ვერც ვედრება და ცრემლი,
მთავარი იყო...
მაშინ

რაზე ფიქრობდა კრემლი.
ქვეყნის ძახილად გვესმა
ის მოწოდება წრფელი,
დავაგდეთ ზენა და თესვა,
და ხმაღს მოვკიდეთ ხელი,
...
ეგონათ, მოსკოვს ტალღა
ბოხრიდა ცეცხლთა ფენით,
მაგრამ ვინც ნახა, — ნახა
რა დღე დაადგა, ბერლინს...
ეგონა, მისი იყო

ურალი,

აქეთ თერგი,

ვინც დარჩა, რა მიიღო?

ცეცხლი და...

ნიუნბერგი!

...
გლობუსს ეხვევა ნისლი,
მაგრამ გაჰფანტავს ქარი,
რა სასაცილოდ ისმის
ჰაილ,

ჰაილ,

და ჰაილ!

მაგალითია მისთვის,
თან გამოცანაც ძნელი,
სხვისი მიწისთვის ვისაც
კვლავ გაწვდილი აქვს ხელი.

მანი ღუმელი ჩემი განაჩენია

— გადამრევთ თქვენ! — წამოვიძახე და მხოლოდ ახლა მოვიფიქრე ჰის მახლობ-
ლად ქვაზე ჩამოჯდომა.

— ვინ „თქვენ“? — სწრაფად მკითხა მაქიმედამ.

— შენ და მამაჩემი.

— რატომ, მაგალითად?

— კაცო, აქეთაც თუ კომუნისტია, იქითაც და ყველგან, თქვენ რომ დამდგარხართ,
მგლის დანაშინებ ცხვრებივით, რას ელოდებით?

— ეელოდები?

— ჰო.

— მე არავის არ ეელოდები, ბიჭიკო.

— შენ არ ეელოდები, მარა ბევრი ეელოდება, ვიცი მე.

მაქიმედა გაჩუმდა, გაილურსა, ვხედავდი, რა გამალებით მუშაობდა მისი ტვინი,
როგორ უჭერდა ყელში რაღაცა და არ ჰყოფნიდა ჰაერი. მაქიმედას ბავშვობიდანვე ჰი-
რის დღესავით ვჟულდი, მაგრამ რატომღაც მაინც პატივისცემით შეპყრობოდა. დაიწყო
თუ არა ომი, მისი პირველი მაცნე მე ვიყავი. თუ მაქიმედა გერმანია-საბჭოთა კავშირის
ფრონტების დახლართულ გზებზე დაიბნეოდა, წინ რუკას გავუშლიდი და ხუთი თითი-
ვით ავუხსნიდი ყველაფერს, რას შვრებოდა ამ დროს ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი
თუ თურქეთი, რომელი ჩვენს მხარეზე იყო, რომელი ნეიტრალიტეტს იცავდა და რო-
მელი გერმანელებს ეკურკურებოდა, ამის განმმარტებელიც მე ვიყავი. ყველა ქვეყნის
პრეზიდენტის, ყველა ქვეყნის გამოჩენილი მხედართმთავრის, საგარეო თუ შინაგან საქ-
მეთა მინისტრის მარტო გვარი კი არა, სახელიც ვიცოდი და მამის სახელიც. საქარ-
თ-ველოს ისტორიის მოყოლას რომ დავუწუებდი, რაღაც ორი დერი ბანალი ჰქონდა თავზე,
ჟალსზე უდგებოდა. ომი რომ დაიწყო, გერმანიის ისტორიაც მომთხოვა. ყველაზე მეტად
ჰიტლერის პიროვნებამ დააინტერესა. ადოლფ ჰიტლერი ავსტრიის ქალაქ ბრაუნაუში
დაიბადა და ახალგაზრდობაში უნიჭო მხატვარი იყო-მეთქი, მერე ჰიტლერის ნამდვილი
გვარი შიკლგრუბერია-მეთქი, რომ ვუთხარი, ხოლო შიკლგრუბერი, სიტყვასიტყვით ნების
ქიას ნიშნავს-მეთქი, შეხტა, ეს რა მაწანწალა ვინმე ყოფილაო. შემამულეები თუ უყვ-
არსო. სამი დღის წინათ მკითხა, ჰიტლერი, ამხელა მიწაწყალს რომ იღებს, მერე რას
უშვრებო. მე ვუთხარი, ზოგს გერმანელ შემამულეებს ურიგებს, ზოგს კი ადგილობრივ-
სანდო პირებს-მეთქი. ამაზე კინალამ გაგიჟდა. კინალამ მაშინვე კომისარიატში გაიქცა.
განცხადება მეორე დღეს რომ დაწერა, ვიცოდი. დღესაც იქ რომ იყო, ეს უკვე თავისი
პირით თქვა... ცოდნა-განათლების გამო, მაქიმედა ძალიან მაფასებდა. უფრო სწორი იქ-
ნება, თუ ვიტყვით — პატივს სცემდა ჩემს ნიჭს. ახლა, როცა ასე ჭიჭურ ვკითხე, შენ
რაღას ეელოდები-მეთქი, აწრიალდა. მაგრამ მაქიმედა კაი მაგარი მამაძალი იყო. მაშინ-
ვე ყინულივით ცივი სიცილი ატეხა.

— მაშაშენს მიწაზე რომ ვედავები, მაგით იმის თქმა ხომ არ გინდა, შე მაშაშენო, წადი ჰიტლერთან და ის მოგცემს მიწას, რამდენიც გინდაო, ა?

— შენ, მაქიმედ ბიძია, რომელიმე სახელმწიფოს ელჩი, ან პოლიტიკური მოღვაწე არ მყავნარ, თვითმფრინავით რომ გადაგაფრინონ ჰიტლერთან, იქ მისვლამდე, ფეხით რომ წახვალ, ფრონტის ხაზია შუაში.

— შენ, ბიჭო, მოგზავნილი ხომ არ ხარ? — დააწყო სახე მაქიმედამ.

— რატომ? ვილაპარაკოთ გულახდილად!

არ ვიცი, რა ხასიათს მიიღებდა ჩვენი დღევანდელი საუბარი, რა გზით წარიმართებოდა, რომ ამ დროს ჰიტლერისკენ კისერში ბლანაბურძენილი მაქიმედას ჯოღორია არ გაქანებულიყო. ჯოღორია კაცს იღებდა გაქენებული ცხენიდან. მის ეზოში, მეზობელი რომ მეზობელია, ისიც ვერ ჩამოადგამდა ფეხს დაუძახებლად. ქალი, კაცი, ბავშვი, თხა, ძროხა, სულ ერთი იყო მისთვის, ზორცის აუგლეჯავად არავის გაუშვებდა.

მაქიმედა ჩემზე უფრო გაოცდა, როცა ჰიტლერი გაიღო, ეზოში შავებში გამოწყობილი ებრაქსი დოლიძე შემოვიდა და ჩვენსკენ გამოემართა. ჯოღორია მივიდა, დასუნაფებებზე ქალს, კუდთან ერთად დაუშვა ძირს ბლანის და ძუნძულით გამობრუნდა უკან.

— ვინაა, ბიჭო? — მკითხა მაქიმედამ, თუმცა მშვენივრად იცოდა, ვინც იყო. მანძიკუთხარი, ებრაქსია, დოლიძე, ტარასიეს ქვრივი. ეს ის ტარასიაა, გასულ კვირას ფრონტიდან დაღუპვის ამბავი რომ მოვიდა. კი გახსოვს შენ ტარასიე, ჩაის ფაბრიკაში რომ მუშაობდა, ჩაის რომ გიზიდავდა ხანდახან-მეთქი.

— გაჩუმიდი, ბიჭო! — დამიცაცხანა. იგი თვალს არ აშორებდა გრძელ, შავ თავსაბურში სახეჩაალულ ებრაქსიას. — ებრაქსიე კი არა, კულიანია მაგი, ვილაცაა! რა ქნა ნეტავ, შეუღოცა იმ ძაღლს?

— კაი ძაღლი ქალს არ უყევს, მაქიმედ ბიძია.

— ენა გააჩერე! ერთი მაგი ძაღლია კაი და მეორე — შენ! ჭერ არ მახსოვს, ვინმე დაენდო. რაზია ნეტავ საქმე, ა?

— შეებრალა შავიანი ქალი. მაგისთანა ლამაზ ქალს ამხელა უბედურება რომ დაატყდება თავზე, ვის არ შეებრალება? ფრონტზე მიმავალი ორი ძმა აგერ დაედღუპა, ბერძნისწყაროზე, აღმასივით ბიჭი წითელა ბატონებით მოუყვდა. დაილოცა, დიდო ბატონებო, თქვენი სახელი! გუშხამ დედა გარდაცვალა და გასულ კვირას ქმარი გამოცალა ხელიდან.

— გადაგიკვდა ენის კილტი, თუ არ გააჩერო მაგი ენა, არ ამოუწყვიტა მთელი საგვარეულო?! — ამოძკრა ნიკაპში ხელი მაქიმედამ, ფეხზე წამოდგა და ქალს დიდის ამბით მიესალმა. მაქიმედა იშვიათად დადიოდა მეზობლებში. ტირილი, ქორწილი — სულ ერთი იყო მისთვის. თუ იმ ოჯახში ვინმე არ მოსწონდა, მთლად რომ დაქცეულა სახლ-კარი, იქით არ გაიხედავდა. ძმების, შვილის, დედისა და ქმრის სამძიმარზე არც ებრაქსიასთან მისულა, მაგრამ ახლა რატომღაც შესაშური ყურადღება გამოიჩინა. ჭერ სათითაოდ მიუსამძიმრა, მეტე ბოდიშები იხადა, ამდენ ხანს რის მიზეზით ვერ მივიდა და ვერ გაიზიარა მწუხარება. ბოლოს, ტარასიზე, ატირებას არაფერი დააკლდა. რა კაცი დაიღუპა, ჰიტლერის დედა ვატირე, ტარასის ჩაი ახლაც მაქვს სახლშიო.

— იცოდა, საწყალმა, ასე პაწა-პაწას ჩამორიგება, ყველას ჩამოაწვდენდა ცოტ-ცოტას. — თქვა ებრაქსიმ, ამოიღო შავი ცხვირსახოცი, მიიფარა თვალებზე და აქვითინდა.

— რა ჩაია მერე, კაცო, — აქაქანდა მაქიმედა, — სუნი წაგაქცევს მარტო. იმას რავა გევისხარჯავ, იმისთანა კაცის ნაჩუქარს, სად იბრძოდა ამ ბოლოს?

— რა ვიცი, ომის დაწყებამდე პოლშის გრანიცაზე იყო, — უპასუხა ებრაქსიმ სლუკუნ-სლუკუნით.

— პოლშაში ყოფილა. — დაასკვნა მაქიმედამ, დაირტყა მუხლზე ხელი და მერე შე მომიბრუნდა. — პოლშა, ბიჭო, ჩეხოსლოვაკია არაა?



— პოლშა პოლონეთია, მაქიმედ ბიძია. — შევუსწორე მე.

— ჰო, შენ უფრო იცი მაგი. — თქვა მაქიმედამ და მუხლზე დადებული თითები აათამაშა. — მოიცა შენ, ებრაქსი, რა მითხარი ახლა, პოლშაში დეილუპაო, ხომ? შენ ამბობ, კეცია, პოლშაში ანუ ჩეხოსლოვაკიაშიო, ხომ? კაი და კეთილი, მარა გერმანია კავკასიონთან არაა მოსული?

— კი.

— მაშინ ჩვენ აქ რაღაცა ვეშლებო.

— რატომ, მაგალითად?

— გერმანელები თუ კავკასიონთან არიან მოსული, ერთი კაცი რანაირად დაილუპა კავკასიაშიც, პოლშაშიც და ჩეხოსლოვაკიაშიც? წადი ერთი, გამეიტანე ქარტა და გავარკვიოთ მაგი ჩვენ. წადი, წადი, გამეიტანე, ბუხრის თავზეა შემოდებული, დახვეულია... მე ავდექი და წავედი.

— შეიცა, შეიცა! — მომძახა მაქიმედამ. — დახვეულია-მეთქი გითხარი, ხომ?

— კი, დახვეულიაო, ასე მითხარი.

— პოლშა, დახვეული, ტკბილისკვერისაა შემოდებული ბუხარზე და ის არ წამეიღო, ქარტას გავს იგიც, თუმცა წამეიღე. აქეთ ჩემს მაგიდაზე, მეორე ოთახში, არაყიცაა და ისიც წამეიღე, დალევს აგერ, ებრაქსი დალევს.

— აჰ, არა, ბატონო მაქიმედ, როდის იყო არაყს ვსვამდი. — შეწუხდა ებრაქსი.

მარიკა კიდეც არ ჩანდა. მისი გადაკარგვა და მაქიმედას ენად გაკრეფა საშინელ ექვებში მაგდებდა. ნუთუ ყველაფერი ეს შემოთავაზებული მახე იყო და მე ასე ტუტუტურად ორივე ფეხი ვკარი შიგ? ნუთუ ვერაფერს მატყობს მაქიმედა, ვერც: სახის გამომეტყველებაზე, ვერც უეცრად გამობერილ მუცელზე, თუ ეს მე მეჩვენება და სინამდვილეში არცთუ ისე თვალშისაცემია ყოველივე? არა, სად გადაიკარგა მაინც მარიკა, ნუთუ არ შეეძლო ეთქვა, შენ აქ დამიცადე, მე ცოტა შემავიანდებო? იქნებ მილიციაშია წასული და მაქიმედამ ღროის მოგების მიზნით გამიფინა მტკაველა ენა? როდის იყო, მაქიმედა ასეთი კეთილი და ტკბილმოუბარი? ებრაქსისაც რა ქათინაურებით შეზვდა. არა, რაღაც ამბავი კია. სჯობს, ახლავ გავიქცე, ან ფული და რევოლვერი აქვე, ოდის ქვეშ დავმალო. ამის გაფიქრება და სისრულეში მოყვანაც ერთი იყო. გავცდი თუ არა სამზადს, ერთი კი მივავლ-მოვავლე თვალი არე-მარეს გლახა ქურდივით, ოღაში ასახვლელი დაბალი კიბის გვერდით დავიხარე და ის იყო ქვეშ უნდა შეემძვრალიყავი, რომ ვიღაცამ ზურგში ხელი ჩამავლო: ერთი სიკვდილი ნაღდად გავათავო. ერთ წამში იმდენმა აზრმა გამიელვა თავში, რამდენი ათასი მანეთიც მეწყო-უბეში. მთავარი მაინც ის იყო, რომ არ დაგზნეულვარ. პირველი რეალური გამოსავალი, რაც წამის რაღაც მგათასედ ნაწილში მოვიფიქრე, წელში გამართვა (ხომ უნდა ავმდგარიყავი?), რევოლვერის თვალისდახმამებაში ამოღება და სროლა იყო. მაგრამ სულ უკანასკნელ წამს გამახსენდა, რომ რევოლვერის სროლა არ ვიცოდი. მაინც არ დავიბენი, მაშინვე მეორე გადაწყვეტილება მივიღე: ავდეგები თუ არა, მარცხენა ხელს მუცელში, ზედ კუჭის თავთან ვატაკებ მილიციელს. იგი ტკივილისაგან წელში მოიხრება და მუცელზე იტაცებს ხელს. მაშინ მეორე ხელს, რომელშიაც რევოლვერი მეჭირება, თავში ბრტყლად ჩავარტყამ. მილიციელი, რა თქმა უნდა, ვერ გაუძღვბს ავდენ ცემა-ტყეპას, დარტყიანდება; დაბარბაცდება და თვჩაქინდრული ჩემს მხარზე ჩამოეკიდება. მაშინ დავავლებ მხრებში ხელს, შევათრევ ოთახში, გამოვვარდები გარეთ და მოვუხვამ ტყეში. იქიდან კი...

— ამოდი, ჩქარა, მანდ აღარაფერი აღარაა! — გაისმა ამ ღროს ჩურჩული. — გესმის? ჩქარა!

თავი ავწიე. ჩემს წინ სახელგაფითრებული, მხრებაცაცხებული მარიკა იდგა. ისეც არ ექნა ღმერთს და მთლად დაპატარავებულიყო, შემინებულ თვლებს არ მაცილებდა.



შემატეო, ალბათ, ვერაფერს რომ ვერ მივხვდი და ხელახლა გამიმეორა:

— მანდ აღწარაფერი აღარაა, ამოდი! — თქვა და ოთახში ძალათ შემატარია. ჯერ მე შემომხედა, მერე სასოწარკვეთილი მხერა ტახტზე დადებულ, ტალახით მოთხვრილ ქოთანზე გადაიტანა, თან ფრჩხილებს კვლავ იწიწებდა.

— თუ გაგვიგო, მოგვკლავს, ჩქარა წაილე და გაიქეცი. საღამოს მეძინიასთან ვიქნები, შელამებისას. — ხან მე მიუყურებდა, ხან — ქოთანს. თითქოს რაღაცას ნანობდა, საშინლად იყო დაბნეული.

მთლად დავიბენი. მარიკას ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს თავი ვერა და ვერ მოვუყარე. ქოთანს რომ დავაკვირდი, მხოლოდ მერე მოვედი აზრზე. ეს, ალბათ, ის ქოთანი იყო, მაქიმედა თავისი წერილის ბოლოში რომ წერდა, კიდევ მაქვს ფულიო... ერთმანეთის საწინააღმდეგო დადებითი და უარყოფითი აზრები მინდორს შესეხულ კალიასავით ღრღნიდა ჩემს გონებას.

მარიკა ფრჩხილებს ნერვიულად იჭამდა და ქოთნისკენ მექაჩებოდა. თან ფანჯარას თვალს არ აცილებდა. მაშამისს უთვალთვალებდა.

— ვიცი... უკვლავი ვიცი... კვსია, დაგინახე... წაილე, ჩქარა წაილე, არ მოგვისწროს ვინმემ. იმაში რამდენი იყო? კვსია, შენ გეუბნები... დაყრუდები? რამდენი ათასი მანეთი იყო კამოდში?

— ა? კამოდში? რა კამოდში? — ამხამხამდა თვალები.

— თავს ნუ ისუღელებ. მე რომ ვნახე, მაშინ ოცდაათ ათასამდე იყო.

მარიკა არ ზღმობოდა. დამალვას უკვე აზრი აღარ ჰქონდა.

— ოცი მოუმატებია, მეტი არა. — გავტყდი უცებ. — იმაში რამდენია, ქოთანში?

— არ ვიცი. — ხმა ისევ უკანკალებდა მარიკას. — ბევრი უნდა იყოს.

ახლა უკვე მთლად დავიბენი.

— ახლავე ჩადე ქოთანი თავის ადგილას! არ შემელაპარაკო! — ვთქვი უცებ. მერე ქამრიდან ბლუზა სასწრაფოდ ამოვიღე, წელზე შემორტყმული ფული ტახტზე ფაცოფუცოთ დავყარე. — ეს ფული ქაღალდში გახვით და მეძინიას ძირში დამარხე! — ვიძახდი ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თან ფანჯარას თვალს არ ვაშორებდი. მაქიმედა ზელების შლით ელაპარაკებოდა ებრაქსის.

— იცოდე, კარგად დაწვერე, არავინ დაგინახოს, გესმის?

— შენ როდის მოხვალ? — კითხვის ნიშანივით მომაჩერდა მარიკა.

ჩვენ უკვე შეთქმულები ვიყავით.

— არ ვიცი. — ვთქვი მრავალმნიშვნელოვნად. ახლა მართლაც საქმიანი მიმართულება მიეცა ჩვენს საუბარს.

— კვსია! შენ თუ არ მოხვედი, მე მართო ვერ მივაღ, იცოდე, მეშინია. — კვლავ მოუტყრემლიანდა თვალები მარიკას.

— რა შეგაშინებს კინკას? — კვლავ ვცადე გახუმრება.

— დედას გაფიცებ, კვსია. მართლა გეუბნები.

— მარიკა, ახლა შიში არაფერში გამოგვადგება. — ვთქვი მე ყაჩაღების გამოცდილი ბელადივით.

— მაინც რა ვქნათ? — ძრწოლით იკითხა და სანეში შემომხედა.

— როგორც გითხარი... ეს რევოლვერიც მაგ ფულთან ერთად შეახვით და მიიტანე მეძინიას ხესთან. რუკა სადაა? — ავწირაღდი უცებ. ვატყობდი, ვავიანებდი.

— აგი ფიშტოც ამეილე? რა გიქნია აგი? რად გინდა? დაგეტოვა მის ადგილზე, ბიჭო?

— კაცს, რომელსაც უზარმაზარ თანხას აცლიან, მასეთ სათამაშოს არ უტოვებენ.

— მაშინ თოფიც წაილე კვსია, ბარეღამ, ეგერ კიდეა კედელზე.

— სად დევს რუკა? — აუფრთხიე სიტყვა ბანზე.

- ეგერ დევს, ბუხარზე... თოფიც წამოვიღო?
- არა.
- თავი რომ მოიკლას?
- ნუ გეშინია.
- კბილით დაგვჭამს ყველას. ეგება დაგვხოცოს კიდეც.
- იცოდე, არ გატუდე, მარიკა...
- რა ვიცი, ბიჭო, ეგება არც მკითხოს რაში, ისე მიმარტყმევინოს თავი კედელზე. ასე იცის, მიგაგდებს საღმე კედელთან და დაგაღგება თავზე სულთამსუთავივით, მარა თუ ცოცხალი დავრჩი, ენას ვერ ამომაღებინებს.
- მარიკა!
- რა გინდა, კვესია?
- იცი, რას ვიზამ? ოდის ქვეშ შევძვრები.
- ოდის ქვეშ რა გინდა, ბიჭო?
- შენ დაგიდარაჯებ.
- ეს რომ ვთქვი, რევოლვერს ხელი მოვკიდე, რომელიც მარიკას გულზე მიეხუტებინა. რაც ეს რევოლვერი დავინახე, მერე სულ დენთის სუნი მცემდა. მარიკას გააუჩულოდა.
- არა, კვესია. სხვისგან, ვისგანაც გინდა, დამიცავი. მაშაჩემის, დედაჩემის ან კუკურიეს ავი მანც მეწყინება შენგან. გესმის? თქვა და ჩემი ხელი მოიშორა.
- მესმის.
- წადი აბა ახლა. — მითხრა მარიკამ და ფარდა ოდნავ გასწია, — უკვე პრაწავს თვალებს მამაჩემი. ებრაქსი წასულა. ჩემზე არ უთხრა შინაო, გეიგონე?
- ჩავედი თუ არა კიბიდან, ავკოჭლდი.
- რა მოგივიდა, ბიჭო, სად მოიტეხე მაგი ფეხი ასე უცებ. ფროტზე გაგიწვი მე შენ თუ ოთახში?
- კიბიდან ჩამოვვარდი, — ავკრუსუნდი მე. — მუხლისთავი დავარტყი... ვაი, დედა, ფეხი! ამდენი ხანია, კიბის ძირში ვაგდივარ...
- ჰო, მწარეა მუხლისთავი, მარა არა უშავს. ძალლი კოჭლობით არ მოკვდება. იგი ჩემი კაპარწახე გოგო ხომ არაა შინ?
- არა.
- აბა, ვინ გადაადგა იგი კეცი?
- თავზარი დამეცა. ასეთ შეკითხვას არავითარ შემთხვევაში არ მოველოდი.
- კეცი მე რომ არ გადამიდგამს, კი ვიცი. — წავილულულუდე. — მარიკა კლახიდან რომ მოდიოდა, ის კი დავინახე. ალბათ, მეზობლებისასაა გაღასული. მაჭიმელას ბაღიდან კიტრი მოეტანა და თლიდა.
- შენ არ ყოფილხარ დღეს კლასში? — მკითხა და ნათალი გვერდზე მოიხროლა.
- კი, მარა, ქიმი გაგვიცდა.
- მენჯში გაშლილს ქე გავხარ და გაშალე აბა ქარტა.
- ებრაქსი წავიდა?
- არა, არ წასულა. აგერ ზის... — მიმითითა ცარიელ სკამზე, — ვერ ხედავ, თუ არ წავიდა?
- რა მინდაო, იმ საწყალმა?
- საწყალს და გაჭირვებულს რა უნდა, არ იცი? — ისევ მოიხროლა კიტრის ნათალი გვერდზე. გამოიკირდა, მაჭიმელას ზომავზე მეტად კმაყოფილი სახე ჰქონდა.
- ჭადის ფქვილის სახესხებლად იყო მოსული ალბათ. — ვთქვი მე.
- ვერ გამოიცანი. ფული უნდოდა.
- ფული? — დავჭექი ქვაზე.

— ჰო. — თქვა მაქიმედამ და გათლილი კიტრი სიგრძეზე ოთხად გაჭრა.

— უჰ! — წამოვიძახე მე.

— რა იყო, ბიჭო?

— არაფერი. ძვალი გახაჭუნდა აგერ, მუხლში.

— სად გქონდა თვალები? — თქვა და ორად გაჭრილი ნახევარი კიტრი გამომიწოდა. — მარილის მოტანა თუ გეზარება, ჭამე მასე უმარილოო, — მითხრა. რაღაც კარი ჰქონდა, იმდენს რატრატებდა.

— ებრაქსისკენ ვიყურებოდი, ასე ჩქარა რამ გააქცია-მეთქი. — ვუპასუხე ძალიან დიდი ხნის შემდეგ.

— კაცო, ამ ხალხს რა ჰგონია, იცი? — დაიწყო მაქიმედამ, ჯაყვა დაკეცა და ხოველი ცხვირსახოცი აიღო, ჯერ სახეზე მოისვრა, მერე კეფაზე, მერე ილიები დაიბრიალა, გაშალა, თავზე დაიფარა და განაგრძო. — ამ ხალხს ჰგონია, მე რომ ვზრომობ, წყლებზე ფეხს ვიდგამ და სისხლს ვაქცევ ოფლის ნაცვლად, სხვისთვის ვზრომობ. — მაქიმედამ დაკეცილი ჯაყვა მხოლოდ ახლა ჩაიღო ჯიბეში. — ფული გინდა, ბიჭიკო? — იმუწავე! ჭადი გიყვარს? — მაშინ თოხიც უნდა გიყვარდეს! ხუთ მანათს რომ იშოვი, ოთხი შეინახე და ერთი დახარჯე! ასე თუ მოიქცევი, სხვისას აღარ დეიწყებ სირბილს. შენ, ხუთ მანათს რომ იშოვი დღეში, ჩემო ძმაო, და ექვსს დახარჯავ, მაგი არაა საქმე. ახლა ფულს რომ ასესხებ კაცს, მერე შენ თვითონ ვარდები უხერხულ მდგომარეობაში. ერთხელ მოთხოვ — არაფერი, მეორეხელ მოთხოვ — არაფერი, მესამეხელ რომ მოთხოვ, მოგახლის, რას შემომიჩნდი, კაცო, შენ, რომ არ მაქვს, ხომ ხედავო. იმის „არ მაქვს“ ვუყურო მე?

— ასე თუ უთხარი ებრაქსის, კი გაიქცეოდა.

— არა, იმასთან უფრო მწუთხედ გამომვიდა. რომც მქონდეს, მაინც არ გახსენებ-მეთქი, ვუთხარი. ვისაც ვასესხე, ყველა დამემდურა და არ მინდა შენც დამემდურო-მეთქი.

— აწი იგი შენს ბარაზე აღარ გაივლის.

— მაგაზე დამდგომია ჩემი სადარდელები!

— შენ რომ გიჭირდეს და არ გაგიწიონ ანგარიში, მაშინ?

— ძაღლის ხორცს გაშიებამენ. ამ სოფელში ზოგიერთი ისეთია, დამწვარ ნახშირს ვერ იშოვი მისგან. იანვარში თოვლი რომ თხოვო, არ მოგცემს.

— იანვარში ვისაც თოვლი არ აქვს, იმას თოვლი მართლა არ უნდა მისცე, მარა თუ არ გათოვდა და შენ საყინულე გაქვს, მაშინ?

— ასე თუ გავაგრძელებ, კვებია, ვატყობ, ჩვენი ლაპარაკი დილაამდე არ გათავდება... შენ ის მითხარი, წამოიწიეს წინ გერმანელებმა? მაგათი სინსილა კი გაწყდა!

— მოზღოკში არაინ.

— მოზღოკში? შემოსულან საქართველოში და ისაა. ამ დილით ცაში ჯვარივით აწებებული თვითმფრინავი რომ დაბრუსუნობდა, იმათი იყო აღმათ. ყანის აღება მაინც მომესწრო, გააფუჭებენ ტანკები...

გავფრთხილდი. ხუნთქვა შემეკრა. ჰის გვერდით, არაყის გამოსახდელი ქვაბისთვის გამართული კერძის წინ აგურის ნატეხები და დამწვარი მუგუზლები ეყარა. მეტიც მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ყანის აღება მაინც მომესწრო, რა თქვა ამ დამალმა! ვეცემი ახლა ყელში, შევუყრი თითებს ყანყრატოში და ამოვბღღვნი სასულეს, მარა ვერ მოვერევ, ხარივით ღონიერია ეს უპატრონო... აგური რბილია, ისეთი ხოცოდა თავი აქვს, ვერაფერს დააკლებს. ყველას სჯობს, მუგუზალი ავიღო და ჩავთხარო იმ ჟანგთან პირში. მერე ავდგები და ჩემი ფეხით წავალ მილიციაში. ტანკები ყანას გამოიფუჭებენ... ვინაა მაგ გლაზის დასაცინი!.. წამოვიწიე. უკვე ამოვარჩიე ყველაზე დიდი და მსხვილი, თავწაწვეტებული მუგუზალი. მაქიმედა ისევ განაგრძობდა რატრატს. მე მისი ხმა აღარ

მესმოდ. ზნეო კინოს მსახიობს ჰგავდა ახლა იგი. პირს აბჩენდა და ხმა არ ამოსდიოდა. ჩემთვის ყველაზე კარგი ის იყო, რომ პირს აღებდა.

— რა გჭირს, ბიჭო, კვესია, რავა გაფითრდი, რავა გაგიშავდა ცხვირი? — მკითხა მაქიმედამ.

— წავალ აწი შინ, — ვთქვი მე და წამოვდექი, — ვერ ვარ რაცხა კარგად...

— კარგად ვინაა დღეს. — ჩამოშორთვა სიტყვა მაქიმედამ. სიხარული, წელან მთელ სახეზე ყვავილივით რომ ჰქონდა გამოფენილი, უცებ სადღაც გაუქრა. ღვთისპირიდან გადავარდნილი კაცია მაქიმედა. მისვდა, მისმა სიტყვემმა ჰკულიდან რომ კინაღამ შემშალა. კიდევ კარგი, განათლება არ ჰქონდა, თორემ დააქცევდა ქვეყანას. შემატყო თუ არა, ავირიე, მაშინვე შეაბრუნა კენი. — ეჰ, მაგი ამბავი გუშინ გავიგე მე. — მოისაწყლა თავი, ცრემლი გაურია ხმაში, — მოვკვდი, გავთავდი კაცი, გელაპარაკები! შემცხვავ, ბიჭო კვესია! შენ არ შეგრცხვებოდა ჩემს აღგილზე? კი შეგრცხვებოდა. ისე, ჩვენში ღარჩეს და, მაგათზე კაი გული რანაირად უნდა მქონდეს, ა? მითხარი, თუ კაცი ხარ ქვეყანაზე!.. ბიჭო, ამდენი ხანია ვუცდი, ვუცდი და ვუცდი. შენც არ მომიკვდე! რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ძაღლად არ გავდებთო. რას ვაშავებ? ზოდა, იმას გეუბნებოდი. მოვკვდი კაცი, გავთავდი. მტერი შინ შემოსულა და მძინებია თურმე-მეთქი. ქართველი კაცი სტუმარს ჭიშკართან ეგებება და მე მტერს შინ დავხვდე-მეთქი! გვიქეცი მაშინვე კომისართან. რა მექნა აბა? ვკითხე კომისარს: მითხარით, კაცის სიაში არ ვწერივარ თუ ფრონტზე გასაგზავნთა სიაში-მეთქი? დაწყნარდით, მითხრა, ხვალ ან ზეგ გამოგიძახებო... დაღევ არაყს?

— არა.. წავალ აწი სახლში...

— მე დავეღვ. რა ვიცი, რამდენ ხანს აღარ მომიწევს დაღევა. შენ კი შინ წადი, ბიჭო. წადი შინ და ჰკუთი იყავი. კაი ბიჭი ხარ შენ!.. ჰო, მართლა, მამაშენს უთხარი, იმ ხელისგულისდადება მიწაზე აღარ გედავები, ახლა უფრო დიდ მიწას გვედავებიან-თქვა, გეუბრება?

— მეუბრება.

— ჭიშკარი არ დატოვო ღია!

ჯოღორიამ როგორც მიღება, გაცილებაც ისეთი იცოდა. ყეფით თუ ეინმეს დახვდებოდა; ყეფითვე გააცილებდა. ზორცს თუ ააგლეჯდა, ისევ ზორცის აგლეჯას დაუპირებდა. კულის ქიცინით თუ მიიღებდა ეინმეს, ასევე კულის ქიცინით მიჰყვებოდა ჭიშკარამდე. მე და ჯოღორია ერთად არ დავბადებულვართ, მაგრამ ერთად კი ვიზრდებოდით. სათევზაოდ ვიყავი, დაჟოს ვიჭერდი თუ ფეხბურთს ვთამაშობდი, ყველგან დაჰყვებოდა. ქურდს, წოფესა და მამაძაღლს თითქმის აღლოთი გრძნობდა. მაქიმედას უფროსი ბიჭი, რაჟიკო, ჭირის დღესაგვით ძულდა. პირველად მან გამოიცნო, კაი სულის აღაპიანი რომ არ იყო (რაჟიკო ქურდობისთვის მესამე წელია ზის და კაციშვილმა არ იცის მისი ახალ-დასავალი. იმის დაქერის შემდეგ სოფელმა სული მოითქვა). ჯოღორია არც კუკურას მეგობრობდა მანცდამანც. სამაგიეროდ სულ ჩემთან და მარიკასთან თამაშობდა. მე განსაკუთრებით ვუყვარდი. მე მისას ყველაფერს ვხვდებოდი და ის მე ყველაფერს მიგებდა.

ჭიშკრისკენ მიმავალს, ჯოღორია ერთხანს ძუნძულით მიმიძლოდა. თუშცა ღროღადრო შეფეგებოდა, მოხედავდა უკან, ზომ მოღისო, შებრუნდებოდა და ძველებურად დააყრიდა ძუნძულს. საოცარია, მაგრამ ჭიშკართან რომ მივიდა, ჯოღორია ერთბაშად ჩემსკენ შემოტრიალდა და უკანა ფეხებზე დაეყუდა, თათები გულზე მომაბჯინა, ძირს გაღმოგდებული უშველებელი ენა სასწრაფოდ შეინახა, ყურები დაღურსა და საზარლად შემიღრინა. ერთხანს ვიფიქრე, მასწრობს-მეთქი, მაგრამ ჯოღორია არ მასწრობდა. ძაღლი თვლებში მიყურებდა და თავისი აღრენის პანუსხს მთხოვდა.

არ შევშინებულვარ, მაგრამ საშინლად დავიბენი.

— რა გინდა, ჯოღორია? — გაუფიცინე და ლოყაზე ხელი მოვუთათუნე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთმანეთს თვალდებში შევეყურებდით, კარგად დავინახე, როგორ იქცა რა კისერში და მთელი სერხემლის გაყოლებაზე ბალანი, ხოლო კუდს ისე ჩიტმსულად იქნევდა, მსხვერპლზე ნახტომის გაკეთების წინ რომ იცოდა.

ფართოდ გახედილი თვალებიდან ჯოღორია ცეცხლს აკვესებდა.

— რა გინდა-მეთქი, ჯოღორია? — ისევ შევიახე, მაგრამ ახლა ტონი შევიცვალე, ხმაში სიმკაცრე გავუჩიე. ჯოღორიამ ფეხებზე დაიკადა ერთიც და მეორეც. უფრო მოუმატა ღრენას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯოღორია საკმაოდ ბებერი იყო, საძაგლად დაღმებული ღაშებიდან ოდნავ ჩაყვითლებული, მაგრამ ხანჭლებივით გადაჭდობილი ბასრი კბილები მოუჩანდა. ხანდახან, როცა წასვლას დავაპირებდი, „ხანჭლები“ ოდნავ იხსნებოდა და უფრო სახარელი ხდებოდა. ნამდვილი მტაცებელი ცხოველის კბილები ჰქონდა. ცოტა გაღიზიანება და დამგლეჯდა.

— რას შვრები, ჯოღორია, შე უნამუსო, არ გრცხვენია? — ამიკანკალდა მუხლები. გადავწყვიტე, მოვფერებოდი. ჯოღორიამ ღრენას მოუმატა. ისევ გამოვწყე ხელი ჯვან და ვიგრძენი, მას საბოლოოდ გამეტებული ვყავდი.

სწორედ იმ წუთში, როცა გადავწყვიტე, დაღებულ პირში ხელი მთელ ხიგრძეზე ჩამეყო და გულ-ღვიძლი ამომერთმია, ან თავზე ხელები წამეფარებინა და მიწაზე დავ-გორბულიყავი, ჯოღორიამ თავი სწორედ მაშინ დამანება, მაგრამ ერთ-ორჯერ ისეთი ტონით დამიუფეა, თითქოს მაფრთხილებდა, მაცალე, მე შენ მოგივლიო.

მე და ჯოღორიას შუა იმ დღიდან შევმა კატამ გაიარა. ჩემს დანახვას ვერ იტანდა, მაშინვე უცნაურ წყმუტუნს დაიწყებდა, კისერში ბალანი აეძაგრებოდა, მაგრამ უფრო არ მიუეფდა. ჰიშკრიდან ეზომდე მიმაცილებდა, მერე ისევ — ეზოდან ჰიშკარამდე და ამ ხნის განმავლობაში წუხდა და წუხდა რაღაცას. ძაღლს კი არა, კაცს ვერ გაუგებ ახლა და მე რა გამეგო მისთვის? ეზოს გადღმა თუ საღმე წამასწრებდა, გვერდით ჩამივლიდა, ცალყვად დამიღრენდა და გამშოკდებოდა.

მისი მზერა და თვალთვალი გამოცანად მექცა. ვერაფერი გავუგე. მაფრთხილებდა? ვეცოდებოდი, მოხმარება უნდოდა და ვერ მეხმარებოდა? არ ვიცი.

მივხუტე თუ არა ჰიშკარი, სული ხარბად მოვიტყვი. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც წულის ფსკერზე ნამყოფი კაცი. ზედმეტი სიცხისაგან მშრალი და უგემური იყო ჭაერი, მაგრამ მე მაინც ხარბად ვსუნთქავდი.

ფერნაცვალ ყანაში გამავალ ბილიკს დავადექი. მზეს სიმინდის ფოთლები დაეჭკნო, წვრილ მილებად დაეზვია და ახლა ყანა ოთხი-ხუთი წლის ბავშვის ნახატს ჰგავდა.

გადავედი თუ არა ეზოდან, უცებ მოვითენთე, საშინელი დაღლილობა ვიგრძენი.

მაქიმედას სახლი ჩაის პლანტაციის ბოლოშია. მისი სახლიდან წისქვილამდე მხოლოდ ერთი მოსახლეა. შუაში მოზრდილი ფერდობია. ეს მიწა რევოლუციამდე მაქიმედას ეკუთვნოდა. მერე ჩამოაჭრეს, მაგრამ კოლექტივი რატომღაც არ იყენებდა და ხალხმა „გაშობილა“ შეარქვა. სწორედ ამ „გაშობილას“ პატარა ნაჭერი ჩაუღობავს ერთ ღროს მამაჩემს, ზედ ვენახი გაუშენებია და ამ მიწას ეღავებოდა მაქიმედა. „გაშობილას“ ბოლოში ჭარისკაცები სანგარს თხრიდნენ.

რამდენიმე ჭარისკაცი სანგარში მუშაობდა. ისინი წელს ზემოთ შიშვლები იყვნენ. ფართოფარფლებიანი ქუდები ეხურათ და მათი ზურგები ყვავიფრად ჰქოდა მზეზე. ერთი ოფიცერი და რამდენიმე ჭარისკაცი ორმოსავალა ლედვის ძირში იჯდნენ და უარამანა კობიძის ბოწოწო თუთუნს აბოლებდნენ. პაპიროსის მწვეველ ბიჭებს ჭარისკაცი მანორკა უფრო მოსწონდათ და იყო მანორკისა და შინაური თუთუნის ერთი გაცვლა-გამოცვლა:

მე ვიხსენებდი იმ ღამეს წმინდას,
იმ „ჰო“ და „არას“, იმ ფიფქებს დაღლილს,
მე ვიხსენებდი და ძლიერ მწყინდა,
ვერ ვიმოკლებდი შენამდის მანძილს.
ბუხართან თბილად ვისხედით, ჰოდა,
ღარღობდი, როგორ იცვალა დარი,
გარეთ კი ისევ თოვდა და თოვდა
და ჭორობდა უწყინრად ქარი...

საავადმყოფო, ფერები ბაცი
და მთელი ღამე წრიალი ძილში,
და მამაჩემი, ნაჯაფი კაცი,
წამალს მორჩილი ბავშვივით მიწვდის.
ღრუბლები ქშენით ირწყევა ცასთან,
ძირს გართხმულ ფესვებს ეცემათ ელდა,
ზის ახლა სოფლის ბოლოში, ალბათ,
და სახსრის ტკივილს უჩივის დედა.
ვინ გამოზიდოს გაღმიდან წკნელი,
და ფიქრი კიდევ, სტუმარი... ვალი...
და ნალვერდლიდან მბოლავი ცეცხლით
მზადდება ჩემი საგზალი ხვალის...

ვიცოდი ერთხელ დამიძახებდი
და მომაგნებდი თოვაში გვიან,
ღვას დეკემბერი თეთრი ქარებით
და ისმენს ხეთა უნაზეს შრიალს.
და შინდის ტოტზე საუბარს იწყებს
ბელურა ბელზე და ქარზე მწყერალი,
და ყინვისაგან შეჭირხლულ მინებს
ატყვია შენი თითების კვალი...

აფხაზური პოეზიიდან

ლიმბრი გულია

ი რ ე მ ი

ის იღვა, როგორც ნაქანდაკევი,
ქვემოთ კი ღელე უფსკრულში ქროდა.
ხის ტოტებივით შევნოდა რქები,
ვაზივით წვრალი ფეხები ჰქონდა.

მას განსაცდელი მუხლზე ვერ დასცემს,
თუნდაც ღევნილი მოჰყვეს ალყაში.
რა შეედრება მის სილამაზეს,
თვალი უბრწყინავს, როგორც ალმასი.

კლდის ქვემოთ თეთრი მიცურავს ნისლი,
უფსკრულის თავზე ტრიალებს ქარი.
ახლა დაღუპვა ხვედრია მისი,
ახლა საშველი აღარსით არი.

დამორჩილება, იქნება, ღირდა
და მონადირეც აღარ მოკლავდა.
უეცრივ მოსწყდა მაღალი კლდიდან.
ამ დროს ფრთაგაშლილ ფრინველს მოჰგავდა.

მდუმარედ იღვნენ უფსკრულის პირად
გოცნებული მონადირენი,
ვიდრემდის ნისლში არ ჩაიძირა
თავეანწირული ლაღი ირემი.

ამ ლექსით თქვენთან მსურს საუბარი,
ამ ლექსით ამაყ ირემს ვუძღვერი —
სჯობს დაიღუპო თავისუფალი,
ვიდრე მონობის გედვეს უღელი.

„სტუმარო, მითხარ, ეგ შენი მხარე
ასე ლამაზი თუ არის მართლა?
მშრალად აღწერას ნულარ იკმარებ,
კარგს იზამ, სრულად თუ დამიხატავ!“

„ჩემი სამშობლო რომ აღმეწერა,
მე ისეთ ფერებს როგორ ვპოვებდი!
ეს რომ შემეძლოს, ნამდვილად მჯერა,
ვერ მაჯობებდა ერთი პოეტიც“.

ივანე თარგა

ა ზ ხ ა ზ ე თ ი

ვით არ მიყვარდეს მე აფხაზეთი —
აფხაზი რომ ვარ, უუმაღლი გამჩენს.
თუა მშვენება სადმე ასეთი
და ხალხი ასე გამრჯე და მარჯვე!

დამდგარან მთები ციხე-სიმაგრედ
და შრიალეებნ ტყეები ირგვლივ,
მათი ხასხასი გულს გამიხარებს,
არ იშორებენ მზის ოქროს გვირგვინს.

ყვავილებია ათასნაირი,
ჩემთვის სიკეთის მუდამ მსურველი.
გაჟღენთილია სუფთა ჰაერი
დამათრობელი მათი სურნელით.

მიყვარს ბარაქა ჩემი სოფლების,
თვალუწვდენელი ჩემი ყანები,
მოსავლის დედა — მიწა მშობელი,
ხალოცავი და სათაყვანები.

სიმიინდი ულვაშგადაგრეხილი
განა არა ჰკავს მოსაველის ოსტატს?
შეხედე ტაროს ოქროსფერ ღიმილს,
მაღე ნალიას ოქროთი მორთავს.

აგერ — გახედე ხეხილის ბაღებს,
წვიმა რომ ბანს და მზე რომ აშაქრებს,
შავთვალა გოგოს გულს გაულაღებს,
ღაუღაჟა ვაშლს და შავ ქლიავს დაკრეფს.

ციტრუსის ტოტებს ოქრო ანათებს,
ბაღში ტრიალებს ოქროს ნამქერი.
ბიჭი ფორთოხლით ავსებს კალათებს
და ფოთლებშუა გოგოს გასცქერის.

თვალს რაც ახარებს და გულს რაც უყვარს,
მე მისი ქება მუდამ მწადია —
აგერ ეხვევა ვენახი მურყანს
ეს მერამდენე წელიწადია.

მიყვარს მღელვარე ჩაის ზვირთები,
ნიავეის სუნთქვით ანათრობლები
და გოგონების მარდი თითები,
ვით მონავარდე თოლიის ფრთები.

ახალ აფხაზეთს მე გულით ვეტრფი,
ახალ ყოფას და ადამიანებს,
ახალ ქორწილებს ეშხი აქვთ მეტი,
ვაქებ ჯიგიტებს ქარისფრთიანებს.

ბზიფის პირს მისდევს მანქანა სწრაფად,
რომ სილამაზე იხილოს რიწის —
იმ ტბის, რომელიც ჰკავს მწყემსის ნაბაღს,
სად ავადჰარის ჩქაფანი ისმის.

ვეტრფი აფხაზეთს სიცოცხლესავით
და მისი მადლი შუქივით მაწვიმს.
კუმღერი, როგორც უჭკნობელ ყვავილს,
დიდი საბჭოთა სამშობლოს ნაწილს.

სულ ახლოს სახლთან...

მახსოვს ბავშვები
ტყეში წავედით.
ხის კენწეროზე, მახსოვს,
ავედი.
დღეა კი დიდხანს
გზას გაჰყურებდა.
გულგახეთქილი
მელოდა დედა.
ნისლი ჩამოწვა,
გზაც აღარ ჩანს.
ჩურჩულებს დედა:
„სადა ხარ, ნან!“
ბომელის დედა
კვლავინდებურად.
აქ სახლებს თეთრი
ფაფახი ზურავთ.
თოვს და მიდამო
ქათქათებს თეთრად.

იუმცა შორსა ვარ,
არ დარდობს დედა.
წერილი მომდის
განა გვიანი:
„წელი დაგვიდგა
ბარაქიანი.
ჩამოდი.
ვაშლი გელის წითელი
და შავი ყურძნით
სავსე გიღელი.
შენი საწნახლის
შესვი მაჭარი,
რომლის ბაღალი
ქვეყნად არც არი“.
მპირდება ღიმონს,
კომშსა და ატამს...
მე მოსკოვში ვარ —
სულ ახლოს სახლთან.

თარგმნა გიორგი სალუშვაძე

ჯორჯ ფრეიზერი

სიზმრალ კემბრიჯში

გუშინ საოცარი სიზმარი ვნახე. მესიზმრა, თითქოს კვლავ კემბრიჯში ვიყავი, ჩემს ძველ ბინაში, ტრინიტის დიდ სასახლეს რომ გასცქერის. საღამო იყო და სარკმელი ღია მქონდა.

სასახლის მხარეს, როგორც წინათაც ბევრჯერ მინახავს, დარბაზის განათებული ფანჯრები ჩანდა და დირექტორის სახლის სახურავს ზემოთ მიშწუხრის ვარსკვლავი ჰაერში გამოკიდებული ვერცხლის ლამპარივით კაშკაშებდა დასავლეთის ცაზე. სამლოცველოში ორღანზე უკრავდნენ, გუნდი მღეროდა. მერე მათი ხმები მიწყდა და ორღანის გულშიჩამწყდომი, მთრთოლვარე ბეგრები მღუმარებაში ჩაინთქა.

კიბეზე ნაბიჯების ხმა გავიგონე: თანდათან მიახლოვდებოდა. მალე კაკუნი გაისმა და კარებში კარგა ხნის გარდაცვლილი ახლო მეგობარი შემოვიდა. „დავიღალე. წამო, სასახლისკენ გავისეირნოთ“, — მითხრა მან. — „ან იქნებ სჯობს დავიძინო?“

ნათურა გამოვრთე და კიბეზე დავეშვიტე. როცა სასახლესთან მივედი, მთვარე უკვე ამოსული იყო. მკრთალ, უფერულ აჩრდილებს ჰგავდნენ სახურავები მის შუქზე, ვერცხლისფერი დაჰყვნოდათ ფერმკრთალ ყვავილებს შადრევნის ირგვლივ გაშენებულ ყვავილნარში. თელემისნომგვრელი შხაპუნით იღვრებოდა ამოხეთქილი ჭავლი წყლისა. გაცდით ღარბაზის ჩაბნელებულ, მღუმარე ფანჯრებს. რამდენიმე საფეხურიც და ღია ტერასზე მოვხვდით. იგი ნევილის სასახლეს გადაჰყურებდა. თაღოვან ტალანს ერთ მხარეზე თვალშეუდგამი უკუნი ჩამოსწოლოდა, მეორეზე კი სვავრიელად იღვრებოდა სხივებად მოვარდნილი მთვარის შუქი. კოლონების ჩრდილები ზოლებად გაწოლილიყვნენ ქვაფენილზე.

უწინდელივით შევისვენეთ. მეგობრებსა და საყვარელ წიგნებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბუნების მშვენიერებაზე, სამოთხის ნეტარების ხილვაზე, ოქროს ხანაზე.

შემდეგ თაღოვანი გასასვლელი გავიარეთ და ცაცხვების ხეივანში ამოვყავით თავი, სადაც ერთმანეთში გადახლართული ტოტების ჩრდილები მთვარით განათებულ ბილიკზე ცეკვავდნენ. ხილზე შევჩერდით. რა ტკბილად ჩასძინებოდა მთვარის შუქს წყალზე, როგორ მოვევრცხლა მშვიდ მდინარებაში ტოტებჩაშვებული ხეების ფოთლები. სუდარაში გახვეული აჩრდილების მსგავსი თეთრი ხიდეები თანდათანობით უჩინარდებოდნენ შორეთში — უბადრუკი ილუსტრაცია ზღაპრული ქვეყნის მომხიბვლელობისა.

უცბად წელიწადის დროც და პეიზაჟიც შეიცვალა. (სიმარში ეს ხშირად ხდება: მაისის კაშკაშა შუადღე იდგა. კოლეჯის ბაღებში თეთრად და ვარდისფრად ყვარდა წაბლი, ოქროდ იღვრებოდა ტირიფი, მეწამულისფრად ღვიოდა იასამანი.

მინდორში გავედით. მაღალი თელების დაწინწკლულ ჩრდილებქვეშ საცალფეხო ბილიკი გასდევდა ცოცხალ ღობეს. კუნელის ყვავილები-საგან თეთრად ქათქათებდა მესერი. სურნელს ჰაერიც დაემძიმებინა. ცოტა მოშორებით, ბაიებითა და გვირილებით მოფენილი მდელოები მოჩანდა. გაცდით მათ. კოტონის ძველი ეკლესიის სასაფლაოსაც ჩაეუარეთ. მისი ნაცრისფერი კოშკი ხეებს შორის ამართულიყო. ხავსმოკიდებულ საფლავის ქვებს ბალახებში ეძინა. იქიდან ნაცნობი ბილიკით მედინგლი ჰილის ფერდობზე ავედით.

წელიწადის დრო ისევ შეუმჩნევლად შეიცვალა. კუნელის თოვლივით თეთრი ყვავილები ცოცხალ ღობეზე წითელ ვარდებად აღაჟღაჟდა და

აღისფერი ყაყჩაოებით მოფენილ მინდვრებში ნამგლის მომლოდინეობა
რბლის მწიფე ოქროსფერი თავთავები აელვარდა. მთის თხემზე ფიჭვნაკი
ვით შეფენილიყვნენ ტყეები და აქა-იქ შემოდგომის მოყვითალო-მოყავის-
ფრო ელფერს აფენდნენ. მწვერვალისაკენ მიმავალ გზაზე ქარის წახტე-
ლის ნანგრევებთან უწინდელივით შევჩერდით. (ცოტასღა ახსოვს დღეს
მისი არსებობა). არ გვინდოდა ისე წავსულბოყავით, რომ პეიზაჟისთვის
არ გვეცქირა, თვალუწვდენელი სივრცის დიდებულებას არ დავემშვიდე-
ბინეთ.

ჩვენს მარჯვნივ კოტონის ეკლესიის წვერი მოჩანდა მთის მხარეზე,
მოჩანდა, როგორც მტკიცედ მიმართული საჩვენებელი თითი წარმავალი
მიწიური შფოთისა და წუხილისა საუკუნო ზეციური უშფოთველობისა და
სიხარულისადმი.

ჩვენს ფერხთით მთის გზა ფერდობის გაყოლებით დაბლა ეშვებოდა
და მერე, ხეებით შემოჯარული, მწვანედ მოლივლივე ტალღასავით შორე-
ული ტყეებისაკენ მიცურავდა, სადაც კემბრიჯის გუმბათების მაღლა
ამართული წვეროები ყელყელაობდნენ. მათ უკან გოგისა და მაგოგის მთე-
ბის დაბალი ლურჯი ზოლი მოჩანდა, რომელსაც ნაჭრილობევსავით თეთ-
რად გასდევდა ციცაბოზე შეფენილი მთის გზა, ხოლო ჩრდილოეთისაკენ
ელაის ტაძრის კოშკები ბუნდოვან ლაქასავით მოჩანდნენ შორეულ ჰორი-
ზონტზე, მკრთალნი და ნისლოვანნი, ვითარცა ხილვა.

ერთხანს მღუმარედ ვიდექით, ბუნებას შევცქეროდით. შემდეგ უკან
დაბრუნება გადაწყვიტეთ. სანამ მთიდან ვეშვებოდით, ჩემს თანამგზავრს
მივუბრუნდი და ვუთხარი: „გუშინ ცული სიზმარი ვნახე“.

— რა ნახე? — მკითხა მან.

— მესიზმრა, — ვუთხარი მე, — თითქოს შენ უკვე აღარ იყავი და მე
კემბრიჯი სამუდამოდ დავტოვე.

— მაგრამ ეს ხომ მხოლოდ სიზმარია, — მიპასუხა მან და გაიღიმა, —
მე ცოცხალი ვარ, ხოლო აი, იქ, ტყეებს შორის, კემბრიჯია. ჩვენ მაღე
მივალთ იქ ერთად.

ამას რომ ამბობდა, იგი უეცრად გაქრა. მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ
პეიზაჟი, რომელსაც სულ ერთი წუთის წინ ასე აღტაცებული მივჩერებო-
დი, გამქრალიყო. უეცრად ხმა მომესმა. მან ნიავეით მსუბუქად ჩამომიქ-
როლა და მითხრა: „საუკუნოდ! საუკუნოდ!“

უცბად გამომეღვიძა. ლონდონის ნაცრისფერი დილა თენდებოდა. მო-
ყვითალო შუქი იღვრებოდა ფარდებიდან და ნახევრად მძინარეს, ნახევ-
რად ფხიზელს ისევ ჩამესმა ხმა, შორეთში დაკარგული ქროლვა ქარისა:
„საუკუნოდ! საუკუნოდ!“

ინგლისურიდან თარგმა

ნონა ლამბაშიძე-კეკელიძე.

ოთარ ფუტყარაძე

მესხეთო, გამოსჯარ ლერწამი

ასპინძიდან ხუთ კილომეტრზე, მთის უკაცრიელ ადგილას, სწფუძველი ჩაეყარა ახალ სოფელს, რომელსაც „ივერია“ ეწოდა. აქ მაღალმთიანი ხულოს რაიონის მშრომელები დამკვიდრდნენ, სულ ათი ოჯახი.

შთამომავლობით მეცხოველის სოსო ჩობაძის მრავალშვილიანი ოჯახის სახლის საძირკველში პირველი ქვა ჩადო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შვეარდნაძემ.

გაზეთებიდან

მტკვარს რომ აღმა აუყვებით, თანდათან ანკარავდება საქართველოს დედა-მდინარის წყალი. მესხეთის მიწაზე, ოთასწყლის შესართავთან კი ისეთი მშვიდი და სუფთა მოედინება, თითქოს არცოდის ენახოს გარდასულ უამთა სიაყე. მტკვრის გაღმა-გამოღმა შეფენილ სოფლებს ისეთი სახელები ჰქვია, წარსული უმალ გაგახსენებთ თავს: აწყვიტა, დამალა, იღუმალა, ნაქალაქევი...

ეს ასპინძის რაიონის სოფლებია.

ამ ადგილებში ძველთაგან გადიოდა დიდი საქარავნო გზა და მტერიცა და მოყვარც ამ გზით მოდიოდა საქართველოში. მომხვედურთა ჯარს პირველად აქ ზვდებოდა და ერკინებოდა ქართველი. ერთ ღროს ბელად წოდებული ეს მხარე დაცარიელა მტრის ღირცხვაშ შემოსევებმა, მოშალა მეურნეობა, დაანგრია წლობით ნაშენებ-ნაშენებნი სოფლები და ქალაქები.

— დიდი ხანია ჩვენი სახლების ბანებზე აღარ იკეთებენ მერცხლები ბუდეებსო, — დაუჩივლია ერთ მოხუცს, — თითქოს გრძნობენ, რომ სხვაგან გადასახლდებოდნენ აქაურები, დაშლიდნენ სახლებს და ფრინველების ბუდეებიც მოიშლებოდა.

უგზოობამ, უსინათლობამ და უყურადღებობამ ათქმევინა ეს მწარე სიმართლე მესხ გლეხკაცს. აკლდა მზრუნველობა მესხეთ-ჯავახეთს.

დღეისათვის ახალი პატრონი გამოუჩნდა ამ კუთხეს, ბარად კი არა, ყველაზე მაღლა ნიალას ველზეც ააღწია ავტომანქანამ, აციმციმდა ტელეეკრანი, ცისფერი ალი... დიახ, აქ კვლავ მოვიდნენ ადამიანები, გააღვივეს მიშქრალი ღველფი გაცივებულ კერაზე და ცოცხლდება მიტოვებული ნაფუძარები მესხეთის მრავალჭირნახულ მიწაზე.

ბოლო სამ წელიწადში რუსთავში, ოშორაში, ოთასა და სხვაგან ხუთასზე მეტი ახალი წევრი მიიღეს კოლმეურნეობებში, მესხეთის რუკაზე გაჩნდა ახალი სოფლები — ივერია, მტკვარი...

ახალმოსახლენი უმეტესწილად აჭარიდან არიან. რიყეთიდან, კორტოხიდან, დიოკნისიდან, კობალთიდან, დანისხარაულიდან, ოქტომბრიდან და სხვა სოფლებიდან ასობით ოჯახი შეემატა ასპინძის რაიონს.



პარტიის ასპინძის რაიკომის მდივნის თენგიზ პატიაშვილის კაბინეტში ვსივარდა მეხსეთის ახალმოსახლეებზე ვსაუბრობთ.

— ორგანიზებულად მივიღეთ ყველა ოჯახი, უმოკლეს დროში დავაბნინავთ. გაშალებული დავასვედრეთ ყველაფერი: თითოეულ ოჯახს გამოვუყავით ნახევარი ჰექტარი სახნავი მიწა, მიეცით ოთხი ათას სუთასი მანეთი გრძელვადიანი სესხი, ცემენტი, შიფერი, ბლოკები, ხე-ტყე და სხვა სამშენებლო მასალები. ამ საქმეში ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა. — გვითხრა პატივცემულმა თენგიზმა.

სასიამოვნოა, რომ ახალმოსახლენი ძირითადად ახალგაზრდები არიან. გიხარაა, როცა მათ შრომას უყურებ ველ-მინდვრებში. ბევრი მოეწყო მძღოლად, ტრაქტორისტად, მანქანდობად. 1981 წლის შემდგომ ახალმოსახლეთაგან 127 მოსწავლით შეივსო რაიონის სკოლები, ას სამოცდასთუთ ცოლამდელი ასაკისაა...

— რამდენადაც ვიცო, ჩამოსახლების მსურველნი კვლავაც მრავლად არიან. რა პერსპექტივაა მათს მისაღებად?

ამ კითხვაზე რაიკომის მდივანი წამოდგა, კარადიდან პატარა რუკა გამოიღო და მაგიდაზე გაშალა:

— ეს წერტილები დასახლებულ პუნქტებს აღნიშნავს, ოცდაორი სოფელია სულ ჩვენს რაიონში. ეს კი ნახოვლარებია. ხედავთ, რამდენია? რვა ათეულზე მეტი. აქ მოსახლეობა ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე ხულოში, მიწები კი გაცილებით მეტი გვაქვს...

— მაშ, ვინც ოჯახში ბევრნი არიან და საკარმიდამო ნაკვეთები არა აქვთ, შეგიძლიათ ყველა თქვენს რაიონში ჩასახლოთ?

— შეგიძლია. ჩვენი მიწა მეტად ნაყოფიერია, კაცისა და ქვეყნის შემნახავი... კიდევ დაგეგმილი გვაქვს 100-150 ოჯახის ჩამოსახლება. საამისოდ გამოგვეყვას ცემენტი, შიფერი, ხე-ტყე, ბლოკები... ახლა სოფლებში გაგვყავს გზები, წყალსადენები, ხარწყავი არხები...

მაღე კეთილმოწყობილი გზაც გვექნება გოდერძის უღელტეხილზე. მაშინ, ალბათ, სიშორესაც ვეღარ ვიგრძნობთ.

— კიდევ ერთი კითხვა, პატივცემულო თენგიზ, ნაღ მოხდება მსურველთა ჩასახლება, რა პირობებში?

— ათამდე სოფლის აღდგენას ვაპირებთ. საუკეთესო ადგილებია ერკოტაში, ზემო ვარძიაში, ვარგავეში. ნიალას ველზე გავაცოცხლებთ სამ სოფელს. ესენია ღებინი, ვანი, აგარა. ეს სოფლები მაღალმთიანია და იქ ჩასახლების მსურველთ თითო ჰექტარ მიწას გამოვუყოფთ...

ოშორას ქვემო უბანს რომ აივლით, შორიდან ახალნაგები პატარა დაბა გამოჩნდება. აქ ცხოვრობენ ხულოელი ახალმოსახლენი. ვინც აქ პირველად გავიცანით, მკვიდრი მესხია, სოფელ ოშორას ინჟინერი ჯიმშერ მჭედლოშვილი.

დღედაღამ ახალმოსახლეებთანაა ჯიმშერი, ჯერ სამოსახლო ადგილების შერჩევაში უმართავდა ხელს, ახლა სახლების აგებას ხელმძღვანელობს. აღტაცებით ლაპარაკობს იგი ახალ მეზობლებზე, მესხეთის განახლებაზე:

— ოშორაში 50 ოჯახი ჩამოსახლდა. სხვა სოფლებშიც უნდა ჩამოსახლდნენ, რათა გაღვივდეს ჩამქრალი კერები, აყვავდეს ბაღ-ვენახები.

— მოგწონთ, ჯიმშერ, ახალი მეზობლები, როგორი ხალხია?

— კარგი ხალხი ჩამოვიდა ძალიან, მშრომელი, კეთილი. მათს ჩამოსახლებას მო-

წონებით შეხვდნენ ჩვენებურები. მოყვრობაც გავაჩაღეთ უკვე, ვიცით ერთმანეთის გაჭირვებაც და დაღვინებაც.

შემდეგ თავისი სოფლის განაშენიანების გეგმასაც გვაცნობს ჯიმშერ მჭედლიშვილი:

— უახლოეს ხანებში აიგება აბანო, პურის საცხობი, გამოვიყვანეთ წყალსადენი, გვაქვს სარწყავი არხი, მაღაზია, კლუბი, ბიბლიოთეკა. საშუალო სკოლის კაპიტალური შენობის აგება თქვენებურების ჩამოსახლებაში დააჩქარა, საპირველსეპტემბროდ დაირეკა პირველი ზარი...

საუბარში გართულ ახალგაზრდებს წვაღეჩით, ახალდაგებული სახლის აივანზე ისვენებდნენ.

— გამარჯობა, ბიჭებო! თქვენ აქაურები ბრძანდებით?

— ახლა აქაურებად ვითვლებით.

— საიდან ჩამოსახლდით?

— მე ქობულეთის რაიონიდან, ქვედა კვირიკეში ვცხოვრობდი.

— თქვენ?

— ხულოს რაიონიდან.

— ბარემ ერთმანეთსაც გავიცნოთ.

— თამაზ ბოლქვაძე.

— რეზო ბოლქვაძე.

— თამაზ, თქვენ თქვით, ქობულეთის რაიონიდან ჩამოსახლდით. რამ განაპირობა ეს?

— ოთხი ძმა ვართ, მაგრამ მიწა არ გვეყო, ვერ ვიტყვი. ახალგაზრდა კაცი ვარ და მინდა საკუთარი ოჯახი შევქმნა, თავად ავაწყო ცხოვრება, მესხეთ-ჭავჭავეთის განახლებაში შევიტანო წვლილი. შორეულ ნაოსნობაში ვცურავდი, ცოტა დანაზოგი დავაგროვე, აქაც მომცეს კრედიტი და მოვძებნე საიმედო ნავსაყუდელი, ოშორაში ჩავუშვი ღუზა. — იღიმება.

— ვხედავ, კარგად დამკვიდრებულხართ...

— არა უშავს. წვრილმანებს თუ არ ვიგულისხმებთ, ხელი არაფერში გვეშლება. სახლის გაწყობას უკვე მოვრჩი. გავვიმართლა იმედი, ძალიან კარგი ხალხი შეგვხვდა, გულთბილად მიგვიღეს. უმათოდ სახლებს ვერც კი ავაგებდით. მოდიან აქაურები, გვირჩევენ, როგორ მოვაწყოთ ცხოვრება, საღ რა გავაშენოთ... — ენაწყულიანობს თამაზი.

— ნათესავები არ გენატრებათ?

— როგორ არა, მაგრამ ავტობუსი დაგვინიშნეს — ნულო-ასპინძა და არ ვწყვეტთ კავშირს მშობლიურ კუთხესთან, ახლახან ავტომატური ტელეფონებიც დაგვიდგეს სახლებში.

ოშორაში ადრე 104 საკოლმეურნეო კომლი იყო. ორმოცდაათიც ახალჩამოსახლებული დამატა. ოცამდე ქალი კოლმეურნეობის ფერმაშია დასაქმებული და სანაქებოდ შრომობენ. გარდა ამისა, შეიქმნა ახალი ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მეურნე, დანისპარაულის კოლმეურნეობის ბრიგადირი ალიოშა პაპიძე ჩაუდგა სათავეში.

— შარშან ათასობით მანეთი იზარალა ოშორას კოლმეურნეობამ, აკლდა სოფელს მუშახელი და აუთვისებელი იყო ფართობები, მერედა რა ბარაქიანი მიწებია. — გავი-ზიარა გულისწუხილი ალიოშამ, წამით იყუჩა და იმედიანად დახმინა, — აი, ჩვენებუ-რებიც შეუერთდნენ აქაურებს და, ვფიქრობ, არ შევირცხვენთ თავს.

— როგორია თქვენი ჯარი, ღირს თუ არა აქ ცხოვრება? სხვებიც რომ ჩამოსახლ-დნენ, რას ურჩევდით?

— გამარჯე კაცს არ გაუჭირდება აქ ცხოვრება. ჩემს სოფელზე უკეთესი რომ არ ყოფილიყო, ხელფასი საკმაოდ მქონდა და რატომ წამოვიდოდი. ძმასაც ვურჩიე,

ჩამოდი-მეთქი, მაგრამ ტყე რომ ვერ ნახა, სახლი როგორ უნდა ავაგო, თქვა და უკან გაბრუნდა. ახლახან მესტუმრა კიდევ. მოკლე დროში აშენებული ასეთი კარგი სახლი რომ ნახა, ისევ მოუბრუნდა გული. ჩამოვა, აღბათ, მალე.

— თქვენი ძმაც რომ ჩამოვიდეს, მამა-პაპური ფუძე არ მოიშლება?

— არა. ორი ძმა აქეთ ვიქნებით, ერთიც ძველ ფუძეზე დარჩება. მინდა ძმისშვილიც წამოვიყვანო... აი, ჩემს სახლთანაც მოვედით. ეს ჩემი საკარმიდამო ნაკვეთია.

— დავათვალიეროთ, რა გაქვთ გაშენებული.

— ვთესავ კარტოფილს, სიმინდს, ლობიოს, ხილი თავისთავად არის. დანისპარაუ-ღში რომ მომყავდა, იმაზე მეტი მოდის მოსავალი.

— ვენახიც ჩავიყრიათ...

— რა თქმა უნდა. შევხედეთ აქაურებს დვინო არ აკლიათ და არაყი, გულლიად და გაბეღულად ხელებიან სტუმარს. შევიდეთ შინ, არც მე შევირცხვენ თავს...

საუბარს ღია ვერანდაზე ვაგრძელებთ:

— ჩემი ხელით ავაგე ეს სახლი, ოთხ-ოთხი ოთახია ორივე სართულზე. აქარის ხელმძღვანელებმა დიდად შეგვიწყეს ხელი, წამოვედით თუ არა, სამშენებლო მასალებით დატვირთული ავტომანქანები მოგვაცოლეს უკან. შარშანაც ჩამოგვიტანეს თუნუქი, ცემენტი, ტანსაცმელი...

— შემოსავლით თუ ხარტო კმაყოფილი?

— მოდით, ერთად ვიანგარიშოთ: 1.2მმ მანეთი ხელფასი მივიღე, ერთი ამდენიც მეუღლემ შემოიტანა, 12 სულ პირუტყვს ვუვლი, ორი კამეჩი ჩავაბარე და 1.3მმ მანეთი მივიღე. ახლა ხამი ტონა კარტოფილი და ტონამდე ვაშლი მიამატე, ზაზარზე რომ გავყიდე... ერთი სიტყვით, მარტო შარშან 6.0მმ-მდე მანეთი შემოგვივიდა ოჯახში. ცხადია, ის პროდუქტები არ მიმიტვლია, თავად რომ მოვიხმარეთ.

მალე დიასახლისიც გამოჩნდა და სასტუმრო ოთახში, სახელდახელოდ გაწყობილ მაგიდასთან მიგვიპატიჟა.

დავლოცეთ ახალი ოჯახები, ფუძემყარობა, გამრავლება ვუსურვეთ.

ალიოზა პაპიძემ აიღო ჭიქა ხელში: მინდა პარტიას, მთავრობას მაღლობა გადავუხადო ჩვენზე გაწეული ამავისათვის. ჩვენ მშრომელი აღამიანები ვართ, არ შევირცხვენთ თავს, მათს ამდენ ამავს წყალს არ გავატანთ. — თქვა და დალია.

ძველი მეზობლებიც მოიგონა:

— გადაცით მათ: იქ, სადაც მჭიდრო დასახლებაა, არ ჰყოფნით მიწა, ვერ გადაუწყვეტიათ წამოსვლა, ჩამოვიდნენ აქ, ჩამოსახლდნენ... ქართული მიწა, ეს ჩვენი მიწა და ეპატაროთ!

* * *

რუსთავი, დიდი შოთახს სამკვიდრო...

ეს სოფელი შუა გზაზეა ასპინძასა და ახალციხეს შორის.

დასახლებას მიუახლოვდებით თუ არა, ჯერ მაღალი, ქართული ჩუქურთმებით შემკული სტელა მოგხვდებათ თვალში, შემდეგ კი მომცრო ფიჭვნარიდან ნელ-ნელა ამოწილული ქანდაკება შოთა რუსთაველისა.

აგერ ჩვენებურთა ახალშენიც.

აქ ბეჟან ძირკვამეს, თემურ პაქსაძეს, სერგო, გიორგი, ბეჟან შავაძეებს, თამაზ ლომიძეს, გიორგი ხმაღაძესა და სხვებს გაუჭრიათ ბაღავარი.

ბეჟან შავაძე და თამაზ ლომიძე პედაგოგები არიან, სკოლიდან შინ რომ ბრუნდებოდნენ, მაშინ დავემგზავრეთ.

— ჩვენ პირველები ჩამოვსახლდით რუსთავში, მნ ოჯახი, ყველა ხულოს რაიონიდან: — გვითხრა ბეჟანმა.



თამაშმა ჩამოსახლების პირველი დღეები გაიხსენა:

— აქაურები კეთილმეზობლურად შეგვხვდნენ, როგორც ძმები, მეგობრები... მაშალა, თავდაპირველად გავიჭირდა, მაგრამ რაიონის, სოფლის ხელმძღვანელების, ახალი მეზობლების გულისხმიერი დახმარებით ყველაფერი მოვაგვარეთ. ამიტომაცაა, რომ უკვე დავიმკვიდრეთ საძირკველი, ავაგეთ სახლები...

— თქვენ მასწავლებლები ბრძანდებით, სხვები რას საქმიანობენ?

— სოფელში გვაქვს მეცხოველეობის ფერმა და მეფრინველეობის ფაბრიკა. ქალები იქ არიან დასაქმებული. კაცები კი... ხედავთ, რამოდენა ველ-მინდვრებია, სამუშაოს რა გამოიღვეს, არც ანაზღაურებაა ურიგო.

— სკოლაში მოსწავლეები ბევრი გყავთ? (თამაშ ღომიძე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეა მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დარგში, ამიტომაც ამ კითხვით მას მივმართეთ).

— ჩვენ რომ ჩამოსახლდით, მაშინ რეაწლიანი სკოლა იყო სოფელში, კონტინგენტის სიმცირის გამო მეოთხე კლასი იხსრებოდა. შარშან კი სკოლა ათწლიედ გადაკეთდა. ის კი არა, ბავშვთა ბაგა-ბაღიც გავხსენით, რომელსაც ჩვენებური მარინა ძირკვამე უდგას სათავეში.

— ახლა ყველა ახალმოსახლის ოჯახში ირწყევა აკვანი. მალე მრავალშვილიანი დედები გავემრავლებიან, აღდგება მესხეთის დაცარიელებული სოფლები. გვიფხრა ბეჟან შავაძემ.

ლამაზია რუსთაველთა ახალშენი, შორიდან პატარა დაბას მოგვაგონებს მოზრდილ ვაკოშზე ჩარიგებული ლამაზი ორსართულიანი სახლები. ივენანის საამო შანგები ეფინება მდიდროს ფანჯრებიდან. იზრდებიან პატარა რუსთაველები, იმელი და მომავალი მესხეთისა..

* * *

ახლა ჩემი მეგზური მინდა გაგაცნოთ: სახალხო დეპუტატთა ასპინძის რაისაშვილს აღმასკომის თემგდომარის მოადგილე ოთარ კახაძე. იგი ჩვენებურია, სხვებთან ერთად ჩასახლდა ოშორაში. მისი შტატი სპეციალურად გამოუყვეს რაიონს, რათა ახალმოსახლეთათვის მეტი დახმარება გაეწიათ, მეტი მზრუნველობა გამოეჩინათ.

ოთარი ზედმიწევნით იცნობს შუაზევისა და ხულოს რაიონების სალხს, მათს ხასიათს, მისწრაფებებს. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას აქტიურად მონაწილეობდა ქველმესხური ტერასების აღდგენაში, ახლა კი ამ მრავალტანჯული მიწის განახლებაში შეაქვს წონადი წვლილი. სტუდენტობიდან ვიცნობ მას, კარგი, გულისხმიერი ადამიანია, სხვანაირად არც მიანდობდნენ ახალმოსახლეთა ხელმძღვანელობას.

დილაუთენია მიჩქარის ოთარ კახაძე რაიაღმასკომისაკენ, თან გზაში ჩვენი დღევანდელი მოგზაურობის მარშრუტს აწუხებებს.

ახალმოსახლეთათვის სატვირთო ავტომანქანა გამოუყვიათ, ტრაქტორი — ქუთაისის ავტოქარხნიდან.

— მძღოლები ახალჩამოსულთა შორისაც ბევრნი არიან, მაგრამ გამოცდილება აკლიათ. ამოდენა ავტომანქანაზე სტაჟიანი შოფერი საჭირო, თანაც ისეთი, სახლი რომ უკვე აგებული აქვს და შეეძლება მეზობლებსაც გაუმართოს ხელი, სამშენებლო მასალებით მოამარაგოს, — მისხნის ოთარი.

დანიშნულ დროს გავდივართ რაიონიდან. მტკვრის სანაპიროსაკენ ჩავუხვით და ახალგაყვანილ შარაგზას მაღლა ავუყუევით. რამდენიმე კილომეტრიც და დიდ ტაფოზში მშენებარე უბანი გამოჩნდა.

— ეს არის ახალი სოფელი „ივერია“.

ახალი სახლის აგება ყოველთვის დღესასწაულია, ხოლო როცა მთელი სოფელი შენდება, ეს ორმაგი დღესასწაულია.

სწორედ ამ სიხარულს ეზიარნენ გასულ წელს ასპინძის რაიონის მშრომლები. აქ, მთის უკაცრიელ ადგილას, გაიმართა ახალი სოფლისათვის საძირკველის ჩაყრის საზეიმო ცერემონია, რომელშიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ელჟარდ შევარდნაძე მონაწილეობდა. ამ სოფელში 74 კომლია უკვე.

სახელმწიფო ეხმარება ახალმოსახლეებს: მათ ბინათმშენებლობისათვის გამოუყო 4.500 მანეთი გრძელვადიანი სესხი, სამშენებლო მასალები, რომლებიც მტკიცე სახელმწიფო ფასებში ეძლევათ. აქ განვითარდება მეცხოველეობა, და განა მარტო მეცხოველეობა? ივერიაში სიმინდის თვალუწვდენელი ყანებია.

მიემართებიან ახალგაქრილ ფართო შარაზე ცემენით, ბლოკებით, ხე-ტყით დატვირთული ავტომანქანები, ახლადაგებული სახლების სახურავებზე ფრიალებენ ბაირალები, გაჰყავთ ქუჩები, აშენებენ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებს, ისმება ფუძის სიმტკიცის, მშვიდობის, ბედნიერი დღევანდლობის სადღეგრძელოები...

ნაშუადღევს ვარძიის გზას დავადქით.

უკან მოვიტოვეთ ხერთვისი, თმოგვი, ვარძია და ახლა ჩვენი „ვოლგა“ ფერდობს-მიკლავნილ შარაგზას იხვევს ბორბლებქვეშ... ესეც ნიალას ველი, უკიდვარო ნიალას ველი.

„1.700 მეტრი ზღვის დონიდან“. — გვაცნობს ფირნიში.

საოცარია, ჩვენთან ამ სიმაღლეზე ჯერ კიდევ სქალად დევს თოვლი, აქ კი, დახეთ, ცხვარ-ძროხა ბალახობს.

— ამ მიდამოებში ათასობით ჰექტარი აუთვისებელი მიწაა. — თითქმის ფიქრს მიმიხვდაო, მეუბნება ოთარი, — სამი ნახოფლარის აღდგენა გვაქვს დაგეგმილი. მათგან ყველაზე ადვილი მისაღდგომია ნიალა, ლეხისი და ვანი. ახამდე ოჯახი უნდა ჩამოვასახლოთ სულ, თითო ჰექტარი მიწა გამოეყოფა თითოეულს.

— გავიგეთ, რომ საბჭოთა მეურნეობის შექმნა აქ დაგეგმილი. — ჩაფურთხე მე.

— უფრო სწორად, შეიქმნა უკვე საკვებმომპოვებელი მეურნეობა, რომელიც მეცხოველეობისად გადაკეთდა ახლახან. გრძელდება მისი ტექნიკით აღჭურვა, განაშენიანება...

— განაშენიანების პროექტი რა ობიექტების აგებას ითვალისწინებს?

— საერთოდ, აქაურობას წყალი არ აკლია, მაგრამ ყველგან ვერ სწვდება. ამიტომაც, პირველ რიგში, გათვალისწინებულია სარწყავი სისტემის აგება, დაგუბდება თოვლის ჩამონადენი წყლები, ნაკადულები და შეიქმნება ამ ველების გასარწყავების ერთიანი სისტემა. ყველა სოფელში აიგება კლუბები, სკოლები, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ჯანმრთელობის დაცვის, საფოსტო და მომსახურების სფეროს სხვა ობიექტები...

— მეცხოველეობისა და საკვებმომპოვების გარდა რას შეიძლება ხელი მოჰქიდოს კიდევ აქ კაცმა?

— ხომ ხედავთ, შავმიწა ნიადაგია და საუკეთესო პირობებია კარტოფილის მოსაყვანად. თესვენ ხორბალს, ბოსტნულს, სხვა კულტურებს...

ნიალადან მტკვრის ხეობაში ვეშვებით ისევ. გაღმა-გამოღმა ცასმიბეჩენილი მთები და მათათა კალთებზე შეფენილი ძველისძველი ტერასები თუ ხეხილის ბაღები მოჩანს. ვეძებთ სახლებს.

მხოლოდ ნახოფლარები, ნასახლარები... მერედა რამდენი!

ერთი სახლი მაინც დამანახა-მეთქი, ვნატრობ გულში.

არსადაა.

თუმცა არა, მტკვრის სანაპიროსკენ რომ შევუხვიეთ, მარჯვნივ სოფელს მოვკარი თვალი.

— ეს რა დასახლებაა? — გვითხე ოთარ კახაძეს, — მგონი ჩემი წინა ხტუმრობის დროს არ იყო.

— ეგ აზიისა და მირაშხანის ნასოფლარებია. აჰი, მაშინ ინატრე, ამ ადგილებში კარგი სოფელი გაშენდებაო. ჰოდა, ჩაეყარა კიდეც საფუძველი გასული წლის ნოემბერში, მტკვარი დეარქვით. ნიალას მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნის.

სოფელ მტკვარში ხულოსა და შუახევის რაიონებიდან ჩამოსახლებულ მშრომელებს — მამულაძეებს, ქაშიაძეებს, კეკელაძეებსა და ლემსაძებს გაუჭირათ ბალაგერი. ემაღლიერებინა მტკვარელები საგზაო მშენებლობის სამინისტროს ახალციხის მერვე საგზაო სამმართველოს მუშაკებს, რომლებმაც უმოკლეს დროში კეთილმოწყობილი ხიდი — და ფართო გზით დააკავშირეს ეს ახალშენი რაიონის ცენტრთან. აღარ ფერხდება სამშენებლო მასალების შემოწიდვა და სახლებსაც სწრაფი ტემპით აგებენ.

მტკვარიდან დაბრუნებულებმა, ზემო ვარძიაში შევიარეთ. ესაა ვიწრო ხეობაში შეჭრილი ფართო ვაკობი, რომელსაც კამკამა ნაკადული ჩამოუდის. ეს ნასოფლარი კილომეტრანახევარზეა ვარძიის ციხეჭალაქიდან, სადაც 15-20 ოჯახის ჩასახლებაა გაშიწვნილი. ახალმოსახლენი ვარძიის ტურბაზას მოემსახურებიან. ადგილი კარგია, მზის გული, შესანიშნავად ხარობს ხილი, ბოსტნეული, ვენახი...

ისევ გზა, გზა შოლტივით მოქნიული.

ცოდ აზიდულ ციხე-კოშკებს ეკლესია-მონასტრები ცვლის, ეკლესია-მონასტრებს — ტერასები, ნასოფლარები, ნასახლარები...

— გაღმა სოფელი რომ მოჩანს, გულსუნდაა. იქ თოთხმეტი ოჯახი ჩანასახლეთ შარშან. — ახლა მტკვარსგაღმა მახედებს ოთარი და დწვრილებით მაცნობს ადგილმდებარეობას. ეტყობა, ფეხდაფეხ ჩამოუვლია ყველა სოფელი და ნასოფლარი. — ძალიან დაბალი და მზიანი ადგილია. წყალი აი, იქ, კლდის ძირას გამოდის, სახმელადაც ჰყოფნის სოფელს და სარწყავადაც.

სოფლის თავზე აღმართული კლდის ძირას კაკლისა და თუთის კორომები მოჩანს, მომცრო ხეობაში ძველთაძველი ვენახის ნაშთებია. საერთოდ, ყოველგვარი ნეხილი ხარობს აქ. ცენტრალურ გზასთანაც ახლოსაა — დაკიდული ხიდი გაუდიათ მდინარეზე. სამანქანო გზა კი ადრინდელი რაიონული ცენტრიდან, ტოლოშიდან, შემოუყვანიათ, სამი კილომეტრია იქამდე.

რამდენიმე კილოვანი შემოსაბრუნე და ხერთვისში შევიდვართ. ეს სოფელი, პირველ რიგში, მკვიდრად ნაგები დიდი ციხესიმაგრით დაგამახსოვრებთ თავს, რომელიც ორი მდინარის შესართავში აუგიათ ჩვენს წინაპრებს. აქედან წარმოსდგება მისი სახელი. ამ ისტორიულ ძეგლს რესტავრატორები დაპატრონებიან და სწრაფი ტემპით წარმართავენ აღდგენით სამუშაოებს. ამ ციხესიმაგრესთან უერთდება საქართველოს დედამიწის ჩავახეთის მტკვარი, ფარავანი. ჩვენც ფარავნის ხეობაში, ახალქალაქის გზაზე ვუხვევთ.

ეს ხეობაც ხერთვისის კოლმეურნეობას ეკუთვნის. მდინარის გაყოლებას, გაღმა და გამოღმა, ათობით ოჯახი უნდა ჩასახლდეს.

ვაჩერებთ მანქანას და გულდასმით ვათვალიერებთ მიდამოს.

აქაც ბევრია ტერასები, ნაფუძარები, ბაღ-ვენახების ნაშთები. ქვემოთ, ციხის ძირას, თონეა, დიდი და ძველისძველი...

— კარგი ადგილები ჩანს. — ვამბობ ჩემთვის.

— რა თქმა უნდა. — მეთანხმება ოთარიც. — აგერ, გახედე, უძველესი ბაღებია. კარგი სამოსახლო მიწებია, ნაყოფიერი, სარგებელიანი...

— ოთარ, ისიც გვითხარი, ბარემ, სულ რამდენი სოფლის აღდგენაა დაგეგმილი ასპინძაში?

— როგორ გითხრათ, ასპინძაში ნასოფლარები ძალიან ბევრია, ოთხმოცდაათამდე დაახლოებით. ჭერჭერობით ათი სოფლის აღდგენა გვაქვს გათვალისწინებული.

— მომავალში?

— მომავალში ვნახოთ...

ოთხმოცდაათი ნასოფლარი მარტო ერთ რაიონში...

ოთხმოცდაათი ნასოფლარი...

როგორ არ გაგახსენდეს პოეტის სიტყვები:

ვაითუ ადგეს ქართველი გლეხი
და სოფელს ზურგში ჩასცეს მახვილი...
შენ შეგრჩეს შენი მარილი, მადლი,
როცა მეზერენი წუთებს გითელიახ.
შენ სიცოცხლეში ამ მიწის ადლიც
სისხლის გარეშე არ დაგიტმოი,
ამ დიდი მიწის იცოდე ყადრი,
გახსოვდეს, რაიც წაღმა გითქვიან.
თორემ შენს სახლ-კარს ასე დატორილს,
ნუ გეშინია, არვინ დასტოვებს...
ნუ გეშინია, მოვა პატრონი
გადამთიელი და უპატრონებს.

* * *

ოთას ციხესთან გუთნეული გაუბამთ ახალმოსახლეებს. ფერდობსმიფენილი სახლე-
ბის ბუხრებიდან კვამლი მიიკლავება ზეცისკენ, ირწევა აკვნები, სბოები დაკუნტრუ-
შობენ ეზოებში, კრიახობენ ქათმები...

სახლის აშენებისთვისაც აღარ დაუცდიათ მერცხლებს, ბუდეებს აგებენ ბანებზე.
აგერ, ნახნავიდან ეზიდებიან აუალო მიწას. ნორჩი ვაჟი ამოხუდა ძველ ნასახლარზე,
მტკვარს გასცქერის და ელის, ვინ მოვა კიდევ. ვინ აახვევს ჭიგოზე, ვინ გაშლის
მწვანე რტოებს ქართული ცის ქვეშ, მესხეთის ბებერსა და მრავალქირნათმენ, გადა-
რჩენილ მიწაზე.

თუ კალოს შენ ვეღარ ლეწავდი,
დრო დგება მრავალი მწიფობის,
მესხეთო, გამოსკერ ლერწამი,
რომ შენზე გამღერო ჭიბონი.

ღიღინებს გუთნისდედა და აცდენილ სახნისს ასწორებს კვალში.

მესხეთო, გამოსკერ ლერწამი!

მოუხმე შენსკენ ახალ მეყამარებს, ახალ მობინადრებს, რათა ოდითგანვე ტყიან,
წყლიან და ლაზათიან შენს მიწებს ძალა შემატონ, ახალი კერა გააჩაღონ, ახალი ნერგი
ახარონ, ხეავი და ბარაქა გააშრავდონ...



ფრიდონ ხალვაში

საქართველოს მოქალაქე

იტყვიან, ისტორია თვითონ წარმოშობს ეპოქის შესაფერ გმირებს.

მაშულს მორღვეული, საუკუნოვით დატყვევებული აჭარა, რომელიც იყო ნაწილი ისტორიული მესხეთისა და ტაო-კლარჯეთისა, სადაც ქართული ცივილიზაციის აკვანი დარწმუნა, მეტად რთულ ვითარებაში ზედბო-და თავის განთავისუფლებას.

თითქმის აღარავინ ჩანდა, ვინც წინ წარუძღვებოდა ამ ოდესღაც ნი-ჭიერებითა და შეძარტებით ქებულ მხარეს, მრავალი ისტორიული ძეგლე-ბით მოფენილ კუთხეს, მის მშრომელ, ლამაზ და ენამზიან ხალხს. არავინ ჩახდა, ვინც ცრემლითა და სისხლით გადარჩენილ მშობლიურ ენას მაღა-ლი ცოდნით გამოაჩენდა, ქართულ სიტყვას საკუთარი აზრის გამოსატყე-ლად საკუთარი კალმით ქაღალდზე დაწერდა, რათა თანამემამულისათვის თვალი აეხილა და გული გაენათებინა.

ქართველთა და რუსთა ერთობლივი ბრძოლით 1878 წელს ოსმალ-საგან გამოხსნის შემდეგ, ისტორიული ქართველების დროს, ამ უძვე-ლეს ქართულ მხარეს თავის წიაღში დაბადებული, თავისი მღელვარე ბე-დისწერის თანამოზიარე, თავისი ჭირისა და ვაების გამგები, მართალ ეროვნულ პოზიციასზე მდგომი და შორსმჭვრეტელი გამძლოლი გმირი სჭიროდა.

სწორედ ასეთად მოეგლინა მას შემდეგ აბაშიძე.

გაუტეხელი ნების, მაღალი რაინდული სულის, დრმა განათლების მქონე და ჭეშმარიტად ნიჭმომადღებული მამულიშვილი, კაცური კაცი, „მაღალი, უხვი, მდაბალი“ სულიერი და ფიზიკური ძალოვანებით გამო-ჩეული, თავის მშობელ კუთხესავით წამებული, მაგრამ მამულივით გაუტე-ხელი, იმედიანი, თავისი უკვდავი ერის სიფვარულით, მისდამი ერთგულე-ბით გულანთებული, — შემდეგ აბაშიძე!

ზოგიერთს მოეჩვენება, ალბათ, რომ ეს კაცი უფრო მოღვაწე, მეომა-რი, ტრიბუნი, რაინდი ყოფილა და არა ლიტერატორი, მწერალი.

დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არ არის მისი მთლიანი ლიტერა-

ტურული მეგვიდრობა. მკითხველი საზოგადოებრიობა მხოლოდ მისი პუბლიცისტური ნაღვაწის მცირე ნაწილს იცნობს.

სინამდვილეში, ჩვენ დღეს მთელის ხმით უნდა ვთქვათ:

მემედ აბაშიძე ფართო და მაღალი მნიშვნელობის ეროვნული მწერალი იყო. თავის ავტობიოგრაფიაში იგი წერს: „ჩემი საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობა რამდენიმე ნაწილად იყოფა... ჩემი მუშაობის უმთავრესი დარგი იყო სალიტერატურო საქმიანობა“.

მხატვრული ლიტერატურა რომ ხალხის აღზრდისა და ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლის საუკეთესო იარაღია, ამას მემედის სამწერლო მოღვაწეობა ადასტურებს.

დღეს ჩვენი მწერლებისა და ლიტერატურის მკვლევართა უწმინდესი ვალია, მოვძებნოთ, არქივებში მივაგნოთ მემედ აბაშიძის სამწერლო შემოქმედების ნიმუშებს, ხელნაწერებს, ორიგინალურ ნაწარმოებებს, თარგმანებს, წერილებს, შევისწავლოთ, შევკრიბოთ ისინი და ღირსეულად გამოვცეთ. ამას მოითხოვს დრო, ამას გვავალებს ეროვნული სინდისი და თავმოყვარეობა. და, აი, მაშინ, ჩვენს თვალწინ გამოჩნდება მრავალმხრივი, მრავალჟანროვანი მწერალი-ლიტერატორის, მწერალი-მოღვაწის საინტერესო სახე.

მე მგონია, მემედ აბაშიძის, როგორც ლიტერატორის, უმთავრესი და, ისტორიულად უმნიშვნელოვანესი დამსახურება ისაა, რომ სამსაუკუნოვანი ღესპოტური მპყრობელობისა და უცხო ენის ბატონობის შემდეგ, მან პირველმა ამ მხარეში, მივიწყებული, დამცირებული და დაჩაგრული მშობლიური ქართული სიტყვა კვლავ გამოაღვიძა, გაამხნევა, აამუშავა და კვლავ მხატვრული აზროვნების სამსახურში ჩააყენა.

რა თქმა უნდა, მშობლიური ენის ბრწყინვალე ცოდნასთან ერთად იგი, აღმოსავლურ სასწავლებელში განათლებამიღებული, ღრმად ფლობდა თურქულ, არაბულ, სპარსულ ენებს და ამიტომაც შემოქმედებითი შრომის დიდი ნაწილი მთარგმნელობით საქმეს მიუძღვნა. ქართულ ენაზე მის მიერ მთარგმნილი აზერბაიჯანული, თურქული, ირანული პიესები ჩვენს თეატრებში დადგმულა, ხოლო მრავალი პროზაული ნაწარმოები დაბეჭდილა. ბევრიც გამოუქვეყნებელი დარჩა.

მას ქართულიდან აზერბაიჯანულ ენაზე უთარგმნია სანდრო შანშიაშვილის პიესა „ანზორი“. იგი წერს: „მაქვს საკუთარი სოციალური ხასიათის მოთხრობა „სულა მაღლაძე“. (საინტერესოა ამ ორიგინალური ნაწარმოების გაცნობა). შემდეგ ამბობს: „გადათარგმნილი და დაუბეჭდავი მაქვს ოსმალეთის მწერალი ქალის მუფიდე ფერიდეს მოთხრობა „ფარვანები“ და სპარსული ომარ ხაიამის რუბაიები. ვთარგმნი უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ თურქულ ენაზე“...

წარმოვიდგინოთ, რამოდენა ნიჭის და მწერლური ოსტატობის პატ-

რონი უნდა იყო — თარგმნო პროზა, დრამატურგია, თარგმნო პოეზია უცხოელან შენს ენაზე, ხოლო შენი ენიდან უცხოზე. ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ მეშვედი, ალბათ, ერთნაირი შეძლებით და გატაცებით იყო პროზაიკოსიც, დრამატურგიც, პოეტიც და მგზნებარე პუბლიცისტიც.

იმ შფოთიან დროში, როცა მშვიდი შემოქმედებითი საქმიანობისათვის სრულიად არ მოინახებოდა პირობები, მას მაინც ბევრის გაკეთება მოუხერხებია, იგი ხომ სულ ბრძოლის წინა ხაზზე იდგა. ის იყო პირველი სიტყვის მთქმელი, მტერ-მოყვარეზე პასუხის პირველი გამცემი, პირველი გაბედული და სარისკო ნაბიჯის გადამდგმელი, მაზვილის პირველი მომქნევით.

თანაც, როგორც ლიტერატურული, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობის მისეული პოზიცია თავიდანვე ნათლად და უშეცდომოდ გამოიკვეთა.

როცა შემდეგ — გასაბჭოებულ საქართველოში პროლეტარული მწერლობის ორგანიზაცია გაფორმდა, მემედ აბაშიძე გამგეობის წევრად აირჩიეს.

„გასული საუკუნის ბოლოდან ურყევად ვიდექი საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე და ბრძოლის ამ ხაზზე არა ერთი და ორი სასტიკი იერიში მომიგერებია... ვიცავდი და ვატარებდი ზემოაღნიშნულ იდეებს, რამაც დადებითი შედეგები გამოიღო და სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდი კვლავ გაამთელა“. — წერს იგი.

მეშველს თავიდანვე ბრძოლა მოუხდა არა მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ აჭარა საქართველოს ისტორიული ნაწილია, არამედ იმისაც, რომ აჭარური მკვიდრნი ქართველები არიან და არა თურქები, როგორც ამას გამუდმებით იმეორებდნენ ოსმალები და, რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოს, როგორც ამას აგრეთვე ამტკიცებდა ცარიზმის აქ მოღვაწე ზოგიერთი მოხელე.

საქართველოს დანაწევრება, რელიგიური თუ კუთხური მოტივების ძიხედვით მისი დაქსაქსვა იმპერიალისტთა უმთავრესი ხერხი იყო, რათა შემდეგ აქ ებატონათ. ამ ფანდებს და ზრიკებს დროულად ამჩნევდა მემედ აბაშიძე და ხან მარტოდმარტო, ხან თავის ერთგულ თანამომხრეებთან ერთად, ააშკარავებდა და ებრძოდა ამ მტრულ ოინებს.

იმ პერიოდის ცხოვრება აღსავსეა ტრაგიზმით, პიროვნული თუ ეროვნული იმედების რღვევით, მოძმეთა დაბნეულობითა და რელიგიური ფანატიზმის ტყვეთა ყოყმანით, მაგრამ მაინც ცალკეულ გაუტეხელ პირთა მიერ ეროვნული შველის, გადარჩენის ძიებისათვის თავგანწირვით. ყველა ამ ისტორიულ და სოციალურ დრამათა მთავარი მოქმედი პირი ყოველთვის მემედ აბაშიძე იყო.

მემედ აბაშიძე, ერთი შეხედვით, მშრალ პუბლიცისტიკაშიც კი მწე-

რალია და იგი რთულ პოლიტიკურ პრობლემებზედაც ზოგჯერ მხატვრული სახეებით მსჯელობს.

როცა ორი რელიგიის მქონე ქართველებზე ლაპარაკობს, იგი წერს: „დღეს გარემოება შეიცვალა. შეუვნებლობის მძლავრი კედელი, რომელიც ჩვენს შორის იყო აგებული, ეროვნული შემეცნების დიადი ისრით იქნა დაცხრილული. ჩვენც იმ დაცხრილული კედლიდან ურთმეორის მშობლიური სახის ჭვრეტა დავიწყეთ...“

რელიგია და ეროვნულობა ერთიდაიგივე არ არის, მიუთითებს მემუდო. მართლაც, ვინ არ იცის, რომ ჯერ გაჩნდა და ჩამოყალიბდა ერი და მერე იქნა მიღებული რელიგია. ერთ ერში ორი რელიგიის არსებობა ცნობილია მსოფლიოს მრავალი ხალხის ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებას საკმაო გაუგებრობანი და უსიამოვნებანიც ახლავს, მაგრამ რელიგიური სხვადასხვაობის გამო ერი არ დაშლილა. მით უმეტეს, როცა საკითხი ისეთ მცირერიცხოვან ხალხს ეხება, როგორიც ქართველი ხალხია.


„ჩვენი მიზანია სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფა... როცა სიტყვა „საქართველო“ ითქმის, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, თვალწინ წარმოგვიდგება ამ სახელწოდების ენით მეტყველი ერის მიწა-წყალი, სამშობლო“...

რელიგიათა ცვალებადობამ აჭარას ახალ-ახალი უბედურებანი დაატეხა. ჯერ იყო და, ამ უპირველესი ქრისტიანული კუთხიდან, ისლამური აგრესიის გამძირების გამო, მოსახლეობის შეძლებული ნაწილი საქართველოს შიდა მხარეებში გაიხვეწა, ხოლო ადგილებს შერჩენილი მცირერიცხოვანი ხალხი, მუსლიმანობას რომ ეზიარა, სამასი წლის შემდეგ, განთავისუფლების ჟამს, სიმშვიდის მაგიერ, კვლავ აყრა-გადახვეწისა და განადგურების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

ცარიზმის აგენტები ვაციმბირებით ემუქრებოდნენ მოსახლეობას, ხოლო ოსმალთა მოგზავნილი მოლა-ზოჯები აქაურ მუსლიმან ქართველებს ერთადერთ გადარჩენის გზად მუჰაჯირობას — თურქეთში სამუდამო ემიგრაციას თავაზობდნენ. უპატრონო, დაბნეული, დაშინებული აჭარის მკვიდრთა გარკვეული ნაწილი მოტყუვდა, მამაპაპური სახლკარები ცეცხლს მისცეს, ან ბედისანაბარად მიატოვეს და უცნობ, შორეულ, უთვისტომო ალაგებისაკენ გაემართნენ დასამკვიდრებლად.

ის აუტანელი, მოუწონებელი და უღმობელი ტკივილი, რომელიც მაშინ დადუმებულ, გაპარტახებულ სოფლებს მოეკიდა, დღემდე არ გახელებულა ჩვენს გულებში, დღემდე არ მორჩენილა ის იარები, მაშინ რომ დააჩნდა ჩვენს სულსა და სხეულს.

„ჩვენი ხალხი იძულებული იყო აყრილიყო, წამოეკიდა ზურგზე თავისი ბარგი და საშინელ ზამთარში თავისი ცოლ-შვილით უცხოეთში



გადახვეწილიყო. ბევრს გზაში ამოხდა სული, ბევრი გაწყდა სიცივისა და შიმშილისაგან... უცხო მხარეში გაიჭრა მათი სამარე. მშობლიურმა მიწამ წყალმა ვერ იხილა ისინი. ბევრია ასეთი საფლავი ჩვენი გაწამებული მოძმეებისა ოსმალეთში... ეს მემედის გულმღულდარედ ამონათქვამი სიტყვებია.

პირადად მე, იმ ამბებიდან ასი წლის შემდეგ, თურქეთის ჩვენებურებთან შენახვედრი, შინ დაბრუნებული, მუჰაჯირთა შთამომავლების პირით ვამბობ:

მითხარ, როგორაა მემლექეთი,

ჩემი სანატრელი საქართველო,

რამე იმნაირი გამავონე,

გული დაკოდილი გავამთელო.

ღიახ, იმ შფოთიან დროს, როცა იმპერიალისტებმა დასადუჰად გასწორეს აჭარის მკვიდრნი, რათა ამ მიწას თავად დაპატრონებოდნენ, ღვიძლთა, ახლობელთა, ნათესავთა დასაცავად ისევ სისხლითა და ზორციით ნათესავმა ქართველობამ ამოიღო ხმა.

მემელი ამის გამო წერდა მაშინდელ პრესაში: „...საქართველომ თვით ძიიკლო ლუკმა და ჩვენ მოგვაწვედინა სურსათ-სანოვაგე, ფეხსაცმელ-ტანსაცმელი... ყველა ამბობდა: ქართველ მუსლიმან მძეებს უჭირთ, არაფერი დაეიშუროთ მათთვისო, და მართლაც რომ არაფერს იშურებდნენ... ქალიშვილები, სხვა რომ არა გააჩნდათ რა, ნაწნავებს იჭირდნენ და ყიდდნენ ჩვენდა დასახმარებლად, — მეტი არა გამაჩნია რა, თმა მაქვს გრძელი, გავყიდი ამას და ჩვენს მძეებს, ქართველ მუსლიმანებს დავეხმარებო“.

მწერალი და საზოგადო მოღვაწე, თუ ვინმეზე შეიძლება თქვა ასე, ხწორედ მემელ აბაშიძეზე შეიძლება, თუ შეიძლება კალამი ხიშტსა და მახვილს გაუტოლო, ეს ყველაზე ნათლად მემედის ცხოვრების სინამდვილეში დასტურდება.

როგორც მწერალი, იგი ქართული ენის ბედზეც ზშირად იყო დაფიქრებული. იგი იცავდა მშობლიურ ენას უცხო სიტყვათა მოძალება-შემოტევისაგან, იგი ქართული ენის სიწმინდისათვის ისეთივე შემართებით იბრძოდა, როგორც თავისი ერის არსებობისათვის.

„უცხოთაგან შემოღებული სიტყვების დახმარებით არა თუ ჩვენი მშობლიური ენა მდიდრდება და ვითარდება, არამედ იგი ღარიბდება და სუსტდება. მე არ დაეიჩემებ, ნუ იქნება უცხო სიტყვები შემოღებული ჩვენს მეტყველებაში-მეთქი. ის სიტყვები, რომლებიც ჩვენს კილოს ეგუება და ქართულ ბუნებას ეთვისება, შეიძლება მივიღოთ, მაგრამ ისე, როგორც ეს დღეს ხდება, ყოვლად მიუღებელია“. — ზუსტი, დროული და, მე კიტიყი, დღევანდელ დღესაც აქტუალურად ჟღერადი აზრია.

შემდეგ იგი განაგრძობდა: „ჩვენი მშობლიური ენის განვითარება ისევ

ჩვენი სიტყვების სიღრმეში მალული ძალების კვლევა-ძიებასა და მათი გავრცელების ნეიტარებაზეა დამოკიდებული. ერთი სიტყვით, ჩვენი სიტყვები ისევ მშობლიური ენის საღარიბოში უნდა ვეძიოთ“.

ამ წერილში მემედი მისებურად შედგენილ ქართულ სიტყვასაც ხმარობს. ის ამბობს — „მეც ამ საკითხში ჩემს თანამოდარდეებთან ერთად ნაღვლიანად ვამბობ“, და სხვა.

თანამოდარდე — იშვიათად გამოთქმულია და ზუსტად.

ეს წერილი 1926 წელს გაზეთ „ქართულ მწერლობაში“ გამოქვეყნდა. ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში, როცა ერისა და ეროვნულობის პრობლემა საიმედო კალაპოტში ჩადგა, მემედი მთელი თავისი ნიჭიერებით, განსწავლულობით, ინტერესებით და ცხოვრების მრავალმხრივი გამოცდილებით მთლიანად ებმება ახალი ქვეყნის სალიტერატურო-შემოქმედებით მოძრაობაში.

ზემოთ ხსენებულ წერილში მემედი ენას ეუბოდა ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე მხოლოდ ვიწრო ლიტერატურულს, მისი მსჯელობიდან შეიძლება დაასკვნა, — ენა მაშინ ვითარდება, ძლიერდება და ცოცხლობს, როცა იგი ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა დარგში იხმარება. ენა უნდა ვამუშაოთ, ენა უნდა ერთნაირად გამოვიყენოთ პოლიტიკურ, პარტიულ, სამეურნეო, დიპლომატიურ და, რაღა თქმა უნდა, ლიტერატურულ საქმიანობაში. თორემ მართო ერთ რომელიმე დარგში ენის ხმარება მას დააჩლუნგებს; დააძაბუნებს, დააღარიბებს და სიცოცხლისუნარიანობასაც დაუკარგავს.

მემედი იმავე სტატიამი წერს: „დავიდოთ გულზე ხელი და ისე ვილაპარაკოთ: როდესაც ესა თუ ის ერი დაკარგავს მშობლიურ ენას, შემდეგ დაურჩება განა მას რაიმე ეროვნულ-სახელწიფოებრივი სახე?“ და თავადვე პასუხობს: „რასაკვირველია, არა!“

დიახ, მემედი ახალი საბჭოური წყობილების გამარჯვებისთანავე სულით და გულით ებმება ახალი სოციალისტური იდეალებისათვის მოძრაობაში.

შესაძლოა, ახლაც ჯერ კიდევ ზოგისთვის ბოლომდე ნათლად გარკვეულად არ ჩანს მემედის პოლიტიკური პოზიცია, მისი დამოკიდებულება სოციალისტურ რევოლუციასთან, ახალ წყობილებასთან. მე მგონია, ისტორიაში ბევრი ქექვა არაა საჭირო იმისათვის, რათა სწორად გაიგო მემედ აბაშიძის სახალხო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეროვნული პოზიცია. ამისათვის საკმარისია უბრალოდ, დაკვირვებით გაიცნო თუნდაც ის მასალები, რაც დღეს უკვე ყველასათვის ხელმისაწვდომია.

პოლიტიკურ, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის მემედ აბაშიძე ბევრჯერ დააპატიმრეს. შეიძლება ითქვას, ნახევარი ცხოვრება ციხეებში გაატარა.



1918 წლის ივლისში ტრაპიზონის ციხიდან გაქცეული მემედი ახალგაზრდა ლაზის დახმარებით, პატარა ნიჩბებიანი ნავით ფოთში ჩამოდის. აქ მას ზედება ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდია და ერთად მიემგზავრებიან თბილისში. დედაქალაქში ჩასვლისთანავე აბაშიძე სათავეში ჩაუდგა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“. ერთი წლის შემდეგ იგი ინიშნება გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ რედაქტორად.

1919 წლის დეკემბერში თავის გაზეთში მემედი საბჭოთა რუსეთისაგან დევნილ დენიკინელთა თავზედობას ამხელს.

1920 წლის მარტში მ. აბაშიძემ ბათუმში ხალხმრავალი მიტინგი გამართა, უარყო ანტანტის ზრახვა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებაზე და მოითხოვა „ბათუმისა და მისი ოლქის დედა-საქართველოსთან ერთიანება“.

1921 წლის მარტის დამდეგს, მაშინ, როცა თბილისში უკვე დამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლება და წითელი არმიის ნაწილები დასავლეთისაკენ მოიწევდნენ, ბათუმს ზედიზედ ეწვივნენ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლები, რათა მოსახლეობა გადაებირებინათ და აჭარა კვლავ უცხოთა ბატონობის ქვეშ მოექციათ.

ასეთ დროს, მემედ აბაშიძემ დიდი ვაჟკაცობა და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, — მტკიცედ უარყო თურქეთის მთავრობის დელეგაციის წინადადება ბათუმის ოლქის შეერთებაზე, ხოლო 20 მარტს აბაშიძემ მიიღო საქართველოს რევკომის მისალმება ბათუმსა და მთელ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო და, თავის მხრივ, მიესალმა მშობლიურ ქართულ მხარეში ახალი სოციალისტური წყობილების განხორციელებას და სწორედ იმავე დღეს იგი შევიდა ბათუმის ოლქის რევკომის შემადგენლობაში.

ამ დღიდან დაიწყო დედასაქართველოსთან ერთად აჭარის ნამდვილი ეროვნული ცხოვრება. ეს იდეალი აწუხებდა მუდამ მემედ აბაშიძეს და ეს ნატვრა ამ დღიდან საბოლოოდ კიდევ აუხდა.

ქართველი ხალხი კარგად იცნობს თავის დვიძლ შვილს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთ გამოჩენილ რაინდს, მწერალსა და მოღვაწეს მემედ აბაშიძეს და პატივს სცემს მის უკვდავ სახელს. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით საქართველოში ფართოდ აღნიშნავენ მემედ აბაშიძის იუბილეს. ახლო მომავალში თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მემედ აბაშიძის სახელი დაამსვენებს.

გუფიქრობ, ბათუმში უნდა დაედგათ მემედ აბაშიძის ძეგლი. მისი მართალი საქმე, მისი მგზნებარე მოღვაწეობა ამისი ღირსია ნამდვილად.

მადლიერი შთამომავლობა ქართველი ერის ამამაღლებელთა ისტორიული სახელების გვერდით მუდამ მოიხსენიებს მემედ აბაშიძეს.

ნელი ღუმეაძე

გვომის კვლევას

ქართული საბჭოთა ლიტერატურის საწყისი პერიოდი (ოცანი წლები) ორგანიზაციულ-შემოქმედებითი ფორმირების სირთულით ხასიათდება. სირთულეს ქმნიდა სხვადასხვა ლიტერატურული ასოციაციებისა და დაჯგუფებების — „პროლეტარული მწერლობის“, „ცისფერი ყანების“, „აკადემიური ასოციაციის“, „ფუტურისტ-ლექტორების“, „პროლეტარის“, „არიფონისა“ და სხვათა არსებობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გამოქვეყნდა მთელი რიგი დეკრეტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. ქართული კულტურის ახალ სოციალისტურ საფუძველზე დამკვიდრებისათვის გატარებულ მრავალ ღონისძიებათა შორის მოვიგონოთ რამდენიმე, ძირითადი, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ოცანი წლებში.

ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის კონსოლიდაციისათვის დიდი ღონისძიება იყო ხელოვნების მუშაკთა საორგანიზაციო კრება, რომელიც გაიმართა 1921 წლის 2 მარტს. კრება მიზნად ისახავდა გაეფანტა ქართველი მენშევიკების მონაქორი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ხელოვნების დაღუპვის თაობაზე. საქართველოს რევკომის წევრმა შ. ელიავამ კრებას გააცნო საქართველოს რევკომის გადაწყვეტილება ა. ხოშტარას ყოფილი სახლის ქართველ მწერალთა კავშირის სრულ განკარგულებაში გადაცემისა და იქ ქართველ ხელოვანთა სასახლის დაარსების თაობაზე. შ. ელიავა თავის სიტყვაში საზგასმით ამბობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდ მზრუნველობას გაუწევს კულტურის ასპარეზზე მომუშავეებს, რადგან მათს საქმიანობას იგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით უდგება. ამ მზრუნველობის გამომხატველი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ხელოვნების სასახლის დაარსება.

პარტიის გენერალურმა ხაზმა ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე თავისი გამოხატულება პოვა რიგ ფუძემდებლურ დოკუმენტებში. — კერძოდ, 1922 წლის რკპ(ბ) XI ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ახალგაზრდობისათვის უახლოეს დროში კომკავშირის მონაწილეობით შექმნილიყო სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოთეკა, 1923 წლის აპრილში კი რკპ(ბ) XII ყრილობამ პრაქტიკულად დააყენა საკითხი მხატვრული ლიტერატურის პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ.

1924 წელს პარტიის XIII ყრილობის რეზოლუციაში „პრესის შესახებ“ ხაზგასმულია მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ლიტერატურული კადრების ზრდისა და დაწინაურების საკითხი. ამასთან ე. წ. თანამგზავრთა რიგებიდან ყველაზე ნიჭიერ ხელოვანთათვის სისტემატური დახმარების გაწევა და თანამგზავრთა რიგების ზრდის აუცილებლობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითად პრინციპად ისახება პარტიულობის პრინციპი, რომელიც

ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა თავის ცნობილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია პარტიული ლიტერატურა“ (1905 წ.).

ლენინური მითითების საფუძველზე შეიქმნა ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ცნობილია როგორც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუცია „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“.

პარტია მოუწოდებდა მწერლებს სინამდვილესთან, ახალ საბჭოთა ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის დამყარებას, ისეთი ლიტერატურის შექმნას, რომელიც გასაგები იქნებოდა მასობრივი, მუშა და გლეხი მკითხველისათვის. ეს იყო ერთადერთი სწორი გზა ამ პერიოდისათვის, ეს იყო ლენინური ლოზუნგის განხორციელება. როგორც ვ. ი. ლენინი განმარტავდა, მხატვრული ლიტერატურა გასაგები უნდა იყოს მილიონობით მშრომელისათვის; სისადაე და ხალხურობა აპირობებს მხატვრული ლიტერატურის შემეცნებით-აღმზრდელობით როლს. პარტიის მოწოდება — შექმნილიყო დიდი საზოგადოებრივი უღერადობის მხატვრული ლიტერატურა თანამედროვეობის თემზე, ცხოვრებისეული მასალების ფართო გამოყენებით, ეხმარებოდა საბჭოთა ხალხს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 18 ივნისის რეზოლუციამ დასახა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მაგისტრალური ხაზი. რეზოლუციამ მძლავრი ბიძგი მისცა მწერალთა ძალების სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო დარაზმვის პროცესს, დაეხმარა ბევრს სწორად განესაზღვრა თავისი შემოქმედებითი გზა.

ოცინი წლების დასაწყისში დაქსაქსული ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის გაერთიანების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართველ მწერალთა ყრილობებმა, რომლებიც გაიმართა 1926 წლის თებერვალში და 1928 წლის მარტში. ყრილობებზე წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა ლიტერატურული ასოციაციები და დაქვეფეხები, მათთან ერთად ქართველ მწერალთა უფროსი თაობა.

1926 წელს ქართველ მწერალთა პირველ ყრილობაზე მოხსენებით „მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები“, გამოვიდა ფ. მახარაძე.

ყრილობის მონაწილე დელეგატთა გამოსვლებიდან განსაკუთრებული ხედრითი წონა ჰქონდა მსცევანი მწერლის ვასილ ბარნოვის სიტყვას. ის ქართველ მწერალთა უფროსი თაობის სახელით მიესალმა ყრილობას და განაცხადა: „...როგორ შეიძლება არ შეიგერძნოს მხატვარმა-მწერალმა როგორი დიდი გარდატეხა შეიტანა ამ ისტორიულმა დიდმა ამბავმა ხალხის გულში, ხალხის სულისკვეთებაში, ხალხის ცხოვრებაში?!... საქართველოს ლიტერატურა ყოველთვის სასიკეთო მთელი დღეა ამ დიდებულ ხანას. ის თვითონ იღწოდა ამ ხანის დამყარებისათვის, მას თვითონ მძაფრად ჰქონდა განცდილი თვითმპყრობელობის გამანადგურებელი ძალა და იბრძოდა ამ სარბიელზე, გმირებს ეძებდა და პოულობდა კიდევ... რასაკვირველია, ახლანდელი მწერლობა ვერ აუქცევს ამას გზას და უსათუოდ დახატავს... განათლება ჩვენს საქართველოში ფართო გზით მიდის. ქართული განათლება, ქართულ ენაზედ სწავლა! ღმერთო ჩემო, რამდენს ვნატრობდი ამზე... ჩვენ გვაქვს ჩვენი ჟურნალ-გაზეთები... ახლა ვხედავ ქართული წიგნით ბაზარს აღსავსეა, როგორ წაახალისებს ეს ახალგაზრდობას!...“ ვასილ ბარნოვის გამოსვლას ქართველ მწერალთა პირველ ყრილობაზე ჰქონდა დიდი აღმზრდელობით-შემეცნებითი მნიშვნელობა.

ოცინი წლების ლიტერატურა გზას იკაფავდა მწვავე იდეოლოგიურ-ლიტერატურული ბრძოლის ვითარებაში.

რეალისტური ტრადიციების მატარებელი ქართველი მწერლების მოწინავე ნაწილი სწორად გაერკვა ახალ ისტორიულ ვითარებაში და თავისი შემოქმედება მტკიცედ დაუკავშირა საბჭოთა ხალხის საბრძოლო ამოცანებს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ბირველი (არსებულ ჟურნალ-გაზეთებთან შედარებით ყველაზე სოლიდური) ჟურნალი „მნათობი“, რომელმაც გამოსვლა დაიწყო 1924 წლის თებერვლიდან. სარედაქციო წესრიგში განსაზღვრულია ჟურნალის ხასიათი, მიზანი და ამოცანა: „დღემდის ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არც ერთი სერიოზული ჟურნალი, რომელსაც შემოეკრიბოს თავის გარშემო რევოლუციური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები. ჟურნალი „მნათობის“ მიზანია შეავსოს ეს მნიშვნელოვანი ნაკლი“, — ამ მიზანდასახულობის მიხედვით ოციანი წლების ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე იბეჭდებოდნენ მწერლები, რომლებიც თავიდანვე დადგნენ სოციალისტური ლიტერატურის მხარეზე და ქმნიდნენ დროის ნიშნით გამორჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებს, ასახავდნენ ახალ ცხოვრებას, რაც ხელს უწყობდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. ჟურნალმა „მნათობმა“ თავის გარშემო დაარსმა ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ჯანსაღი რაზმი, მაგრამ მისი დამსახურება მარტოოდენ ეს როლია, იგი მხოლოდ და მხოლოდ იმ მწერლებს როდი ბეჭდავდა, რომელთა მხატვრული შემოქმედება დროის, ეპოქის აქტუალურ თემებზე და მოტივებზე იქმნებოდა, ამასთან „მნათობი“ ახორციელებდა ლოიალურ დამოკიდებულებას იმ დროს არსებულ ლიტერატურულ ასოციაციათა და დაჯგუფებათა მიმართ, არ უპირისპირდებოდა მათ და ერთგვარი შემოქმედებითი კონკურენციის გზას ადგა. სწორედ ამით მოახერხა ჟურნალმა „მნათობმა“ ძველი ლიტერატურული იდეების დამცველ შემოქმედთა ჯანსაღი ნაწილის თანამშრომლობა ჟურნალში. ასე, მაგალითად, ქართული სიმბოლისტური სკოლის ტიპიურმა წარმომადგენელმა რაჟდნ გვეტაძემ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამე წლისთავეზე შექმნა ლექსი რევოლუციის თემაზე, სწორად დახატა განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი და ამ მიზნისათვის მებრძოლი ერთ-ერთი ისტორიული პირის, რევოლუციონერ მერკულიაძის მხატვრული მხარე და ეს ლექსი დაბეჭდა ჟურნალ „მნათობში“. ლექსი უპირველეს ყოვლისა საინტერესოა მისი ავტორის ახალი ესთეტიკური მრწამსის თვალსაზრისითაც:

ეჰ, პოეტებო,
თუ ხართ რაინდები
და ჩემსავით გიჟვართ
ხსრ,
ჩამოიგლიჯეთ თვალზე ბინდები
და მზიანი სურვილი გქონდეთ ბილიად.
თორემ თქვენს ლექსებს ხავსი მოედება.

აშკარად ჩანს ცისფერყანწელი პოეტის მსოფლმხედველობრივი ევოლუცია და იმის შეგნება, რომ აუცილებელია სხვებმაიც მოახდინონ ძველი შეხედულებების გადაფასება. რ. გვეტაძე მიმართავს თანამოკალმეებს ჩადგნენ ახალი ცხოვრების სამსახურში. ოციან წლებში ქართველმა შემოქმედებებმა ინტელიგენციამ თანდათანობით იწყო გადასვლა ახალი სოციალისტური ლიტერატურის ფართო გზაზე. ამის დასტურია ვალერიან გაუჩინაშვილის „აწჰესი“ (1929) და „ისეთი ლექსი“ (1926), პაოლო იაშვილის „ახალ საქართველოს“ (1921), „ევროპა“ (1922) და სხვა.

როდესაც ოციანი წლების ქართულ პოეზიაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ გიორგი ქუჩიშვილის ორი ლექსიც — „რევოლუცია“ და „აწყვეტილი ამირანი“. ორივე ლექსი დაწერილია გაცილებით ადრე — 1917 წელს. დასახელებულ ლექსებში გ. ქუჩიშვილს მომარჯვებული აქვს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი.

„აწყვეტილ ამირანში“ პოეტი უკვე ხედავს მომავლის ნათელ სურათს. სჯერა ქარ-

თველი პროლეტარიატის გამარჯვება და ქმნის ორიგინალურ სახეს—წითელჩოხიან ამირანს.

ამირანის მხატვრული სახე ძველთაძველია. მასთან არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებაზე. ცნობილია, რომ განსხვავებული ეპოქების სოციალურ-პატრიოტული ტენდენციები თავის დაღს ასვამდა ქართველი ხალხის ეროვნულ გმირს. მე-19 საუკუნის მხატვრულმა ლიტერატურამ თუ ამირანი კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვულად დახატა, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე გ. ქუჩიშვილი წინასწარ მეტყველებს ამირანის განთავისუფლებას და მოსავს მას წითელი ჩოხით. აწმყოს ვითარების მავალითზე პოეტმა განჰყვრიტა მომავალი, დაგვანახა ხვალისდელი დღე.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ რევოლუციური ბრძოლის თემას გ. ქუჩიშვილმა მოუძებნა შესატყვისი ფორმა და სასიმღერო ტონი. ხალხის ძლევადასილებას გამოხატავს წითელჩოხიანი ამირანი, რომელიც ლომთან არის შედარებული.

პროლეტარიატის ბრძოლის გამარჯვების ჩვენება წითელჩოხიანი ამირანის სიმბოლიკით სახეებით შეესატყვისება უფროსი თაობის წარმომადგენლის გ. ქუჩიშვილის მთელი შემოქმედების საერთო ხასიათს. მან მეოცე საუკუნის დასაწყისის მწერლობაში განავითარა და განამტკიცა იროდიონ ედოშვილის სამოქალაქო ლირიკის გზა და ერთ-ერთი პირველთაგანი დადგა საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გ. ქუჩიშვილის ოპტიმისტური ლირიკა, რომლის წყარო იყო რევოლუციური მუშათა კლასი, ხელს უწყობდა მებრძოლთა რწმენის განმტკიცებას, აღაგზნებდა შათ მუშუპოვარი ბრძოლის სურვილით. ამ იდეით გამორჩევა ლექსი „რევოლუცია“, რომლის სათაურშივე ხაზგასმულია თემა, აქაც მიგნებულია თემის შესატყვისი კილო და ინტონაცია. მიუხედავად პუბლიცისტური პათოსისა, ლექსში უხვად არის გამოყენებული ძველის დამანგრეველი და ახალი ცხოვრების დასაწყისის გამომხატველი სიმბოლური სახეები, როგორიცაა „ცეცხლწყაიდებული ხმელეთი“, „ღამის წვა-დაბუგვა“, „განთიადის მოახლოება“, „მტარვალების სულთა ხრიალი“, „უბო-რკილო ხმელეთი“, „მზესთან შეგებება“, და სხვ. ლექსები „რევოლუცია“ და „აწყვეტი-ლი ამირანი“ პოლიტიკური ლირიკის საუკეთესო ნიმუშებია.

ოციალი წლების ქართულ პოეზიაში პირველ საბჭოთა ლექსად თვლიან პაოლო იაშვილის ლექსს „ახალ საქართველოს“. ქრონოლოგიურად ეს პირველი ლექსია, რომელიც დაიწერა 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღეს პოეტი ამ ლექსით მივისალმა. ცნობილია, რომ ცისფერყანწელი პოეტი პაოლო იაშვილი სახელდახელო რაზმით შეეგება კოჭრის გზაზე წითელი არმიის ნაწილებს, რომლებსაც სერგო ორჯონიკიძე მოუძღოდა და შემოჰყვა თბილისში. შემდეგ მითინგზე მან წაიკითხა ეს ლექსი — „ახალ საქართველოს“.

აზიის კარო, ფერად ბაღებით,
ლურჯი ცის თაღით წარ დაფარული!
ხარობს გმირული ბაირადებით
შენი წარსული ლეგენდარული!
არ გაშინებდა ბილწი მონობა.
მზემ მოგაფინა ოქროს ფარჩები;
შენ არ გინდოდა სხვის პატრონობა
თავისუფალი მუდამ დარჩება.
შენს ჯვაროსნობას ჩვენ ვეთანხმებით,
შენი გმირობით ვართ ავსებული,
მაშ, ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით
ძველი ქვეყანა დახავსებული.

მზად არის თოფი, მზად არის ხმალი!
მტერს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით,
დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი
წითელ რუსეთის დამპყრობლებით.
აზიის კარო, ელავს ფერებით
შენი გვირგვინი და სამკაული!
მაშ, გადიხად ბედნიერებით
პირველ მაისის ღღესასწაული!

ამ ლექსის ღირსება მარტოდენ ის როდია, რომ იგი ქრონოლოგიურად პირველია — დაიწერა საბჭოთა საქართველოს დაბადების ღღეს. ლექსი „ახალ საქართველოს“ არის პირველი მისალმება ახალი სამშობლოსადმი, საბჭოთა საქართველოსადმი და ამ მისალმების ავტორი ქართული სიმბოლისტური სკოლის ორგანიზატორი პაოლო იაშვილი იყო. ლექსში კარგად ჩანს, თუ პოეტის რა სატიკივარს დაადო მალამო ახალმა ღიღმა პოლიტიკურმა მოვლენამ — საქართველოს გასაბჭოებამ.

პაოლო იაშვილის შემოქმედებაში სრულიად ახალია ამ ლექსის მხატვრულ-იდეური გადაწყვეტის ხერხი. ლექსი „ახალ საქართველოს“ გამართულია ისტორიულ პერსპექტივაში, როგორც ეს აღნიშნული აქვს გ. ხერხეულიძეს. წარსულში ნაოცნებარის სინამდვილედ ქცევამ აღაგზნო პოეტი ძველის წინააღმდეგ საბრძოლველად: „მაშ, ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით ძველი ცხოვრება დახვსებულნი. მზად არის თოფი! მზად არის ხმალი! მტერს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით“. პოეტს ისიც აქვს შეგნებული, რომ ახლის დამკვიდრებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საჭირო, იყო ძველის საესებით აღმოფხვრა და თვითონ მზად არის ძველი დახვსებული ცხოვრებას გარდაქმნისათვის ბრძოლაში აქტიური, ქმედითი მონაწილეობისათვის.

ქართველი პოეტებიდან პირველმა გალაკტიონმა დასახა საესებით გარკვეული შემოქმედებითი პროგრამა და მისი შესატყვისი ესთეტიკური შეხედულებანიც ჩამოაყალიბა. მან შეიმუშავა ხელოვნების ახალი ფუნქციის შესატყვისი ესთეტიკური შეხედულებები და ქართულ პოეზიას გზა გაუკადა საქართველოს საბჭოთა მშენებლობის სამსახურში: „შფოთით და გრგვინით მიანგრევენ კლდე-ღრეებს რევოლუციის ნიაღვრები. ისინი მარხავენ ძველ ფორმებს, ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიახლისას, — წერდა გალაკტიონი 1922 წელს თავისი ჟურნალის პირველ ნომერში და მიმართავდა ქართველ ხელოვანს, — თქვენ: პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერი ხელოვნება... ამიერიდან ქართული ხელოვნების დეზია: განახლება ან სიკვდილი... ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომოჭმული და შემოქმედებითს უნარს მოკლებული ელემენტები. გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას“.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ყალიბობის ეამს გალაკტიონის ლექსმა „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, საბრძოლო პროგრამის ხასიათი მიიღო და შემოქმედებითი სტიმული მისცა ქართველ შემოქმედ ინტელიგენციას. ლექსად ჩამოყალიბებული გალაკტიონის ახალი ესთეტიკური მრწამსით იწყება ქართული საბჭოთა ესთეტიკური აზროვნების ისტორია:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ პოეტები საქართველოსი.

ოციანი წლების პოეზიისათვის დამახასიათებელია ახალი თემები და მოტივები,

რომლებიც დრომ, ცხოვრების სოციალისტურ საწყისებზე განვითარებამ მოიტანა. მხედველობაში გვაქვს ლენინის თემა, რომელსაც ჯერ კიდევ ათიანი წლების ბოლოს, 1918 წელს დასაბამი მისცა გალაკტიონმა ლექსით „ვემი დაღანდი“. ოციანი წლების წიმაში რევოლუციის დიდი ბელადის თემა იჭერს უპირატეს ადგილს და განსაზღვრავს ამ პერიოდის ქართული პოეზიის განვითარების მაგისტრალურ ხაზს.

ლენინის თემაზე შექმნილ პოეტურ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა სანდრო შანშიაშვილის „დედისერთა ლენინთან“.

სალიტერატურო კრიტიკაში უკვე ითქვა იმის თაობაზე, რომ ამ ლექსში ლენინის მხატვრული სახე პირველად არის დაკავშირებული სპეციფიკურ ქართულ ეროვნულ ხამყაროსთან. ჩვენ დავუმატებთ: ლექსში გამოხატული ქართველი დედის სახე ნოვატორულია არა მარტო იმ მისიით, რაც მას ისტორიამ დააქისრა, — შვილი გავზავნოს ლენინური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, არამედ იმიტაც, რომ დედამ იცის, ვინ არის ლენინი. ს. შანშიაშვილმა დახატა ლენინის პატივისმცემელი და დამფასებელი პირველი ქართველი დედის სახე. ეს გვაფიქრებინა ლექსის ეპიგრაფმა — „დედის წერილიდან“, რომელიც იწყება მიმართვით: „შვილო, ეგების გაიგო ჩემი ვაჟიკას ამბავი. შენ ყველა გიცნობს, ხმა მიაწვდინე. ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა... გამოვე, აგრემც შერჩები ქვეყანას!“ ეს ლენინის მისამართით უნდა იყოს ნათქვამი. დედა რომ სწერს — „შვილო, შენ ყველა გიცნობს, ხმა მიაწვდინეო“, ეს ლენინი. ლენინს იცნობს ყველა. მას შეუძლია ქვეყნიერებას მიაწვდინოს ხმა. ლენინს შეუძლია პასუხი გასცეს ისეთ უსათუთეს გრძნობებს, როგორიცაა დედის მოლოდინი, შვილდაკარგული დედის სატკივარი. ამით წაზვასმულია ლენინის საყოველთაო აღიარება, ლენინური სიბრძნის ზოგადკაცობრიული ხასიათი, ხალხურობა და ჰუმანიზმი.

ლექსი გამოქვეყნდა 1927 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ სათაურით „დედისერთა ვაჟიკა“. შემდეგ ბუბლიკაციებში დაბეჭდილია ახალი სათაურით „დედისერთა ლენინთან“. პოეტმა დააზუსტა სათაური და ამით უფრო ნათლად გამოკვეთა როგორც ლექსის თემა, ასევე შინაარსი, ძირითადი იდეა. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის რევოლუციის დიდი ბელადის დაკავშირება ქართულ სინამდვილესთან, კერძოდ, ქართველი ხალხის დიდი სიყვარული ბელადისადმი, თავგანწირვა ლენინური იდეებისადმი.

როდესაც ქართულ პოეტურ ლენინიანზე ვლაპარაკობთ. აუცილებლად უნდა მოვისხენოთ ის ნაწარმოებებიც, რომლებიც ბელადის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა და რომლებშიც გამოხატულება პოეზიის ხალხის საყოველთაო დიდმა მწუხარებამ. ლექსები „ლენინი“ (პ. იაშვილისა), „ლენინი“ (ა. მირცხულავასი), „ლენინის სიტყვა“ (ს. ეული-სა), „ელადიმერ ლენინი“ (კ. ნადირაძისა), „ორი ძმა“ (ვ. გაფრინდაშვილისა) და მრავალი სხვა, მართალია, ლენინის მხატვრული სახის ინტერპრეტირებით განსხვავებული არიან, მაგრამ ყველა ერთად იმას გვიდასტურებს, რომ ლენინის დიდ პიროვნებას გავლენა აქვს არა მარტო ქვეყნის სოციალისტურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, არამედ საუკეთესო მაგალითია საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროსათვის და განსაზღვრავს ეპოქის მაჩისცემას.

მიუხედავად მძაფრი კლასობრივი ბრძოლისა, რაც ნიშანდობლივი იყო ოციანი წლების ჩვენი ცხოვრებისათვის, ახალი სოციალისტური საწყისი ვითარდებოდა და მტკიცდებოდა. თანდათან ძლიერდებოდა შემოქმედებითი გადახალისების პროცესი. ქართველი მწერლების წინაშე იდგა პრობლემა — გადაესინჯათ საკუთარი შემოქმედებითი პრინციპები. „განახლება ან სიკდილი“, — ასეთი იყო დროის ლოზუნგი. თუ რა მძლავრი იყო ახალი, როგორ მკვერდრდებოდა სოციალისტური ცხოვრების თემები და იდეები, ამას ნათლად ვიგრძნობთ ა. აბაშელის შემოქმედებითი გზის გათვალისწინებისას, რაც აუცილებელია მისი ლექსის „ჰაეროპლანი სოფლად“ ანალიზის დროს. 1927 წელი,

ლექსის დაწერის თარიღი, მიგვაჩნია ალ. აბაშელის იდეურ-შემოქმედებითი შემოღობვა-
ნების დასაწყისი ხანად. პროფესორ სერგი ჭილაიას ვარაუდით პოეტის ახალი შემოქმედ-
ებითი ცხოვრების ბიოგრაფია 1929 წლიდან იწყება, კერძოდ, წიგნით „გამაზაფრებ-
სარკე“. ამ წიგნში შეტანილი ზოგიერთი ლექსი კონკრეტულ ყოფით თემებზეა დაწერი-
ლი და ამის გამო სევდისა და მისტიკის დომინანტობაც შესუსტებულია, მაგრამ წიგნში
ხომ სხვადასხვა დროის ლექსებია და, ამდენად, მისი ავტორის შემოქმედებითი ევოლუ-
ციის დასაწყისის დადგენა რამდენადმე ძნელია. ჩვენი აზრით, ახალი, სოციალისტური
ცხოვრებით პოეტის დანტერესებას გვიდასტურებს 1927 წელს დაწერილი ლექსი
„ჰაეროვანი სოფლად“. სწორედ ამ ლექსით იწყება შემოღობუნება, ეს ლექსია საე-
ტაპო, ძველთან საბოლოო გაყრის კი არა, ძველის ახლით შეცვლის პროცესის დამადა-
სტურებელი. ახალს, საოცარს თავისი სიკეთითა და პროგრესით არ შეიძლება გაეჭიკ-
შეშალოს. ხალხის ოცნება სინამდვილედ იქცა და პოეტს ისლა დარჩენია, რომ სიზა-
რულით მღერის. გახარებული და აღტაცებული მგონის სიმღერაა ლექსი „ჰაეროვლა-
ნი სოფლად“.

სიმბოლისტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა 1926 წელს გამოაქვეყნა „ისეთი ლექსია“,
რომელმაც ფართოდ გაიხმაურა, მასში აშკარად ჩანს ავტორის შემოქმედებითი ევოლუ-
ციის დასაწყისი:

ისეთი ლექსი დავწერო მინდა,
რომ არ დამჭირდეს კიდევ ცხოვრება.
და მკერა, ჩემი სიმღერა წმინდა
სამშობლო მხარეს ემახსოვრება.

როგორი ლექსის დაწერა გადაუწყვეტია პოეტს?

„ისეთ ლექსში“ იფიქრებს „პოეზია სიბრძნის დარგი“. პოეზია ცხოვრებისათვის
„დიდი მარგი“. ცხადია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტური ქმნილება
უძლებს დროის გამოცდას და უკვდავყოფს მის ავტორსაც. ლექსის, პოეზიის უკვდავე-
ბის რწმენა ვალერიან გაფრინდაშვილმა მაშინ მიიღო, როცა განახლებულ ბედნიერ
ცხოვრებას თვალი გაუსწორა და აწმყოს გოლიათური ძალა ირწმუნა.

1924 წელს კოლაუ ნადირაშვიმ გამოაქვეყნა ლექსი „წითელი მოედანი“, ერთი წლის
შემდეგ კი „ვლადიმერ ლენინი“. ორივე ლექსი რევოლუციური მოძრაობის თემაზეა და-
წერილი. ლექსში „წითელი მოედანი“ პოეტი ხატავს რევოლუციურ მოძრაობას, რევო-
ლუციისათვის თავდადებული გმირის სტენკა რაზინის მხატვრულ სახეს. განაზოგადებს
რა რაზინის ღვაწლს გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, აქვე გვიჩვენებს
საშინელ რეპრესიებს, რითაც თვითმპყრობელობა უმასპინძლებოდა თავისუფლებისა-
თვის მებრძოლთ.

პოეტმა მიზნად დაისახა რევოლუციური მოძრაობის ისტორია დაუკავშიროს თავ-
დადებულ მოღვაწეთა სამაგალითო საქმიანობას. საამისოდ ლექსში შექმნილია მკაცრად
შემორკალული ფონი. ტიპურ სიტუაციებში ხატავს პოეტი ტიპურ მხატვრულ სახეებს,
როგორიცაა სტენკა რაზინი და ჯალათი და ასე მიეყვართ მთავარ სათქმელთან. ეს
მთავარი სათქმელი კი შემდეგია: მიუხედავად რეპრესიებისა, განმათავისუფლებელმა
მოძრაობამ გაიმარჯვა. მისი გამარჯვებისათვის დადგრილმა მილიონთა სისხლმა შედეგა
მოედანი და მას საესებით შეეფერება სახელი „წითელი“. ეს სახელი სიმბოლოა რე-
ვოლუციური მოძრაობის მთელი ისტორიისა.

მოსკოვის წითელი მოედანი ესახება პოეტს მსოფლიოს დროშად. აქ განისვენებს
კაცობრიობის უდიდესი მოძღვარი, რომლის იდეებმა უნდა იხსნას მთელი მსოფლიოს
პროლეტარიატი. ყველა კეთილი ადამიანის თვალი ლენინისკენ არის მიპყრობილი:
„ყოველი მხრიდან ილტვიან შენსკენ დამონებულნი, წყვდიადში მყოფნი და დამშუელ-

ნი. ყველა მშრომელი ოცნებობს მხოლოდ მოვიდეს შენთან და გცეს თაყვანი.
ლექსის „წითელი მოედანი“ პოლიტიკური ჟღერადობა საეხეობით თანხვედრისაა
კოთა ლიტერატურის საწყისი პერიოდისა. ოციან წლებში ჩვენი მწერლები ფართოდ
ამკვიდრებდნენ როგორც ისტორიულ, ისე რევოლუციურ თემატიკას, აგრეთვე პოლი-
ტიკურ-პატრიოტულ მოტივს.

კარლო კალაძის „ძახილი აღმოსავლეთის“ ამ მოტივზეა შექმნილი. 1926 წელს
პროლეტარული ასოციაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კარლო კალაძე
პირველი უძღვნის ლექსს ფერეიდანელ ქართველებს. ამ თემის დამამკვიდრებელი ქარ-
თულ მწერლობაში ის არის.

ლექსი „ძახილი აღმოსავლეთს“ განმსჭვალულია ახალი პატრიოტული ჟღერადობით.
დასაწყისიდანვე პოეტი ცდილობს მკითხველი განაწყოს დაკარგული მოქმისადმი თანაგ-
რძნობით, ლექსი გვანახებს სამშობლოს ძნელბედობას, როცა მომხდური მტერი გვა-
რბევდა და გვაწიოვებდა. თვითონ პოეტი გულის სიღრმეში ატარებს ძველ ტკივილებს.
უშუალოდ განიცდის ფერეიდანში იძულებით გადასახლებული ქართველების ისტორიულ
დრამას. მას ესმის ძმათა ძახილი:

თითქოს ძახილი გვესმა მრავალჯერ
ერთმანეთი კი ვერ გვიპოვია...

ამ სტრიქონებით კ. კალაძე ცდილობს მკითხველი დამუხტოს და მოაქციოს იგი
საკუთარი ემოციების რკალში. და ამას იგი აღწევს. კონტაქტი პოეტსა და მკითხველს
შორის განპირობებულია იმით, რომ ლექსში ასახული ფაქტი ისტორიული რეალობაა
და, მეორეც, ლექსის თემა რომანტიკულად არის გაშლილი. მიტაცებულ ძმათა ხვედ-
რზე პოეტის ფიქრი უშუალოდ უკავშირდება თავისუფალ და ბედნიერ სამშობლოს, რო-
მელსაც ფერეიდანელი ქართველები მოკლებული არიან. მათთვის დაკარგულია ბედნიე-
რება, ისინი მოწყვეტილნი არიან სამშობლოს: ლექსში ეს ხელშესახებად მტკივნეულია
და პოეტიც ოხრავს:

სადა ხართ ახლა! უცხო ქვეყნებში
დაგახრჩობთ სევდა გულთნამალევია,
ვინ შემოკრიბოს ვარსკვლავებივით
მშობლიურ ცის ქვეშ თქვენი თვალები!

ფერეიდანელი ქართველების შემოკრება მშობლიური ცის ქვეშ, მათი დაბრუნება
ქართულ კერასთან ცოტა უფრო გვიან დაიწყო. ოციან წლებში კ. კალაძემ ინატრა ეს,
რაც ნიშნავს იმას, რომ პოეტი სწორად სჭერტდა მომავალს, იცოდა, საბჭოთა ხელ-
სუფლების სიყვითე მომავალში რას უქადდა დაკარგულ მოძმე ქართველებს. ამ წინას-
წარ ხედვაშია ლექსის ემოციური ძალაც. კ. კალაძის მსოფლმხედველობა, პოლიტიკური
მრწამსი საესებით ეთანხმება დროს, გამოხატავს აწმყო ცხოვრების აქტუალურ პრობ-
ლემებს.

ლექსი „მხედრული“ კ. კალაძემ 1927 წელს დაწერა. მასში გატარებულია ის აზრი,
რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად დადგა მშვიდობიანი შრომისა და
ცხოვრების დრო:

ეხლა ხევიდან ხევებში
მტრობით ხომ არვინ გადარბის! —
ძმათ შეფიცული მოვდივართ
როგორც ზვირთები არავგის...

ლექსის ლირიკული პერსონაჟი გმირი მშრომელი ხალხია, რომელმაც უკვე მოი-
პოვა ბედნიერება. როგორც პოეტი ამბობს, ხალხის გმირული ბუნება „მთების ხასიათს
შეეზარდა და შეეხორცა“. ახლა მთავარია თავისუფლების დაცვა, მისი შენარჩუნება.

ლექსი გაჟღენთილია იმის რწმენით, რომ ისტორია უკან არასოდეს აღარ დაბრუნდება, გერაიენ ველარ შეძლებს სამშობლოზე „ქუსლით გადაიაროს“, ეს არ მოხდება „სინამდღას კავკასიონი“, „არაგვი არაგვიანობს“.

ქ. კალაძის „მხედრული“ გამოირჩევა ახალი, საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით, პოეტი ამ ლექსში ქართული კლასიკური პოეზიის პატრიოტული ტრადიციების ერთგული დამცველიც არის და განმავითარებელიც. ლექსში აშკარად იგრძნობა დროის ლოკალი. საუკუნეობით ნანატრი თავისუფლება მიღწეულია, ხალხის იდეალი აწმყო ცხოვრებამ სინამდვილედ აქცია. ახლა მთავარია მიღწეულის, მონაპოვრის შენარჩუნება. მიზნის სიცხადე და რწმენა ფოლადივით ადუღაბებს ხალხებს, რომლებიც ერთგულ დარაჯად უდგანან სამშობლოს, ასე იკვეთება ლექსის ძირითადი იდეა — ხალხთა მეგობრობა და ურთიერთ თანამშრომლობა.

წათელი დროშა გავშალეთ,
ერთად დავსძახეთ მხედრული,
ისევ სალაშქროდ შემოვბა,
სამშობლოს ყველა ერთგული!
თუმცა სხვადასხვა გორის ვართ,
გვარჩევენ სხვაგვარ ტომობით,
ჩვენ გულის ღტოლვა ერთი გვაქვს —
ხორცით და სისხლით ტოლები!

ლექსი „მხედრული“ განამტკიცებდა ახალი ცხოვრებისადმი რწმენას, ამჟღავნებდა დაქსაქსულ ძალებს და აყენებდა მათ სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლაში. იგი პოლიტიკურ-პატრიოტული ლირიკის ნიმუშია.

როგორც ვხედავთ, ოციან წლებში ახალი, საბჭოთა ცხოვრება მტკიცედ იკაფავს გზას და ყველაფერზე ახლებური თვალსაზრისი ყალიბდება, ყველაფერი განახლებას განიცდის, როგორც გარეგნული, ისე შინაგანი არსის მიხედვით. იწყება ქართული ლირიკული ლექსის ახალი საცოცხლე.

აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ შინაგანი განახლება ყველასთან ერთნაირი ინტენსიურობით და პროდუქტიულობით არ მიმდინარეობდა. ადვილი არ იყო მოვლენათა მრავალფეროვნებაში გარკვევა, სიღრმისეულ მოვლენათაგან ქაფის, ზედაპირულის, ძირულისა და ძირითადისაგან მოჩვენებითის გარჩევა. ეს იწვევდა დაბნეულობასა და შეცდომებს. ამ უკანასკნელმა ყველაზე მევეთრი გამოხატულება პოვა ტერენტი გრანელის შემოქმედებაში.

დასასრულ ჩამოვყალიბთ დასკვნები:

1. ოციან წლებში სოციალისტური რევოლუცია იცავდა და განამტკიცებდა საკუთარ მონაპოვრებს, ზრდიდა და ამრავლებდა ძალებს შემდგომი წინსვლისათვის.

2. ოციანი წლების ქართული პოეზია ცხოვრების ძირითადი ტენდენციების შესაბამისად განამტკიცებდა და ამკვიდრებდა რევოლუციის სამართლიანობას, რევოლუციურ გარდაქმნათა უდიდეს განმაახლებელ და ამამოძრავებელ ძალას, ამ უკანასკნელთა აუცილებლობას ხალხის ბედის შეცვლის, მისი უკეთესი მომავლის შექმნის საქმეში.

3. ოციანი წლების ქართული პოეზია გამოირჩევა რომანტიკული ფრთაშესხმულობით, ამაღლებული პათოსით, მაღალმზოვანებით, ენერგიისა და მიზანსწრაფულობის გრძნობათა სიუხვით. მასში ჰარბობს მიღწეულით, წარმატებებით გამოწვეული სიხარულისა და განცვიფრების პათოსი.

4. ოციანი წლების ქართული პოეზია ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებითაც. ოციანი წლები მწერალთა დიდი ჯგუფისათვის ძიებების, შეცდომების, დაბნეულობის, აღმაფრენისა და დაცემის, საკუთარ ბედზე, ქვეყნის მომავალზე, მტანჯველი დაფიქრების წლებს წარმოადგენდა. (გ. ლომიძე).

გამულის სიყვარული

წიგნი, რომელზეც ახლა ჩემი აზრი უნდა გაეუზიარო მკითხველს, მეგობარი პოეტის ორმოცდაათი წლისთაზე გამოვიდა. შემოქმედებითი შუადღის, სიმწიფის ასაკში შეაბიჯა კიდევ ერთმა ქართველმა პოეტმა. და ჩვენ, ასეთ დროს, ამგვარ ფაქტზე არ გვმართებს დუმით გვერდის ავლა. ამთავითვე უნდა ვთქვა, მიზნად არა მაქვს ამომწურავად შევაფასო პოეტის შემოქმედება ანდა მისი საიუბილეო კრებული, რომელშიც თითქმის ორასამდე ლექსია დასტამბული. ეს მისია კრიტიკოსებმა შეასრულონ. მე მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრი მინდა გამოვთქვა ჟ. ქათამაძის რჩეული ლექსების წიგნზე

ეს ჩემი წიგნი,
 ჩემი ლექსი,
 ჩემი და სხვისი,
 ო, როგორ მინდა,
 იყოს ჩემი ეპოქის ღირსი...

ამ სტრიქონებით შეგვიძლება პოეტი საკუთარ ბაღში, სადაც მისი, როგორც შემოქმედისა და მოქალაქის სული ყველასათვის მისაწვდომად მოშენებული.

გრძნობს, თვითონაც გრძნობს ავტორი, რომ ერთობ საპატიო, მაგრამ არანაკლებ რთული მისიის წინაშე დგას, როცა შემოქმედებითი ანგარიშით დგება მკითხველთან, მაგრამ უკეთუ პოეტის ბეწვის ხიდზე ფარსავი რამ შეემთხვას, ლექსად თქმულ ნატვრასთან ერთად თვითონვე გამოაქვს მკაცრი განაჩენი საკუთარი თავის მიმართ:

...ო, თუ ისეთი ბედი გელის
 სიმღერაც ჩემო,
 თუ ვერვინ იგრძნო,
 შენი ძალა,
 სიტბო და გემო...

მაშინ მეც შენთან დავიმარხო
 მიმწუხრის ნისლში...

ერთი შეხედვით, თითქოს პრეტენზიული შეიძლება მოგვეჩვენოს ეს სტრიქონები. დაე სულსწრაფობაში, პოეტურ ქაღილში ჩავუთვალოთ ავტორს, მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით... კითხულობ გვერდებს, გადადიხარ ლექსიდან ლექსზე და თანდათან რწმუნდები, რომ პოეტს უნებლიეთ არ უთქვამს იგი. აქ არაერთია ლექსი, საიდანაც მაღალი პოეტური პასუხისმგებლობის გრძნობა გამოსჴვივის. და იქ, სადაც ამ გრძნობას პოეტური სათანადო ოსტატობაც ერწყმის, კეშმარიტი წარმატების მოწმე, და მონაწილე ვხედებით.

უპირველესი, რაც ხელშესახები და შესამჩნევია, ესაა სათქმელისადმი ხალასი, ბუნდოვანებასა და პოზიორობას მოკლებული, პირდაპირი და ალალი დამოკიდებულება. ასეთია პოეტის შემოქმედებითი გასაღები ნებისმიერი თემის მიმართ, მრავალკირ-ვარამგამოვლილ ქართველ გლეხკაცს მიმართავს იგი, თუ უზერებელ პეტრა-ქაჯთა ციხეზე გამართულ პოეტების ღზინზე გვიყვება, ბათუმის ღამის სილამაზეს ძერ-

წავს, თუ ულამაზესი მამულის ერთგულების სალოცავს ჩურჩულებს: „ნეტავ ამ მიწის პატრონს რა მომასვენებს, რა!“

მშობელი მიწის სიყვარულიწ პოეტური ხორცშესხმა ყველა შემოქმედის სასინჯი ქვაა. ხომ ძნელია დედას უმტკიცო, მიყვარხარო... მაგრამ ამ გრძნობის გაუმწელობაც არ იქნება. და ეს ისე უნდა მოხერხდეს, რომ ერთგულების და სიყვარულის ფიცი გულზე ხელების ბრახუნს არ დაემსგავსოს. ჯემალ ქათამაძე ამ გრძნობის გასამწელოდ უბრალო, მისეულ სტრიქონებს პოულობს:

ისე დიდია კრწანისის მიწა,
ისე მძიმეა მარაბდის მიწა,
ისე ნაღღია სიხანის მიწა,
ისე ბებერი მესხეთის მიწა,
თუ დავიფიცავ დედასავით,
მხოლოდ ამ მიწას!

მამულის შემოგარენს, მის სანახებს ფზიზელი თვალით რომ უყურებს, არც სწვის წინაშე თავის მოწონებისა თუ კოპწილობისათვის ეძალება ნანახის ლექსად გარდაქმნის სურვილი. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ერთი შეხედვით ასე ადვილად ინასკება სტრიქონები: „ზემოთ დევით ელიას მთა აწრობს არწივებს“ და იქ სადაც „შავ არტახეზში გაიღვებ კინტრიშის ტალღა“, პოეტი ჩვენც გვაზიარებს ოცნებით თუ სილულად ნახულ კემმარიტად ქართულ სურათს: „ჯიხვთა ჭიდილში, კლდეთა შორის ხარი ბლაღა...“ და აქ, ამ გარემოში გავრდილ კაცს აქვს უფლება თავისთავისა და სხვთა გასამსხეველად შემოსძახოს: ჩვენ საქართველო გვექია სახელად, ვინ გვაპატიებს ცუდქართველობას?!“

სათქმელის არაპირდაპირი, მინიშნებითი გადმოცემა ჯემალ ქათამაძის ერთ-ერთი საყვარელი ხერხთაგანია. და იგი აქაც ლაკონურობის, უბრალოებისა და სისადავის ერთგულად რჩება.

კრებულში შესული ლექსების დიდ ნაწილში მამულის სიყვარული, მისთვის ზრუნვა და თავდადებისათვის მზადყოფნა გაეხადებული. ამასთან, ეს მიზანი ისეა ზორცშესხმული, რომ დაძლეულია ასეთ ღროს არცთუ იშვიათი ცდუნება—ათეტიკურობა.

მამულის სიყვარული, მასთან სიახლოვე, როგორც დიდი გალაკტიონი ბრძანებდა, უპირველესად იმ ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლით იწყება, სადაც ფეხი ავიდგით და გავიარეთ. ასეა ჩვენი პოეტისთვისაც, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი სულაც არ არის ვიწრო კუთხურ ჩარჩოებში ჩაკეტილი პატრიოტი, რაც ბევრი პერიფერიაში მცხოვრები პოეტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და არასასურველი სენია. ჯემალ ქათამაძე იმთავითვე საერთო ქართულის, საერთო ეროვნულის მუხობება, ალბათ, ამიტომაცაა, რომ იგი შედარებით ნაკლებად გვახსენებს (ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს განსახილველ წიგნში) აჟარის წარსულს, სამასწლიან ტანჯვას, ბორკილებს და ასე შემდეგ. მხოლოდ ერთგან და კატეგორიულობამდე მისული პირდაპირობით აცხადებს იგი წარსულში დედასაქართველოს მოწყვეტილი აჟარის სატკივარს: — მეყო ძმებთან ამდენ ხანს რაც ღრმ დაშვარა, გამყარა! და ამით დღევანდულობისა და მომავლისაკენ გვახედებს. ამით იმის თქმა როდი მინდა, რომ იგი გვერდს უკლის წარსულის თემას. არა, მინდა ხაზი გაუესვა ზომიერების გრძნობას. პოეტმა იცის, საღ დაიბადა და ვისი შვილია. და ერთგან ერთობ პრეტენზიულადაც ამბობს:

მე დავიბადე ზღვის პირას,
ზღვასთან დავიდგი კარავი.
ზღვის სიყვარული ჩემსავით
არ შეუძლია არავის...

მაგრამ ამ სიტყვების წარმოთქმის უფლებას იგი სისხლხორცეულად მოპოვებულად თვლის, რადგან წინაპართან ერთად მასაც ზღვა სისხლი და ცრემლი დაუღვრია. აქი ამბობს: „აეტრას ციხეზე მაქვს მიღებული ყური, და ვუსმენ ჩვენს ისტორიას“...

შემდეგ გვიყვება, რომ არა მარტო ხიხანთან და გონიოსთან, არამედ: „მიჩხვს მცხეთასთან, თმოგვთან, კრწანისთან, მაინც არ ვზიდვ სხვისთვის ბეგარა...“

აქვე გვახსენებს ისტორიის ლოგიკურ დასასრულს: „მაინც ვერ მოკლეს ბედნიერება, და სიყვარული მაინც ვერ მოჰკლეს!“

მამულის ერთგულება და სიყვარული განსაცდელისყამს გამოიცდება ხოლმე. იმ მრავალ განსაცდელს შორის იყო დიდი სამამულო ომი. ჯემალ ქათამაძემ თვითონ გამოსცადა ამ ომის სუსხი. გამოსცადა იგი ზურგში, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ბალღმა. მაგრამ ომისდროინდელი ბავშვობა განა ბავშვობა იყო? ზურგში დარჩენილ დედებთან ერთად ხომ პატარებმაც ზიდეს უკაცოდ დარჩენილი სოფლებისა თუ ქალაქების შიშით, განსაცდელით, მაგრამ მაინც რწმენით სავსე ცხოვრების უდელი. შემდეგ და შემდეგ ბავშვობის განცდებს რეალურად ნახულის სიმძაფრე დაემატა და ასე შეიქმნა ლექსები, რომლისთვისაც პოეტს „მშვიდობის საგალობელი“ უწოდებია.

ბევრ გულწრფელ სტრიქონს ამოიკითხავთ აქ, შეხვდებით მოლოდინით სავსე დედის თვალებს, უცნობი ჯარისკაცის ნათელ ხსენებას, ოსვენციმის ტყვეთა ბანაკის საზარელ აჩრდილს, რომელიც შემდეგ თავისი თვალით უნახავს პოეტს. და მაინც ყველაზე გულწრფელი მაშინაა პოეტი, როდესაც საკუთრივ განიცდის სატკივარს. ასეთია ამ ციკლში ეგზეთიკონდებული „ძმის თემა“. არ შეიძლება არ აგაღელვოს და ტკივილი არ განცადღვეინოს ასეთმა სტრიქონებმა:

ვინ თქვა, იმ დღეთა გაქრა აჩრდილი,
ვინ თქვა, ის სევდა უკვე წავიდა.
ნახეთ ჩემი ძმა მიძიმედ დაჭრილი
და გაცოცხლდება ომი თავიდან...

ხოლო შემდეგ: „აგერ რამდენი წელი იქნება ჩემს ძმას მოჭრილი წვივები ეწვიას...“ და პოეტს, რომელიც ბავშვობაში ეზიარა ომში ხუთი დაღუპული ვაჟკაცის დედის ტრემლებს, დედისას, რომელიც „სველი თვალებით გაჟუჟრებს შარას, და შეეჩვია ტირილს და ღოდინს“ — აქვს უფლება თავი მეომრად ჩასთვალოს და თქვას: „მე გავიწარდე ბრძოლების ცეცხლში, მე არ ვყოფილვარ არახდროს ბავშვი“.

ჯემალ ქათამაძე ლირიკოსი პოეტია. თავშეკავება და სიწმინდე უნდება მის მიერ გაცხადებულ ტრფიალს. ალბათ, ამიტომაც არის, რომ არ ეძნელება საყვარელი არსების კლემამოსილების გადმოსაცემად მიაგნოს სტრიქონებს: „წმინდა ზარ, როგორც პირველი ფიფქი, და მშვენიერი, ვით მოფერება...“

და ზოგჯერ ეს გრძნობა ერთგვარად დარდიმანდულ სამოსელში ეხვევა, ისე, როგორც ეს ამ სტრიქონებშია:

მე რომ მკითხონ, ტურფა ქალის
ერთი კოცნა სჯობია, —
ამ დუნიას ერთიანად
აღებულს და ბოძებულს...

აქ აღარაფერს ვამბობ ლექსზე — „ეს თეთრონი...“ რომელშიც მომხიბლავი სატრფილო ამბავია გადმოცემული, ისღა დაგვრჩენია დავეთანხმოთ პოეტს, როცა ამბობს: „ყველაფერს თავის ღამაში დრო აქვს...“

ქეშმარიტად, დიახ, ქეშმარიტად! და მინც უნდა უარყვოთ ორმოცდაათს გადებულ
ჯეზუიტურს

დავდივარ მარტო, რაც იყო, იყო,
დაეშვა ჩემი დღეების ფარდა.
ზაფხულმა უკვე დაკარგა სითბო
და შემოდგომის ქარი ქრის კართან...

ზემოთ ვთქვი, რომ ჯემალ ქათამაძე სათქმელს არ ახვევს ხელოვნურად გაბუნდო-
ვანებულ სამოსელში, რომ მისთვის უპირველესი ზერხი სისადავეა-მეთქი. ეს უპირვე-
ლესად თავს იჩენს ყოფითი ხასიათის მოტივებში, რომლის საუკეთესო დასტურად
ჩაითვლება ლექსი მამაზე. უფრო ზუსტად, სიჭაბუკეში და სიჭარბაგეში დანახული მა-
მის განსხვავებული ორეული.

დაწვრილებით ვილაპარაკეთ კრებულის თემატიკურ მხარეზე, ღირსებაზე, მაგრამ
არაფერი გვითქვამს მის გამომსახველობით ზერხებზე.

პოეტი ტრადიციული კლასიკური ლექსის მიმდევარია. ძნელად თუ სადმე შეხვდებით
დისონანსს რითმაში, რიტმში, მეტრში, სრულყოფილია პოეტური კულტურა. დასტუ-
რად ისევ მაგალითებს მივმართავთ, აი ისინიც: „მზე აბრეშუმის გაბამს სიმებს და
ოქროს ფუნჯით მიწას დახატავს“; „ფხვის ცერებზე აწეულა ჩინარი მწვანე და მთვარე
მთებში აღმოდებულს აცეცებს თვალებს...“; ან კიდევ ისეთი ტევადი სახეები, როგო-
რიცა: „მოწყენილია შემოდგომა, დედაჩემივით გახუნებული, უფერული აცვია კაბა“;
„ჩემი სარკმელი მუდამ მწვანეა, როგორც აპრილი ზღვისფერ კაბაში“; „შემოიგლიჯა
გვანცამ ტანზე თეთრი ნისლები და ტყეს ჩაუცვამს გაზაფხულის მწვანე ფარჩები...“;
„მეშმე ოქროს თასით ცვარ-ნაში შესვა, აპრილს შეეხსნა საკინძე მკერდთან...“; „ცისკენ
მიფრინავს თუთები, მწვანე ფაფარა რაშები...“

მინიმალური პოეტური არსენალით მაქსიმალური გამომსახველობა, — ამ პრინციპს
ლაკონურობისაკენ მიჰყავს პოეტი. სწორედ ამიტომაცაა, რომ კრებულში თითქმის
ვერ შეხვდებით გაჭიანურებულ ლექსებს. არაიშვიათად გვხვდება ფორმით მინიატურა-
მდე შემცირებული, მაგრამ შინაარსით მეტყველი ლექსები. მაგალითად, ლექსი „ყაყა-
ჩო“, რომელშიც სულ რამდენიმე სტრიქონში ეს ყვავილი ასეა დახატული: „ყაყაჩო,
როგორც ჭიაკოკონა, ბალახებს შორის ანთია სერზე. მორცხვია, როგორც სოფლის
გოგონა ამბორის შემდეგ...“

თითქმის ამოიწურა ჩემი სათქმელი. წერილის დასასრულს მინდა „რჩეულის“ ავ-
ტორს ერთი საიდუმლო გავანდო: „მთავარი არის, რას დათესავ ადრე თუ გვიან და
როგორ წახვალ, რა სახელით წუთისოფლიდან“, ისიც მომწონს, რომ იგი არ არის
ზოგიერთივით მოჩვენებითი დიდების მოტრფიალე და აცხადებს: „სიკეთისათვის არ
მინდა ქება, ერთგულებისთვის მქუხარე ტაში“, — მაგრამ ვერ მოეუწონებ თითქმის
გულგატეხილობამდე მისულ თვითგანჩენს: „მე შევაშრები მიწას წვეთივით, ორბივით
ცაზე წრეს ვერ მოვხაზავ“... ანდა „მე ვერ შევრჩები მარადისობას, როგორც ფოთო-
ლი შემოდგომის უამს...“ პოეტურად ნათქვამი ამ ლამაზი სტრიქონების უკან ფარული
ეჭვი იკითხება, ორმოცდაათი წელი კი ის ასაკია, სადაც ხელოვანის მარადიული ეჭვი
უკვე დაძლეული უნდა იყოს...

მინდა მიეულოცო პოეტ ჯემალ ქათამაძეს საიუბილეო ორმოცდაათი და მასთან
ერთად ეს კარგი წიგნი და მისივე ლექსის სტრიქონებით დაავიძელო:

შენს ლექსებს ახლის ბალახის
სურნელი, რძის და ვაზისა...

„მოსახლეობის გეოგრაფია“ — ასე ეწოდება საქარველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვახტანგ ჯაოშვილის წიგნი, რომელიც ახლახან გამოსცა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ წიგნი დაამტკიცა სახელმძღვანელოდ. მის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსეად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი ქართულ ენაზე მოსახლეობის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს შედგენის პირველი წარმატებული ცდაა და დიდ სამსახურსაც გაუწევს როგორც სტუდენტობას, ისე მოსახლეობის გეოგრაფიის აქტუალური საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

წიგნისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ მასში კარგადაა გადმოცემული მოსახლეობის გეოგრაფიის კანონზომიერებანი — ტერიტორიული ორგანიზაცია, დინამიკა, სტრუქტურა თუ სხვა საკითხები. სახელმძღვანელოში შესაფერისი ადგილი უკავია ამ მიმართებით მოქმედ სოციალურ-ეკონომიკური თუ ბუნებრივი ფაქტორების როლს, სასოფლო და საქალაქო განსახლების ძირითად საკითხებს და ა. შ.

სახელმძღვანელო ათი თავისაგან შესდგება, უძღვის წინასიტყვაობა და ერთვის რეკომენდირებული ლიტერატურის სია.

წიგნში განხილულ საკითხთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მოსახლეობის გეოგრაფიის საგნისა და ამოცანების გაშუქება. ასევე ითქმის მოსახლეობის სტრუქტურის, რიცხოზრივ-ეთნიკური შედგენილობის, მიგრაციის, ტერიტორიული განლაგების, თანამედროვე ურბანიზაციის მსოფლიო პროცესის, ჩვენში მისი განვითარების ჩვენებასა თუ სხვა პრობლემებზე.

მოსახლეობის გეოგრაფიის საკითხებს უძველესი დროიდან აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ, ვიდრე იგი ცალკე სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდებოდა, დიდი დრო გავიდა და მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გახდა შესაძლებელი.

ავტორი მოსახლეობის შესწავლის ისტორიასაც განიხილავს და საინტერესოდ გადმოგვცემს მას. წიგნში კარგადაა წარმოჩენილი დიდი რუსი მეცნიერის მ. ლომონოსოვის, გამოჩენილი რუსი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვ. ტატიშჩევის, აგრეთვე კ. არსენიევის, პ. სემიონოვ-ტიანშანისა და სხვათა ღვაწლი. სახელმძღვანელოში ხაზგასმითაა აღნიშნული ის დიდი მნიშვნელობა, რაც მოსახლეობის გეოგრაფიის ასპექტით ენიჭება ვ. ი. ლენინის კლასიკურ ნაშრომს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. სახელმძღვანელოში საპატიო ადგილი ეთმობა მეცნიერების ამ დარგის განვითარებას საბჭოთა კავშირში და დასახელებულია თითქმის ყველა თვალსაჩინო მეცნიერი, რომელთაც ღვაწლი დასდეს მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევას.

ეს კვლევა განსაკუთრებით გაცხოველდა 50-იანი წლებიდან, როდესაც მკვეთრად გაიზარდა ამ დარგის სპეციალისტთა რიცხვი. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაფართოვდა საკვლევი საკითხების თემატიკა.

ქართული საბჭოთა გეოგრაფიული სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლის ვახტანგ ჯაოშვილის წიგნი „მოსახლეობის გეოგრაფია“, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოდაა დამტკიცებული, ქართული გეოგრაფიული მეცნიერების კარგი შენაძენია

ზურაბ კომახიძე,

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მამია ხარაზი

ვლადიმერ გილიაროვსკი

ამ წერილის ავტორს — ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის დირექტორს მ. ხარაზს — უმდიდრესი ბიბლიოთეკა აქვს — 12.000-ზე მეტ წიგნს ნახავთ მის თაროებზე, მაგრამ საქმე მარტო რაოდენობა როდია. ბიბლიოთეკას ბევრი უნიკალური წიგნი ამშვენებს, გამოცემული როგორც ქართულ და რუსულ, ასევე უცხოურ ენებზე. ზოგიერთი მათგანი ავტორისეული ეკუთვნის.

ახალი რუბრიკით „წიგნები და ავტორები“ გააცნობთ ზოგიერთი ამ უნიკალური წიგნისა და მისი ავტორის ისტორიას.

ვ. გილიაროვსკის წიგნი „მრისხანე წელი“ მრავალმხრივ საინტერესოა და თავისებურად უნიკალურია, ვერ ერთი იმიტომ, რომ იგი ავტორისეული ეკუთვნის და მისი ავტორგრაფიაა. წიგნი მდიდრულადაა დასურათებული გამოჩენილი რუსი მხატვრების მიერ. აქ არის ა. არხიზოვის, ვ. ბაკშევების, ა. და მ. ვასნეცოვების, ა. კორინის, კ. კოროვინის, მ. ნესტეროვის, ვ. პოლენოვის, ი. რეპინის და სხვათა ნახატები. წიგნი პატრიოტული ლექსების კრებულს წარმოადგენს. მისი შემოსავალი ავტორმა მთლიანად ომში დაღუპულთა ოჯახებს გადასცა, რაზედაც მიგვიტოვებს წიგნზე გაკეთებული სათანადო წარწერა.

ვლადიმერ ალექსის ძე გილიაროვსკი (1853-1935) — ბელეტრისტი, პოეტი, ჟურნალისტი და თეატრალური მსახიობი იყო. იგი 18 წლისა წავიდა ვოლგისპირეთში, „ხალხში“, და იქ დაიწყო თავისი საოცრად საინტერესო ცხოვრება. 1881 წლამდე, ვიდრე ლიტერატორი გახდებოდა, — ბურლაკი, ქარხნის მუშა, მეჭოგე იყო, მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. მის ნაწარმოებებში შესანიშნავადაა დანახული ძველი რუსეთის ცხოვრება და წეს-ჩვეულებები.

ვ. გილიაროვსკი გარეგნობითაც გამორჩეული ადამიანი იყო: მაღალი, ათლეტური აგებულებისა, კეთილმოსურნე ლიბილიანი. მას ჰქონდა უდიდესი ნიჭი — შესისხლბორცებოდა მოვლენებს, რომელთა მომსწრე და მონაწილე იყო, უცებ ამყარებდა კონტაქტს ადამიანებთან. მას თითქმის მთელი მოსკოვი იცნობდა.

ა. კუბრინმა ვ. გილიაროვსკის ალბომში ჩაუწერა: „ძვირფასო ძია ვილიაი, ჩემო ნათლიამავე ლიტერატურასა და ათლეტიკაში, მოსკოვი მეფე-ზარისა და მეფე-ზარბაზანის გარეშე უფრო შემძლია წარმოვიდგინო, ვიდრე უშეწოდ. ნამდვილი მოსკოვი შენა ხარ“.

ი. რეპინმა თავისი სახელგანთქმული სურათის „ზაპოროჟეელები სწერენ წერილს თურქეთის სულთანს“, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი გილიაროვსკისაგან გადახატა. სკულპტორმა ანდრეევმა უცვლადყო იგი გოგოლის ძეგლის ბარელიეფში;

გასული საუკუნის 90-იან წლებში მოსკოვში გამოდიოდა ჟურნალი „დეტსკოე ჩტე“

ნიე“, რომელსაც ცემდნენ ცოლ-ქმარი ტიხომიროვები. ყოველ შაბათს, რედაქციის შენობაში თავს იყრიდნენ ტიხომიროვებთან დაახლოებული მწერლები. ისინი „მეგობრულ საუბრებს“ მართავდნენ ლიტერატურის საკითხებზე. გილიაროვსკი სისტემატურად ესწრებოდა „შაბათობებს“. მწერალი ნ. ტელეშოვი იგონებს, რომ ძია გილიაი მრავალმხრივი და ძალზედ საინტერესო ადამიანი იყო, იგი არავითარ სიძნელეს არ უშინდებოდა. ერთხელ მუშების ცხოვრებაზე დაწერილი მოთხრობების კრებული ცენზურის გადაწყვეტილებით პოლიციაში დასწვეს. განაწყენებულმა გილიაროვსკიმ სასტიკად გაილაშქრა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც არ აძლევდა უფლებას მწერალს ეკეთებინა თავისი პირდაპირი საქმე.

ვ. გილიაროვსკი, როგორც ჟურნალისტი, მივიღებელი იყო საზღვარგარეთ. სერბიაში ყოფნის დროს მან გააჩვია, რომ სერბიის მეფე მილანმა სპეციალურად მოაწყო თავის თავზე თავდასხმის ინსცენირება, რათა დაესაჯა „დამნაშავე“ „ბალკანელი ლიბერალები“. გილიაროვსკის ეს მამხილებელი ცნობა დაბეჭდეს ევროპულმა გაზეთებმა და ავტორმა ძლიერ იხსნა თავი მეფის რისხვისაგან.

გილიაის ბევრი მეგობარი ჰყავდა: ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი, მწერლები, მხატვრები თუ მსახიობები, აგრეთვე მეხანძრეები თუ მოჭირითეები, ცირკის კლოუნები, ავტორიტეტები მისთვის არ არსებობდა. ყველას შენობით ელაპარაკებოდაო, — შენიშნავს ნ. ტელეშოვი წიგნში „მწერლის ჩანაწერები“.

ვ. გილიაროვსკი მოსკოვის ლიტერატურული წრეების აქტიური წევრი იყო და თავისი დროის ყველა გამოჩენილ მწერალს, მხატვარსა და საზოგადო მოღვაწეს იცნობდა, განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩეხოვთან, ბუნიტანთან, რეპინთან, კუპრინთან, შალიაპინთან, დუროვთან, ბრიუსოვთან.

„ძვირფასო ვლადიმერ ალექსის ძე! საჭიროა, რომ ვინმემ აგღწეროს — შენ ძალიან საინტერესო ადამიანი ხარ“, — აღნიშნავდა ივანე ბუნიტანი.

„— მაცდუნებელია, გილიაი, შენი ბიოგრაფიის დაწერა“, — ამბობდა ვლას დოროშევიჩი.

„იცი, გილიაი, ვსინჯე შენი აღწერა, მაგრამ არაფერი გამოდის, არ თავსდება, ყველა ჩარჩოს ამსხვრევ...“ — ეუბნებოდა გილიაროვსკის ანტონ ჩეხოვი.

დუროვი, კუპრინი და ბრიუსოვი თავის მასწავლებლად და დამრიგებლად თვლიდნენ მას, აღიარებდნენ, რომ გილიაროვსკიმ მათ გზა გაუხსნა ლიტერატურაში.

სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო მას სამხატვრო თეატრის ნამდვილ მეგობრად და ძვირფას ადამიანად სთვლიდნენ.

ვ. გილიაროვსკი მეგობრულ ურთიერთობაში იყო თავისი დროის გამოჩენილ მხატვრებთან. იგი აქტიურად მონაწილეობდა მხატვართა ნაწარმოებების შემგროვებლისა და მოყვარულის — ვ. ა. შმაროვინის სახლში ჩამოყალიბებული „სრედას“ საქმიანობაში, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ მხატვრები და ხელოვნების მუშაეები: ნ. ანდრეევი, ნ. ბოგატოვი, ა. ვასნეცოვი, ვ. ვერეშჩაგინი, მ. ვოლოშინი, მ. გრუბელი, ვ. კომისარევესკაია, ლ. პასტერნაკი და სხვები. იგი ძალიან უყვარდათ. ექსპრომტებსაც უძღვნიდნენ „სრედას“ მხიარულად ეგებებოდა მის ყოველ გამოჩენას. მას აქ მოჰქონდა ახალი ამბები კავკასიიდან და ყირიმიდან, მოსკოვის „ხიტროვკიდან“, ვოლგისა და დონის ნაპირებიდან...

ვ. კისელიოვას ცნობით, ვ. გილიაროვსკის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავი საზეიმოდ აღნიშნა „სრედამ“. სახლი მოაწყვეს სახუმარო ისტორიულ მუზეუმად: ერთ-ერთ კუთხეში ეკიდა ზამოროქიელი კაზაკის სამოსელში გამოწყობილი მწერლის უზარმაზარი პორტრეტი, ხოლო ირგვლივ ექსპონატები ეწყო: წარმოუდგენელი ზომის ბატის ფრთა, უზანგი, რომელიც ემსახურებოდა ძია გილიაის 1877-1878 წლებს

რუსეთ-თურქეთის კამპანიაში, იუბილარის პაპის — ზაპოროჟეის სეჩის უკანასკნელი ატამანის თანამებრძოლის ჩიბუჭი, დაბოლოს, ძია გილიაის ბოხიხი“.

ვ. გილიაროვსკიმ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ოსმალთა დამპყრობლებისაგან აკარის განთავისუფლებაში. იგი უშუალოდ მონაწილეობდა ციხისძირის ბრძოლაში და შესანიშნავად აღწერა ეს თავის მოგონებაში „ციხისძირის ბრძოლა“: „ჩვენი რაზმს უკანასკნელი დიდი ბრძოლა 18 იანვარს (1878 წ. — მ. ხ.), მოუხდა... გენერალ ოკლობეიოს ნაცვლად დანიშნულმა რაზმის ასალმა სარდალმა ა. ვ. მაკაროვმა ჩაიფიქრა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, იერიში მიეტანა მიუდგომელ ციხისძირზე და 18 იანვრის წინაღობით მთელი რაზმი გავიდა სალაშქროდ...“

„მონადირეებს“ (მშვერავებს) დაეცალათ გუშაგების მოხსნა, და ჩვენ ფონით გადავლახეთ ყინულოვანი წყალი კინტრიში, უხმაუროდ შევასრულეთ ბრძანება, მიუხედავად ყინვისა და საღამოს ამოუარდნილი ქარბუქისა.

ძლიერ სუსხიანი ღამე იყო. ჯარმა მაინც მშვიდობიანად გადალახა მდინარე. ჩვენი მარჯვენა ფლანგი უკვე წაიწია სასადილო მთისკენ, (ბორცვის სახელი. მ. ხ.). როგორც ამბობდნენ, ინგლისელი ინჟინრების მიერ ძლიერ გამაგვრებელი პოზიცია იყო. ღრმა თხრილები, ყველა ადგილი ჩინებულია ცეცხლის დასაშენად; მაღალ ბატარეაზე ქვემეხებია, ხოლო თხრილების წინ მავთულებით გადახლართული უზარმაზარი ხეებას საშინელი ხერგილები... მდინარის გადალახვისას სულ ერაიანად დასველებულები, მოყინულ ტანსაცმელში ჩუმად მივიწყებდით წინ. უცებ მარცხენა ფლანგზე გასროლა გაისმა. შემდეგ ტყვიების სეტყვა წამოვიდა... სადღაც დაიქუხა ქვემეხმა და სამებისა და კვირიკის ბრუსტერებიდან აკაშკაშდნენ თურქული პოზიციები კლანდო ცეცხლოვანი ხაზებით... სადღაც მარცხნივ ისმის ჩვენი „ვაშა“, დაიწყა იერიში... ჩვენც სწრაფად გადავედით შეტევაზე, ხანჯლებით ვკაფავთ ტყეს, სასადილო მთა განირაღუნდა ცეცხლითა და გრგვინით. ხიშტებით დავეძგერეთ მოულოდნელობისაგან გაოგნებულ თურქებს და სასადილო მთა ხელთ ვიგდეთ.

...სასადილო მთის ცოცხლად გადაჩრჩინილი დამცველები, გაიქცნენ. ჩვეულებრივი სურათი: გვაძვები, დაჭრილთა კენესა, პოლკის ექიმ რეშეჟოვსა და მის ფერშლებს ხელები იდაყვებამდე სისხლში აქვთ მოსვრილი.

ბრძოლა შუადღისას დამთავრდა, დღე იყო ცხელი, თოვლი დნებოდა და ნაკადულები მიჩხრიალებდნენ.

საღამოსათვის, როცა ძმთა სასაფლაოზე მოკლულებს ემარხავდით, მთელმა რაზმმა გაიგო, რომ მიღებულია დეპეშა ზავის შესახებ, რომელიც წინაღობით გამოაცხადეს. სან-სტეფანოში...

ომის შემდეგ გილიაროვსკი რუსეთში წავიდა. ერთხანს მსახიობობდა, შემდეგ ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი.

ვ. გილიაროვსკი ლიტერატურასა და ხელოვნებაში რეალისტურ პოზიციებზე აღ-გა. 1903 წელს მან „რუსსკოე სლოვოში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც უარყოფდა და დასცინოდა „უჩინარი მცენარეების პოეტთა“ პოეზიას, რომლის გავება, ასეთ პოეტთა აზრით, შეუძლიათ მხოლოდ რჩეულებს. სტატიას დიდი გამოხმაურება ჰქონდა. „საყვარლო ძია გილიაი, შენი „მეთოხე განზომილების ადამიანები“ საუცხოოები არიან, მე წავიციოხე და სულ ვიცინოდი, ყოჩაღ, ძია გილიაი“. სწერდა გილიაროვსკის ჩეხოვი.

სასვებით სწორად აღნიშნავდა კ. პაუსტოვსკი, რომ შეუძლებელია წარმოდგინო XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის მოსკოვი გილიაროვსკის გარეშე ისევე, როგორც არ შეიძლება წარმოდგინო იგი შალაპინის, მხატვრული თეატრის, ტრეტიაკოვის მღვდრის გარეშე... ასეთი იყო გილიაროვსკი — პოეტი, მწერალი, რუსეთისა და მოსკოვის მცოდნე, დიდი გულის ადამიანი, ჩვენი ნიჭიერი ხალხის უსპეტაკესი ნიმუში.

ილია ესიტაშვილი

ქორეოგრაფიის ღვაწლი

ქართული ხალხური ცეკვების პოპულარიზების საქმეში თვალსაჩინოა ქორეოგრაფიული ხელოვნების მოამაგეთა ღვაწლი. ერთ მათგანზე ამ წერილში უნდა გესაუბროთ. იგი გახლავთ საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, საქართველოს სსრ დამსახურებული მ. კუზინიძის სახელობის აჭარის ასსრ სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი ენვერ ხაბაძე.

წლების მანძილზე სწავლობდა ე. ხაბაძე აჭარული ცეკვების ილეთებს, ხეეწდა, ალაღვენდა, ამუშავებდა, ამდიდრებდა და სცენაზე გამოჰქონდა. გაზვიადებად არ ჩაგვეთვლება თუ ვიტყვით, რომ მთელი ცხოვრება მან ამ საქმეს მოაწოდმა.

ენვერის ოჯახს ხელოვნების სიყვარული ტრადიციულად მოსდგამდა, მისი ბაბუა ჩინებული მოცეკვავე იყო, მამაც საუცხოოდ ცეკვავდა და გარმონზე უკრავდა, ხოლო დედა კარგად მღეროდა, განსაკუთრებით სახუმარო სიმღერებსა და შაირებს.

„მშობლების უჩუმრად მიეზარებოდი კლუბში და ვუყურებდი ცეკვის გაკვეთილებს, — იგონებს ენვერ ხაბაძე, ეს გაკვეთილები ფასიანი იყო, ფული მე არა მქონდა, ამიტომ შორიდან ვუცქერდი და ილეთებს ეზოში ვაკეთებდი“.

როდესაც პედაგოგმა ლ. პატარიამ გაიგო ენვერის ასეთი გატაცება, შემოწმების შემდეგ, პირდაპირ სოლისტად გამოიყვანა კონცერტზე. დებიუტმა შესანიშნავად ჩაიარა. ენვერს მისცეს უფლება უფასოდ ესწავლა ცეკვის ჯგუფში.

ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის დროს ე. ხაბაძე, ხშირად მონაწილეობდა კონკურსებში და კონცერტებში. 1936 წელს მოსწავლეთა საოლქო ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავა აფხაზური და „ხორუმის“ ცეკვის შესრულებაში. სხვებთან ერთად მიემგზავრება თბილისში და მონაწილეობს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

1936 წელს გამოჩენილი ქორეოგრაფისა და პედაგოგის, დავით ჯავრიშვილის ინიციატივით ქ. ბათუმში იხსნება სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი. ენვერ ხაბაძე ამ სასწავლებელში და შესანიშნავად სწავლობს. ენვერ ხაბაძე და მისი ამაზნავები — ზურაბ კიკაღიშვილი, გივი ოდიკაძე და სხვები ფრიადონის სტიპენდიას ღებულობდნენ. სწავლის პარალელურად ისინი ცეკვავდნენ აჭარის სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის ქორეოგრაფიულ ჯგუფში (გუნდის ხელმძღვანელი არტემ ერქომაიშვილი).

იმ წლებში ჩვენს ქალაქში მოსკოვიდან ჩამოვიდა მოქანდაკე მ. სტოლნიკოვა, კომპოზიტორის 20 წლისთავთან დაკავშირებით, საკავშირო გამოფენისათვის მას უნდა შეექმნა აჭარის გამოჩენილი ადამიანების ქანდაკებები. მ. სტოლნიკოვამ შექმნა ორი ქანდაკება: აწყვის მშენებლობის ბრიგადირის ახმედ შერვაშიძისა და მოცეკვავე ენვერ ხაბაძისა. ეს ნამუშევრები უჩვენეს მოსკოვში, ტრეტიაკოვის საგამოფენო დარბაზში.

სამამულო ომის წლებში ახალგაზრდა ქორეოგრაფი ა. ჯიჯიშვილთან ერთად ფი-

ლარმონიასთან აყალიბებს ავტობიოგრაფიულ ბრიგადას, რომელიც სამეფო კონცერტებს ატარებს პოსპიტლებში, საომარ ზომადებზე და სხვა.

1944 წელს აჭარის საგუნდო კაპელისა და ეთნოგრაფიული გუნდის ბაზაზე ჩამოყალიბდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სადაც პირველ ქორეოგრაფად მიიწვიეს ე. ხაბაძე, რომელმაც ექვსი ცეკვა დადგა. ქორეოგრაფმა დავით ჯაფარიშვილმა მაღალი შეფასება მისცა ამ ცეკვებს. ეს იყო ე. ხაბაძის პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი. აქედან იწყება ე. ხაბაძის შრომითი და შემოქმედებითი საქმიანობა აჭარის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლში ქორეოგრაფად, მოცეკვავედ და სოლისტად.

ე. ხაბაძე მონაწილეობდა სპეციალურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში აჭარის სოფლებში, გულდასმით სწავლობდა აჭარულ ფოლკლორს, კერძოდ ხალხში შემორჩენილ ქორეოგრაფიულ ელემენტებს. ექსპედიციებში გამოჩენილ რეჟისორ არჩილ ჩხატარაშვილთან, ლაზური ეთნოგრაფიის შესანიშნავ მცოდნე მუხამედ ვანლიშთან, კომპოზიტორებთან (შოთა მილორაძე, ბიძინა კვერნაძე, ირაკლი გეჯაძე, არჩილ ჩიმაჯაძე) და მუსიკათმცოდნე აკაკი ქუთათელაძესთან ერთად ჩატარებულმა მუშაობამ დიდი შედეგი გამოიღო, აღადგინეს მივიწყებული აჭარული ცეკვები, კერძოდ, სორუმის მეორე ნაწილი — „გადახვეული სორუმი“, „ლაზური“, „ოპოი, ნანას“, „განდაგანა“.

დამპყრობთა სამასწლიანმა ბატონობამ დასცა და დააქვეითა აჭარის ეკონომიკა და კულტურა. ბუნებრივია, ამ პერიოდში დაკნინდა სიმღერა და ცეკვა, დაიკარგა სამხრეთ საქართველოს ამ უმწვენიერესი კუთხის მრავალი დიდებული მელოდია თუ საცეკვაო რიტუალი, მხოლოდ აქა-აქ ხალხში ობოლ მარგალიტივით იყო მიმობნეული რამდენიმე ელემენტი, რომლებსაც აგრეთვე დავიწყება და დაკარგვა ელოდა.

აქედან გამომდინარე, გასაგებია თუ რა რთულ ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა ე. ხაბაძესა და სხვა ენთუზიასტებს. ხშირ შემთხვევაში მიკვლეულ თითო-ორიოლა საცეკვაო ელემენტსა თუ ილეთს გულდასმით სწავლობდა ენეერო, ესაუბრებოდა მოზულებს ამა თუ იმ ცეკვის შინაარსისა და მოძრაობის მნიშვნელობაზე. მოზუცთა ჯგუფების წინაშე ხშირად ახდენდა მიკვლეული მოძრაობისა და ილეთის დემონსტრირებას; ცდილობდა ისინი ორგანულად ყოფილიყვნენ შერწყმულნი ხალხურ ქორეოგრაფიასთან, მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდა შესაძლებლობა მაყურებელთა სამსჯავროზე გამოეტანა ესა თუ ის ცეკვა. ასე, მაგალითად, 1947 წელს სარფში, გონიოსა და მახოში მიიგნო ე. ხაბაძემ ლაზური ცეკვის სულ ორ მოძრაობას, რომლებშიც მეთევზეთა შრომის ამსახველი დეტალები დაინახა. ლაზები ხომ ძველთაგანვე განთქმული ზღვაოსნები და მეთევზეები იყვნენ. მუსიკოსმა ა. ქუთათელაძემ ამ მოძრაობის თანხლებით ხალხში არსებული მელოდია დაამუშავა, რამაც ე. ხაბაძეს ახალი ილეთების შექმნის საშუალება მისცა. ასე დაიბადა ე. ხაბაძის მიერ დადგმული ცეკვა „ლაზური“, ქორეოგრაფს ეამაყება, რომ დღეს ეს ცეკვა ამშვენებს სახელმწიფო თუ თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარს.

ასევე შესანიშნავ აჭარულ ცეკვას „განდაგან“ ე. ხაბაძემ მისცა სატრფიალო და მთიელი ვაჟკაცისათვის დამახასიათებელი შემართებითი შინაარსი.

„განდაგან“ ქალ-ვაჟის შესრულებით პირველად ე. ხაბაძემ დადგა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში 1945 წელს. მისი პირველი შემსრულებლები იყვნენ ანსამბლის მოცეკვაულები ფ. კობალაძე და ჟ. რეზელიანი. შემდგომ წლებში ქორეოგრაფმა ამ ცეკვის მრავალი ვარიანტი დადგა — ჯგუფური და მასიური. პირველად ცეკვა დოლ-გარმონის მელოდიაზე სრულდებოდა, შემდეგ კი ვ. სადრაძისა და კომპოზიტორ ა. ფარცხალაძის სიმღერების თანხლებით. შემდეგ თ. მელაძე „განდაგანს“ ორი მეკუბინოს აკომპანიმენტით ცეკვავდა.

რაც შეეხება ცეკვა „ოპოი, ნანას“, ე. ხაბაძემ მსახიობ ხ. მიქელაძისაგან იცოდა,

რომ მთიან აპარაში იყო ცეკვა, რომლის წამყვანი „მეთაური“ უნდა ყოფილიყო ჯონი ხელში. ბევრი ძეხნის შემდეგ სოფელ ხიხაძირში ე. ხაბაძემ აღმოაჩინა ამ ცეკვასთან თაღერთი შემსრულებელი, ღრმა მოხუცი, გვარად გაბაიძე, რომელმაც ქორეოგრაფს უჩვენა ცეკვის რამდენიმე ელემენტი. ასე აღდგა ეს უძველესი ცეკვა და 1957 წელს პირველად უჩვენეს აპარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკანოზე თბილისში.

მოგვიანებით, ლაზური ცეკვების შესასწავლად ბათუმში ჩამოდის ცნობილი ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი, რომელიც ენვერს საქართველოს აკადემიური ცეკვის ანსამბლში იწვევს „ლაზურისა“ და „გადახვეულის“ დასადგმელად. ეს ცეკვები დღესაც ანსამბლის რეპერტუარშია და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ანსამბლის თურქეთში წასვლის წინ ე. ხაბაძე კვლავ მიიწვიეს ამ კოლექტივში, სადაც კიბონის თანხლებით მოამზადა ცეკვა „ხორუმი“.

1957 წელს მოსკოვში ტარდება ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალი, ე. ხაბაძემ მოამზადა ქორეოგრაფიული ანსამბლი აპარიდან და მონაწილეობა მიიღო ფესტივალში. ეს უდავოდ დიდი წარმატება იყო.

აქვე უნდა გავიხსენოთ ომისშემდგომი წლები, როდესაც რეჟისორ ა. ჩხარტიშვილთან და ბალეტმაისტერ დ. მაჭავარიანთან ერთად ე. ხაბაძემ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლისა და აპარის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ბაზაზე მოამზადა ვ. დოლიძის ოპერა „ქეთი და კოტე“, ხოლო პირველად ბათუმში სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომლის დირიჟორი იყო ვ. კორშონი, ე. ხაბაძემ დადგა მასიური ცეკვები ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან „დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“. მან არაერთხელ დადგა ცეკვები ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლებში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოფილმში „ჩემი მეგობარი სიბილა“.

ბათუმელებსა და არა მარტო ბათუმელებს კარგად ახსოვთ საკავშირო ფესტივალის ლაურეატი — ანსამბლი „სალადობო“, რომლის შექმნაც გ. გოგიძესთან ერთად დაკავშირებულია ე. ხაბაძის სახელთან.

ანსამბლში მუშაობასთან ერთად ე. ხაბაძე დიდ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის, ხელმძღვანელობს თვითმოქმედ კოლექტივებს. 1953 წელს მისი ინიციატივით ბათუმის პიონერთა პარკში ჩამოყალიბდა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „გზაუბელი“, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ე. ხაბაძის აღზრდილებმა, მისმა მოცეკვავეებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ფ. კობალაძე, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ი. ხალვაში, აპარის ასსრ დამსახურებული არტისტები ბ. ხუტუნაიშვილი, დ. მოქლეძე, ნ. დევაძე, თ. ბეჟანიძე, მ. ლონგურაშვილი, მოცეკვავეები გ. ბაკურაძე, რ. მამალაძე და ბევრი სხვა.

ორმოცი წელია ე. ხაბაძე მ. კუხიანიძის სახელობის აპარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის უცვლელი მთავარი ქორეოგრაფია, ხოლო 1974 წლიდან ამ ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელიცა და მთავარი ქორეოგრაფიც. მისი ხელმძღვანელობით კოლექტივი სივსტოლოდ იყო ეგვიპტეში, სირიაში, სუდანში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, დანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში.

აპარის ანსამბლის 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში, მისი ხელმძღვანელიც იუბილარი გახდა: დაბადების სამოცი და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავი შეუსრულდა.

ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ღვაწლმოსილ ქორეოგრაფს.

„წითელი ბეთქე“

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა, მე-11 წითელი არმიის დახმარებით, გასტეხეს მენშევიკური ჯარების წინააღმდეგობა და თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ააფრიალეს. ამ ისტორიულმა მოვლენამ უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს ყველა კუთხეში.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა აჭარაში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით აჭარის მშრომელი მასები ენერგიულად ემზადებოდნენ ძალაუფლების ხელში ასაღებად. დიდი სამზადისი მიმდინარეობდა ბათუმის ნავსადგურშიც, რომელსაც ხელმძღვანელობდა საზღვაო რევოლუციური კომიტეტი. ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ჯერ კიდევ თებერვლის შუა რიცხვებში ნავსადგურის ყველა გემი მოყვანილი იქნა საბრძოლო მზადყოფნაში. ისინი ემორჩილებოდნენ მხოლოდ ბოლშევიკებს და მზად იყვნენ ნებისმიერ დროს შეესრულებინათ მათი გადაწყვეტილება, მენშევიკური ხელისუფლების განსაკუთრებული რწმუნებული ბათუმიდან იტყობინებოდა: „იმ დროს, როდესაც ბოლშევიკების მონაწილეობით დაიწყო თავდასხმა საქართველოზე, შექმნილი ვითარება მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას ბოლშევიკური გემების შეიარაღებული თავდასხმისაგან სანაპიროს დასაცავად“. (მ. ჩაველიშვილი „დიდი ოქტომბერი და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება აჭარაში“ ბათ., 1977 წ. (რუს.) გვ. 150). მაგრამ ხელისუფლებას ძალა არ შესწევდა სათანადო ზომები მიეღო მათ წინააღმდეგ.

ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან ერთად საზღვაო რევოლუციური კომიტეტი ენერგიულად ემზადებოდა აჯანყებისათვის. როგორც საქართველოს რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის არქივის მასალებიდან ირკვევა, ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის წითელთაგან, საზღვაო რევკომთან შეიქმნა მეზღვაურთა რაზმი, რომელსაც დავალებული ჰქონდა აჯანყების მომენტში დაეკავებინა ნავსადგური, საზღვაო რევკომმა მომავალი ბრძოლებისათვის წინასწარ მოიმარაგა საომარი მასალა.

მთელს აჭარაში მიმდინარეობდა გაცხოველებული მზადება აჯანყებისათვის. იქმნებოდა მემამოხეთა რაზმები, მენშევიკური მთავრობა ხედავდა, რომ საქართველოში მისი ბატონობის დღეები დათვლილი იყო. ისინი ემზადებოდნენ საზღვარგარეთ გასაქცევად.

აჭარის მშრომელთა დასახმარებლად წამოსული წითელი არმიის ნაწილები ბათუმს უახლოვდებოდნენ, მენშევიკები ჩქარობდნენ გაქცევას. ისინი შეეცადნენ ინტერვენტების დახმარებით გაეტაცნათ ბათუმის ნავსადგურში მდგომი გემები „მარია“, „ეკატერინე“, „დობროვოლსკი“, „თავრიდა“ და სხვა. საზღვაო რევკომის ხელმძღვანელობით, მეზღვაურები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მენშევიკებისა და მათი დამჯავშნებისათვის. არ დაეშვათ გემების გატაცება. ამ მიზნით მათ მიატოვეს გემები და მიმოიფანტნენ ქალაქში. მენშევიკები იარაღით ცდილობდნენ ეკაბაეების გემებზე დაბრუნებას, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა.

მეზღვაურთა დიდი ვაჟაკობისა და რევოლუციური გამბედაობის ნათელი დადასტურება იყო საბუქსირო გემ „თავრიდის“ გადარჩენა, გემის კაპიტანი იყო საბჭოთა

ხელისუფლებისათვის აქტიური მებრძოლი, შემდეგში შორეული ნაოსნობის ცნობილი კაპიტანი ნ. ღუნღუა. გემზე რევოლუციურად განწყობილი მეზღვაურები იყვნენ სხვა გემების მეზღვაურთა მსგავსად, „თავრიდის“ მეზღვაურთა დიდი ნაწილი მომოიფანტა. გემზე დარჩა მხოლოდ 6 კაცი: უფროსი მეზღვაური პ. გოგინოვი (გოგინილი) მექანიკოსი ა. გვასალია, მემანქანე პ. ლუბენკო, მეზღვაურები დ. პეშჩიკი, პ. გონჩარი და გ. მალიკოვი.

ინგლისელებმა „თავრიდის“ ეკიპაჟს უბრძანეს კონსტანტინეპოლამდე ბუქსირით ჩაეყვანათ გემი „მარიამი“, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ „თავრიდის“ ცეცხლს დაუშენდნენ. „თავრიდის“ ეკიპაჟმა მტრის სამსახურს გემის მწყობრიდან გამოყვანა არჩია. საზღვაო რეკომმა გადაწყვიტა გემის ადგილზევე ნავსადგურში ჩაჩირვა. ბრძანების შესასრულებლად გემზე დარჩნენ მხოლოდ მემანქანე პ. ლუბენკო, მეზღვაურები პ. გოგინილი და პ. გონჩარი.

17 მარტს, ღამით, მამაცი მეზღვაურები შეუდგნენ დავალების შესრულებას. პ. გოგინილი გემის ხილურზე ავიდა, ხოლო პ. ლუბენკო და პ. გონჩარი საქმეს შეუდგნენ. ლუბენკომ გახსნა კინგსტონი, გემმა იწყო ჩაძირვა, მაგრამ ამ დროს შემოესმათ პ. გოგინილის ხმა: „ამხანაგებო, დაკეტეთ კინგსტონი, ჩვენი მტრები გარბიან!“ მართლაც, გემები გადიოდნენ ნავსადგურიდან. ყველანი ჩაცვივდნენ ტრიუმში და სასწრაფოდ დაკეტეს კინგსტონი. გემი აღარ ჩაუძირავთ.

17 მარტს, ღამით, ბათუმში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობის მიზნით, ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი. ქალაქი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. მეზღვაურთა რაზმმა დაიკავა ნავსადგურის ტერიტორია. იმავე ღამით მენშევიკური მთავრობა საზღვარგარეთ გაიქცა.

18 მარტს დილით საზღვაო რეკომმა ბრანდვახტის ანძაზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ააფრიალა. აქარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ყველა ზემოთა დიდი ხნის ნანატრ თავისუფლებას. მამაცმა მეზღვაურებმა საბჭოთა ხელისუფლებას საჩუქრად უძღვნეს მათ მიერ გადაჩენილი გემი „თავრიდი“, რომელსაც გამოუცვალეს სახელი და „წითელი ბათუმი“ უწოდეს. გემი ოთხი ათეული წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ბათუმის ნავსადგურს.

რამაზ უზუნაძე,

საქართველოს რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი მუშაკი.

მეცნიერული აზრის აღმავლობა

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო. დაჩქარდა მისი ზრდის ტემპი, ახალ მწვერვალზე ავიდა ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება. ერთი სიტყვით, საბჭოთა მეცნიერება აყვავდა და გაიფურჩქნა. მეცნიერების ასეთი აღმავლობა საბჭოთა ქვეყნის განვითარების ზოგადი კანონზომიერებაა. იგი საერთო დამახასიათებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკისა და რეგიონისათვის, მათ შორის აჭარისათვისაც. ამასთან მეცნიერების განვითარებას მთელი რიგი თავისებურებანი გააჩნდა. ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში წამყვანი ადგილი სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობასთან დაკავშირებულმა დარგებმა დაიკავეს. კვლევა-ძიების ძირითადი მიმართულება

გამოყენებით ხასიათს ატარებდა. საზოგადოებრივ მეცნიერებაში კი უპირატესობა მზარდობდა ისტორიის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის შესწავლას ეძლეოდა.

მის შემდგომი პერიოდის დასაწყისისათვის აჭარაში მეცნიერული მუშაობის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი საფუძველი და გამოცდილება არსებობდა. ეს საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების ადრინდელ პერიოდში შეიქმნა. ასე, მაგალითად, 1930 წელს დაარსდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საქაფშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი. 1931 წელს საქართველოს თევზის მეურნეობისა და ბიოლოგიის სადგური, რომელიც 1938 წელს სსრ კავშირის ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სისტემაში გადავიდა, 1941 წლის ივნისიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში იმყოფებოდა, 1944 წელს კი კვლავ დაექვემდებარა სსრ კავშირის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

ჯერ კიდევ 1937 წელს ქობულეთში გაიხსნა სამკურნალო და არომატულ მცენარეთა საქაფშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საყრდენი პუნქტი, რომელიც 1940 წელს ზონალურ საცდელ სადგურად გარდაიქმნა. 1945 წლის იანვარში დაარსდა საკონსერვო მრეწველობის საქაფშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილება, 1946 წლიდან კი ფილიალის სახით ფუნქციონირებს ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მნიშვნელოვან სამეცნიერო ორგანიზაციად იქცა. მხარეთმცოდნეობის ბიუროს ბაზაზე 1936 წელს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა.

1946-1965 წლებში მეცნიერული მუშაობის ორგანიზაციაში ახალი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსება (1958 წ.) შეიქმნა სამი განყოფილება: ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ეკონომიკისა. 1960 წელს გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიული ინსტიტუტის ტენიან სუბტროპიკული კლიმატის პირობებში ლითონის კოროზიის ლაბორატორია.

50-ანი წლებიდან მეცნიერული მუშაობა გაიშალა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რევოლუციისა და სახელმწიფო მუზეუმებში, სამეცნიერო-სამკურნალო დაწესებულებებში, აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში და სხვ.

1945-1965 წლებში აჭარაში მეცნიერული კვლევითი მუშაობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. საყურადღებო წარმატებებია მოპოვებული მეცნიერული აზროვნების განვითარებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის საქმეში. ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საქაფშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს ქსენია ბახტაძის ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა. იგი დაარსებიდანვე დასახელებულ ფილიალში ჩაის კულტურის სექციისა და მეთესლეობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მან მრავალი წლის დაძაბული მუშაობის შედეგად გამოიყვანა ჩაის კულტურის ახალი, უხვმოხავლიანი და ყინვაგამძლე ჯიშები, რომლებიც ცნობილია № 1 და № 2 ქართული ჩაის სახელწოდებით. ისინი გამოირჩევიან სწრაფი ზრდა-განვითარებით და 35-50 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევიან, ვიდრე მანამდე არსებული ჩაის კულტურის ჯიშები.

ქ. ბახტაძემ თავისი მრავალი წლის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგები განაზოგადა კაპიტალურ გამოკვლევაში „ჩაის მეცნარის ბიოლოგია, სელექცია და მეთესლეობა“. იგი 1948 წელს გამოვიდა და მის ავტორს პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მის შემდგომ პერიოდში ახალი მასშტაბით გაიშალა მეცნიერული კვლევა-ძიება

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ბაღის საცდელ ნაკვეთებზე და ლაბორატორიებში მიმდინარეობს ცდები და დაკვირვებები მსოფლიოს ხუთი კონტინენტის მეცნიარებზე. ჯერჯერობით ახალი ჰიბრიდები, სწავლობენ მათ სასარგებლო თვისებებს და ადგილობრივ პირობებში გავრცელების შესაძლებლობას. ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს ციტრუსოვანი კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში.

კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის მეცნიერებმა 1946-1965 წლებში საყურადღებო აღმოჩენები მოახდინეს ხილისა და ბოსტნეულის სამრეწველო გადამამუშავებისა და მათგან ახალი სახის კონსერვების წარმოების ტექნოლოგიის, საკონსერვო მრეწველობისათვის ავტომატიზებული და მექანიზებული მანქანების, დანადგარებისა და ნაკადური ხაზების შემუშავება-დანერგვაში.

სსრ კავშირის ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სადგურმა ომის დამთავრებისთანავე განაახლა თავისი მუშაობა, მაგრამ პირველ წლებში სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. აღნიშნული სადგურის მუშაობის საკითხი სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. მოუერიდებლად ამხილეს ნაკლოვანებები, მიუთითეს მათი დაძლევის გზებზე. ამან დადებითი კვალი დააჩინა სადგურის მომავალ მუშაობას.

50-იანი წლებიდან მოყოლებული ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სადგურმა საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობის მასშტაბი, ამაღლა მისი ხარისხი და ეფექტიანობა. სადგურის მეცნიერებმა რესპუბლიკის წყალსატევებში თევზის მეურნეობის განვითარებაზე საყურადღებო გამოკვლევები შექმნეს. მათ დაადგინეს საქართველოს წყალსატევებში სარეწი თევზის მარაგი, მათი კვლავწარმოების მდგომარეობა, შეისწავლეს თევზის მორფოლოგია, ქიმიურ-ბიოლოგიური და ტექნოლოგიური თვისებები, დაავადებათა წარმოშობის მიზეზები და მკურნალობის მეთოდები. შეიმუშავეს თევზის ხელოვნურად გამოკვების ეფექტიანი ხერხები. საქართველოს შიდა წყალსატევების შესწავლის პარალელურად კვლავ ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის თევზმეურნეობისა და თევზის ბიოლოგიის შესასწავლად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიული ინსტიტუტის ბათუმის კოროზიის სადგურმა 1960-1965 წლებში მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგა. ზოგიერთი მისი შედეგი განზოგადებულია ამ სადგურის მუშაობა შრომებში.

ომისშემდგომ პერიოდში აჭარაში მნიშვნელოვნად დაწინაურდა საზოგადოებრივი მეცნიერება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაარსებიდანვე ნაყოფიერი მუშაობა გაიშალა მხარის ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, არქეოლოგიისა და ეკონომიკის შესწავლისათვის. დასახელებული ინსტიტუტის მეცნიერებმა 1958-1965 წლებში თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს მეცნიერულ მუშაობაში. კვლევა-ძიების ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი განზოგადებული იყო ინსტიტუტის შრომების 4 კრებულში, სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებათა თეზისებსა და მონოგრაფიებში, რომლებიც 1960-1965 წლებში გამოქვეყნდა.

ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის განყოფილებების მეცნიერებმა 1960-1965 წლებში გამოაქვეყნეს თავიანთი პირველი ნაშრომები აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესახებ. ამ შრომებში გამოკვლეულია აჭარის ზეპირსიტყვიერების, დასახლების ფორმების, ხალხური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის, საოჯახო-საქორწინო წესჩვეულებების აქტუალური საკითხები და სხვ.

მეცნიერული კვლევა-ძიების ზოგიერთი შედეგი გადმოცემულია ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის, აჭარის ასსრ მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის სახელმწიფო მე-

შეუქმედების მიერ გამოქვეყნებულ შრომების კრებულებში. მაგალითად, ბათუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა 1950 წლიდან დაწყებული 1966 წლამდე შრომების 12 კრებული გამოსცა, მათში დაბეჭდილი სტატიები მეცნიერების სხვადასხვა დარგს ეხება.

აჭარის ასსრ მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი სწავლობდა აჭარის ისტორიას; კულტურას, ყოფასა და ბუნებრივ რესურსებს. 1952 წელს იგი გაუქმდა და მისი ფონდები აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. ამ უკანასკნელში კი საგანმანათლებლო-შეგროვებით საქმიანობასთან ერთად მეცნიერული მუშაობაც გაიშალა. მეცნიერული კვლევა-ძიების ზოგიერთი შედეგი განზოგადებულია აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომების კრებულში, რომელთა 6 ტომი 1955-1963 წლებში გამოქვეყნდა.

აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს გამოკვლევები მხარის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. ამ დიდი ღირებულების მქონე პრობლემას მუზეუმის შრომების პირველი კრებული მთლიანად დაეთმო. იგი მომდევნო შრომებშიც გაშუქებულია. საყურადღებოა გამოკვლევები გონიოს, პეტრას, ხიხანის, სხალთის ციხეებისა და ეკლესიების, შუაწიების და დარჩიძეების ციხე-სიმაგრეების, დანდალოს თალიანი ხიდის შესახებ და სხვა. ასევე გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს გამოკვლევები აჭარის ხალხურ მედიცინაში გამოყენებული ბალახების, ავტონომიური რესპუბლიკის მხარის წარსული და თანამედროვე ისტორიის შესახებ.

ცხადია, აჭარაში მეცნიერული აზრის აღმავლობამ, მისი შედეგების პრაქტიკაში დანერგვამ საგრძნობლად დააჩქარა ავტონომიურ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი პროგრესი, საწარმოო ძალების განვითარება. მნიშვნელოვნად აამაღლა მოსახლეობის მსოფლმხედველობითი, საგანმანათლებლო და ისტორიულ-შემეცნებითი დონე.

ოთარ თურმანიძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი



მეცნიერების პრაბტიკასთან კავშირით

ავტონომიურ რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მეცნიერების შემდგომ განვითარებას, მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის მიღწევათა სახალხო მეურნეობაში დანერგვას. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტთან არსებული მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით ზოგიერთდება სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების, პრაქტიკასთან მათი კავშირის განმტკიცების ღონისძიებანი.

ამას წინათ ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებს ეწვივნენ ამხანაგები ვ. პაპუნაძე, ნ. გუგუშვილი, ი. უნგიაძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ტაყაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ცეცხლაძე და გულდასმით გაეცნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგემო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჭარის ასსრ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების განყოფილების, პლასტიკური მასების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ლაბორატორიის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის კოროზიული საღებურის მუშაობის პირობებს, ტექნიკურ ბაზას, მოისმინეს ინფორმაციები გაწეული მუშაობისა და მომავლის ამოცანების

თაობაზე, ესაუბრნენ მეცნიერ თანამშრომლებს, გამოაქვეს მთელი რიგი მოსაზრებათა, სურვილები, წინადადებები.

საზოგადოებრივი სამუშაო

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში გაიმართა თათბირი სკკ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი“ განხილვის ორგანიზაციის თაობაზე.

თათბირზე მიწვეული იყვნენ სახალხო განათლების ორგანოების, ხელმძღვანელი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი“ განხილვის ორგანიზაციის და პარტიული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების ახალ ამოცანათა შესახებ ინფორმაცია გააქეთა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუშვილმა.

საბჭოთა აღმავლის ცხოვრების სოციალურ და სულიერ ხფეროში მომხდარმა ძირეულმა გარდაქმნებმა, ითქვა თათბირზე, ქვეყნის ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის ინტენსიურმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენეს საბჭოთა სკოლის სტრუქტურული და შინაარსობრივი სრულყოფის საკითხი.

თათბირმა ყურადღება მიაპყრო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და პროფესიული განათლების ახალ სტრუქტურას, სასწავლო-აღმწოდლო-ბითი პროცესის ხარისხის ამაღლებას, შრომითი აღზრდის გაუმჯობესებას, რეფორმის სხვა ძირითად მიმართულებებს.

როგორ შევუბნოთ ერთმანეთს თანა-
მდროვე ინდუსტრიული ქალაქმშენებ-
ლობა და ქალაქის ძველი სახის შენარ-
ჩუნების პრინციპები, როგორ ჩავეყენოთ
ხალხის სამსახურში ძველი შენობები,
როგორ ვაშენოთ ისე, რომ ქალაქი მო-
ხერხებული იყოს საცხოვრებლად და
ლამაში იყოს გარეგნულადაც. ამ პრობ-
ლემების განხილვას მიეძღვნა საქართვე-
ლოს არქიტექტორთა კავშირის გამსვლე-
ლი პლენუმი, რომელიც ბათუმში გაიმე-
რდა.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა არ-
ქიტექტურის დოქტორი, საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესო-
რი ტ. კვირკველია.

ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ
ძველი შენობების რეკონსტრუქციის სა-
ინტერესო გამოცდილებაზე პლენუმის
მონაწილეებს მოუთხრო საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტ-
მა, საქართველოს არქიტექტორთა კავ-
შირის გამგეობის თავმჯდომარის მოად-
გილემ ტ. ჩიჩუამ, სოლო თანამშრომელზე
ქალაქმშენებლობის პრობლემებზე —
სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის
ქალაქმშენებლობის კომისიის თავმჯდო-
მარის მოადგილემ, ქალაქის არქიტექტუ-
რის განვითარების პრობლემების საზ-
ღვოს წევრმა ე. მარკოვმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდნენ სა-
ქართველოს ძეგლების დაცვის მთავარი
სამმართველოს ძეგლების ადრინცხისა
და ინფორმაციის განყოფილების გამგე
არქიტექტურის კანდიდატი ლ. ვარდო-
სანიძე, თბილისის სამხატვრო აკადემიის
პროფესორი ლ. სუმბაძე, სსრ კავშირის
არქიტექტორთა კავშირის მოსკოვის ორ-
განიზაციის გამგეობის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე, რუსის დამსახურე-
ბული არქიტექტორი ა. ბოლტინოვი, სა-
ქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუ-
ტის დოცენტი ა. ყრუაშვილი.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქარ-
თელოს არქიტექტორთა კავშირის გამგე-

ობის თავმჯდომარემ ნ. მგალობლიშვი-
ლმა.

ბავშვების „საბავშვო აპარატი“

1984 წლის თემატიკური გეგმით გათ-
ვალისწინებულია 32 დასახელების სხვა-
დასხვა ღირებულების ლიტერატურის გამოცე-
მა, რომლის ტირაჟი 213 თას ეკუთვნის
ლარს შეადგენს.

საზოგადოებრივ - პოლიტიკური ლი-
ტერატურიდან აღსანიშნავია ალ. გოზ-
რონიძის „სკკპ XXVI ყრილობა და მო-
მავალ მასწავლებელთა მომზადება მოს-
წავლელთა ზნეობრივი აღზრდისათვის“,
მ. თავაძის „აჭარის პროფესიული კავში-
რები“, ი. ხალვაშის „სამშობლოს ერთ-
გულება“, ნ. გრიბინის „ოლსტერის ტრა-
გედია“.

მკითხველები მიიღებენ ქ. მუხიანის ზ.
გორგოლაძის, შ. როყვას, ც. ანთაძის,
უ. ხაჭიშვილისა და სხვათა პოეტურ
კრებულებს. მეოთხედ გამოდის პ. ლო-
რისის რომანი „ჩემი პატარა ოჯახი“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებ-
ლობს მკითხველებში. ასევე განმეორე-
ბით გამოვა ჯ. ჯაფარიძის „მუშაობა“, ალ.
ჩხაიძის „როცა მთავრდება ბავშვობა“,
უკვე გამოიცა ი. ქავთარაძის დოკუმენ-
ტური ნარკვევი მემედ აბაშიძეზე.

მწერალი გიორგი ლორთქიფანიძე კარ-
გად არის ცნობილი ჩვენი ახალგაზრ-
დობისათვის. ამჯერად გამოცემლობას
გეგმაში აქვს მისი ახალი რომანი, რომელიც
მოგვითხრობს ხალხის ბედნიერების-
სათვის მებრძოლი ადამიანის ტრაგიკულ
ბედზე.

თარგმნილი ლიტერატურა წარმოდგე-
ნილია ანტონ ჩეხოვის მოთხრობებით,
იშარ ქემალის რომანით „კეთილშობი-
ლი ყაჩაღი“. გამოიცემა აგრეთვე ოსკარ
უაილდისა და სერგეი ესენინის თარგმა-
ნები.

საგონილო ადგილი აქვს დათმობილი
ლიტერატურულ კრიტიკას, ფოლკლორს,
ეთნოგრაფიას. გამოიცემა ი. ადგიშვილის
„საქართველო კ. პაუტოვსკის ცხოვრე-
ბასა და შემოქმედებაში“, პროფ. ი. მე-

გრეგორიის „მემორიული ჩანაწერები“,
„სოთა ზოიძის „ლიტერატურულ-კრიტი-
კული წერილები“ და სხვა.

გამოსაცემად გათვალისწინებულია
სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკით-
ხისადმი მიძღვნილი ლიტერატურა, აგრე-
თვე წიგნები საქართველოს სამეურნეო-
წამლო მცენარეებსა და უიშვიათეს ცხო-
ველებზე. ტრადიციული სერია „ჩვენი
შუქურები“ გავაცნობს სოფლის მეურ-
ნეობის განვითარებას.

გამოცემის ჯილდო

მოსკოველებს და დედაქალაქის სტუმ-
რებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნო-
ბოდნენ სამხატვრო სასწავლებლების მო-
სწავლეთა შემოქმედებას, რომელიც წა-
რმოდგენილი იყო საკავშირო სამხატვრო
გამოფენაზე. იგი გაიხსნა „საბჭოთა კუ-
ლტურის“ პავილიონში სახალხო მეურ-
ნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

ექსპონირებული იყო რუსეთის ფე-
დერაციის, უკრაინის, საქართველოს,
ბელოარუსიის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის,
ლიტვისა და სხვა რესპუბლიკების მომა-
ვლი მხატვრების 800 ნამუშევარი.

გამოფენაზე თავისი სადიპლომო ნა-
მუშევარი „აჭარის ქალები“ წარადგინა
ბათუმის კანდედაკის სახელობის სამხა-
ტვრო სასწავლებლის კურსდამთავრებუ-
ლმა ესმა ართიელაძემ. იგი საბჭოთა კა-
ვშირის სახალხო მეურნეობის მიღწევა-
თა გამოფენის ბრინჯაოს მედლით დაა-
ჯილდოვდა.

საინტერესო შემადგენელი

აჭარაში სამ დღეს იმყოფებოდნენ
ფლოტის აღმირალი ნიკოლოზ სერგევი
და აღმირალი ვლადიმერ მისაილინი.
ისინი საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის
რესპუბლიკური ორგანიზაციის გამგე-
ობის სტუმრები იყვნენ.

საპატიო სტუმრებს გულთბილად
შეხვდნენ გამგეობის მუშაკები, რომელ-
ბიც მათ ესაუბრნენ სკკ ცენტრალური
კომიტეტის 1988 წლის ივნისის პლენუ-
მის მიერ დასახულ ამოცანათა განსახო-
რციებზე და ორგანიზაციის საქმიანო-
ბაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში ლექ-

ციური პროპაგანდის მთავარ მიმართუ-
ლებებსა და თავისებურებებს.

სტუმრები ეწვივნენ ბათუმის სა-
ზღვაო სასწავლებლის კურსანტებსა
და აღმზრდელებს, წაიკითხეს ლექციე-
ბი. შემდეგ დაათვალიერეს სასწავლებე-
ლი, გაეცნენ მის კაბინეტ-ლაბორატო-
რიებს, სასწავლებლის მუშეუშს და გუ-
ლთბილი ჩანაწერი დატოვეს საპატიო
სტუმართა წიგნში.

შეხვედრები გაიმართა ბათუმის სა-
საზღვრო რაზმსა და ბათუმის ქალაქის
№ 1 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავ-
ლებელში.

გულთბილი შეხვედრა მოუწევს
სტუმრებს ხელვაჩაურის რაიონის წინ-
სვლის კულტურის სახლში. სტუმრებს
მისწავლნენ ჩაიხუბნის კოლმეურნეობის
თავმჯდომარე სოციალისტური შრომის
გმირი მ. აბაშიძე, დიდი სამამულო ომის
ვეტერანები, ახალგაზრდობის წარმომა-
დგენლები

პრემიერა ხულოს სახალხო თეატრში

ხულოს სახალხო თეატრმა მაყურე-
ბელს მორიგ პრემიერად უჩვენა ვ. კან-
დედაკის ორმოქმედებიანი კომედია
„ხევსურული ბაღადა“. სპექტაკლი პიე-
სის ავტორის სსოვნას მიეძღვნა.

წარმოდგენა დადგა საქართველოს
სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მო-
ღვაწემ ე. ჩაიძემ, მხატვრულად გააფო-
რმა ვ. ბენელიამ, მუსიკალურად —
აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებუ-
ლმა მოღვაწემ თ. შამილაძემ.

სპექტაკლში როლები შეასრულეს
აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებუ-
ლმა მუშაკმა შ. ბოლქვაძემ, საკავშირო
ფესტივალის ლაურეატებმა ე. ქონიძემ
და ს. თაყაიშვილმა, ნ. მელაძემ, ნ. ქა-
რცივაძემ, თ. ჩოგაძემ, თ. დეკანაძემ, ი.
ფასანიძემ, ნ. შანიძემ, გ. ჯორბენაძემ
და სხვებმა.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბი-
ლად მიიღო.

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახმედინი, გიორგი ბაჩუჩილაძე, ზურაბ გორგილაძე, მამია
ვარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ზომიძე, დავით თედორაძე,
გიორგი სალუქვაძე, ჯემალ მათაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, შრიდონ
ხალვაში, დავით ხახუტაიშვილი, ჯემალ ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 10.2.84, ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.2.84, საგამო-
მცემლო თაბახი 5, შეკვეთის № 549, ემ 00546, ქაღალდის ზომა
60X90¹/₁₆, ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო
გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам изда-
тельств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое
производственное объединение Аджарской АССР. Батуми,
ул. Р. Люксембург, 20.

6¹⁴/42

საქართველოს
საბჭოთაო კავშირი

3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118